პალიტრა მედია

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
10 ივნისი ორშაბათი 2013
№134 (14 050) ფასი 80 თეთრი

# წყალბურთის ნაკრებმა თურქეთში შეცურა და ჩემპიონმა ამოყვინთა



12-13



2

# კოკაია ბათუმში?

~~ზესტაფონი~~

# იტალია, ესპანეთი და ჰოლანდია ნახევარფინალში!

## რუსეთი, გერმანია და ინგლისი სახლში!

ევროპის ჩემპიონატი. U21. II ტური



8

# ორი ბუნდესშვილი: კობ-ი-აშვილი




ფოტოფაქტი

8

# რაფას მერვე პარიზული

## ქალთა შორის სერენა უილიამსმა იმარჯვა



14

# სებასტიან ფეტელის კანადური ტრიუმფი

ფორმულა 1. კანადის გრან პრი




16

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სიტუაცია




ილია კოკაია

# კოკაია შეიძლება ბათუმის დინამოს სათავეში ვიხილოთ

გასული ეროვნული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, ბათუმის "დინამომ" უმაღლეს ლიგაში ბოლოსწინა, მე-11 ადგილი დაიკავა და პირველ ლიგაში გავარდა, თუმცა როგორც საქართველოში ხშირად ხდება ხოლმე, სულაც არ არის გამორიცხული, ქვედა ლიგაში დაქვეითებული კლუბი კვლავ უძლიერესთა შორის ვიხილოთ.

მეტიც, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ შემდეგ სეზონში ბათუმელთა სახით არა მოკრძალებული მიზნებისთვის მებრძოლმა, არამედ საკმაოდ ამბიციური კლუბმა იასპარეზოს.

მართალია, ბოლო წლების განმავლობაში არაერთხელ გაჟღერებულა ბათუმის "დინამოში" უცხოელი ინვესტორის შემოსვლის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ ხმები ხმებადვე რჩებოდა და კლუბი არსებობას მოკრძალებული ბიუჯეტითა და კატასტროფული ინფრასტრუქტურით აგრძელებდა. როგორც იცით, ბათუმს, რომელიც საქართველოში სიდიდითა და მოსახლეობის რაოდენობით ერთ-ერთი მოწინავეა, ფაქტობრივად, სტადიონიც არ აქვს.

ჩვენს ხელთ არსებული სარწმუნო ინფორმაციით, აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს აჭარული კლუბის ამჟამინდელ მესვეურებთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებსა და ბათუმის მერიასთან იმის თაობაზე, რომ ბათუმის "დინამოს" სათავეში "ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია** და მისი საქმიანი პარტნიორები მოვიდნენ.

როგორც იცით, კოკაიამ მთელი რიგი მიზეზების გამო შეუძლებლად მიიჩნია "ზესტაფონის" გაძღოლა და ჯერჯერობით, იმერული კლუბის მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშაა. ვნახოთ, როგორ დასრულდება მოლაპარაკებები კოკაიასა და ბათუმურ მხარეს შორის და ვიხილავთ თუ არა "ზესტაფონის" პრეზიდენტს სხვა კლუბის სათავეში.

სამწუხაროდ, გუშინ კოკაიასთანაც და ბათუმის "დინამოს" ხელძღვანელებთანაც დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა. ვიმედოვნებთ, ამ საქმეს ნათელი უახლოეს დღეებში მოეფინება. ამავდროულად, იმის იმედსაც გამოვთქვამთ, რომ არც "ზესტაფონის", ისევე როგორც სხვა უმაღლესლიგელთა პრობლემები დარჩება მოუგვარებელი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ჩიხურა

## სოსო ფრუიძე:
# გაურკვევლობაში ვართ



სოსო ფრუიძე

საჩხერის "ჩიხურა" წლეულს ევროთასებზე პირველად ითამაშებს. გუნდმა თავისი არსებობის ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა, ჩემპიონატში მე-4 ადგილი დაიკავა, ევროპის ლიგაზე თამაშის უფლება კი ეროვნული თასის ფინალში გასვლით მოიპოვა.

სეზონის დასრულების შემდეგ, "ჩიხურას" მთავარი მწვრთნელი **სოსო ფრუიძემ** იმედოვნებდა, რომ გუნდს გააძლიერებდა, მაგრამ ქართულ ფეხბურთში არსებულმა კრიზისულმა ვითარებამ ყველა გუნდის გეგმები არია - გამონაკლისი არც საჩხერელები არიან.

ფრუიძეს ბოლო დღეებში გავრცელებულ ხმებზე დავეკითხეთ, თითქოს, "ქართუ ჯგუფმა" "ჩიხურას" დაფინანსება შეუმცირა.

*"ჩვენ წარმატებას "ქართუ ჯგუფის" დახმარებით მივაღწიეთ. სწორედ ამ ჰოლდინგის დამსახურებაა, საჩხერეში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა რომ გაუჯობესდა და გუნდი გაძლიერდა. არსებობს სტადიონის პროექტი და იმედია, მშენებლობის საკითხი მალე გადაწყდება. "ქართუ ჯგუფი" გუნდის დახმარებას კვლავაც აგრძელებს. კატასტროფულ მდგომარეობაში ნამდვილად არ ვართ. წლის დასაწყისში 2,14 მილიონი ლარი გამოგვიყვეს, საიდანაც 1,3 უკვე დაიხარჯა. მაგრამ არ ვიცით, დარჩენი ფინანსები ევროთასებამდე ძლიერი გუნდის დასაკომპლექტებლად საკმარისი იქნება თუ არა. ასე რომ, არსებული თანხებიდან უნდა გამოვიდეთ, თუ სეზონის დაწყებამდე რაიმე არ შეიცვალა,"* – ამბობს ფრუიძე.

საჩხერელთა მთავარმა მწვრთნელმა გაურკვევლობის მიზეზები დაასახელა: *"წლეულს ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველად ვითამაშებთ და სეზონის დასრულების მერე გუნდის გაძლიერებაზე ვფიქრობდით. გვსურს, რომ ევროპის ლიგაზე საჩხერის გუნდს ღირსეული დებიუტი ჰქონდეს, მომავალ ჩემპიონატშიც კარგად გამოვიდეს და ხალხი გაახაროს. გაძლიერება უფრო ნახევარდაცვასა და შეტევაში გვჭირდებოდა, დაცვაში კი ერთი მცველის აყვანა გვსურდა, მაგრამ ქართულ ფეხბურთში შექმნილი ვითარების გამო გაურკვევლობაში ვართ. ჯერ ისიც არ ვიცით, არსებულ შემადგენლობას შევინარჩუნებთ თუ არა, ვის დავიმატებთ და ვის გავუშვებთ. გუნდს "ქართუ ჯგუფი" ინახავს, მაგრამ დამატებითი თანხები ვერ მოვიძიეთ. კარგი იქნება, სახელმწიფო უმაღლესი ლიგის გუნდებს 2 მილიონს მართლა თუ დაურიცხავს. ასე ყველანი ბევრად უკეთ ვიქნებით".*

სოსო ფრუიძე ამბობს, რომ გუნდების უმრავლესობა ასეთ მდგომარეობაშია: *"ასე თუ გაგრძელდა და დამატებით არ დაგვაფინანსებენ, შარშანდელი შემადგენლობის შენარჩუნებაც გაგვიჭირდება და უეფაზე იმ სიძლიერის გუნდი არ გვეყოლება, ჩვენი გულშემატკივარი რომ იმედოვნებს. კონტრაქტი მხოლოდ 2-3 მოთამაშეს აქვს, ყველა დანარჩენს დაუსრულდა. ჯერჯერობით, წასვლის სურვილი არავის გამოუთქვამს, მაგრამ გაურკვევლობის გამო, ფეხბურთელებს ახალ ხელშეკრულებებს ვერ ვთავაზობთ. გეგმაში გვაქვს უცხოეთში შეკრების მოწყობა და საკონტროლო თამაშების გამართვა, მაგრამ ჯერ ვარჯიშის დაწყების დროც არ ვიცით. დაფინანსებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე პასუხი უახლოეს დღეებში გვეცოდინება. ახლა კი ფეხბურთელებს მხოლოდ სამი გუნდი იმატებს – თბილისის "დინამო", გორის "დილა" და რუსთავის "მეტალურგი". სხვა ყველა გაჩერებულია და საფიქრალი გაგვჩენია - დაგვაფინანსებს თუ არა სახელმწიფო. არადა, ევროთასები კარს მოგვადგა და გადაწყვეტილება საჩქაროდაა მისაღები".*

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერები

## მუსლინი:
# ალბათ, რევიშვილი დაგვტოვებს
### რუსეთში სამი ქართველი გაალეგიონერეს



ნუკრი რევიშვილი

"კრასნოდარის" მთავარმა მწვრთნელმა **სლავოლიუბ მუსლინმა** რუსულ გამოცემა "რ-სპორტთან" რუსეთის პრემიერლიგაში გამოსვლა შეაჯამა და გაამხილა, რომ შესაძლოა, კლუბი **ნუკრი რევიშვილს** დაემშვიდობოს.

*"კლუბი ვლადისლავ იგნატიევმა დატოვა. შესაძლოა, მალე კიდევ რამდენიმე მოთამაშეს შეველიოთ, მათ შორის, მეკარე ნუკრი რევიშვილსაც,"* – თქვა მუსლინმა.

ნუკრიმ სეზონი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო, მაგრამ მალე მუსლინმა მისი კონკურენტი **ანდრეი სინიცინი** დააწინაურა და ქართველი სათადარიგოებში გადაიყვანა. მაშინ იყო ლაპარაკი, რომ ნუკრი ხაბაროვსკის "სკა-ენერგიაში" წავიდოდა, მაგრამ იგი მაინც "კრასნოდარში" დარჩა.

რევიშვილს მომავალ სეზონში უფრო მეტი პრობლემა შეექმნება, რადგან გაისიდან რუსეთში ლეგიონერებზე მკაცრი ლიმიტი ამოქმედდება. ცნობილი ფაქტია: ლეგიონერებად რომ არ ჩათვლილიყვნენ, არაერთმა უცხოელმა (მათ შორის, ქართველებმაც) რუსული პასპორტი აიღო. არადა, უმრავლესობა, თავისი ქვეყნის ნაკრების წევრია. რუსეთის საფეხბურთო კავშირის გადაწყვეტილებით, 2013-2014 წლების სეზონიდან ლიმიტი ყველა ასეთ მოთამაშეს შეეხება.

ასე და ამგვარად, რეალური მდგომარეობით პრემიერლიგაში 18 უცხოელი მოთამაშე დაფიქსირდება. თითოეული მათგანი პოსტსაბჭოთა ქვეყნებს წარმოადგენს. ნუკრი რევიშვილის გარდა, მათ შორის, კიდევ ორი ქართველია - სამარის "კრილია სოვეტოვის" ცენტრალური მცველი **ალეკო ამისულაშვილი** და ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მარცხენა მცველი **გია გრიგალავა**.

**მერაბ მამულაშვილი**

## სპარტაკი:
# ჯანოს გაშვება არ გვსურს



ჯანო ანანიძე

უცნაური ამბები ხდება **ჯანო ანანიძის** თავს. ქართველ ფეხბურთელს მოსკოვის "სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებენ და მესამე წელია, რაც ასე გრძელდება. ამის მიუხედავად, ჯანოს მიმართ სერიოზული კლუბები ინტერესდებოდნენ. თავად აქვს ნათქვამი, რომ **არსენ ვენგერი** ლონდონის "არსენალში" იწვევდა, მაგრამ "სპარტაკი" ვერ შეელია.

რუსეთში სეზონის დასრულების შემდეგ ჯანოს ტრანსფერზე მორიგი ხმები აგორდა. ამჯერად, პოპულარულმა გაზეთმა "სპორტ-ექსპრესმა" გაავრცელა ცნობა, რომ საქართველოს ნაკრების 20 წლის ნახევარმცველს პრემიერლიგაში აღზევებული ეკატერინბურგის „ურალი" იწვევდა და შესაძლოა, „სპარტაკმა" იჯარით გაუშვასო. გამოცემა იუწყებოდა, კლუბებმა მოლაპარაკება დაიწყეს და სავარაუდოდ, მალე შეთანხმდებიანო.

მაგრამ ამ ცნობას გუნდები ჯერ არ ადასტურებენ. "ურალის" პრეზიდენტმა **გრიგორი ივანოვმა** ბრძანა: *"ჯერ არავის კონტრაქტზე ხელი არ მოუწერია. როდესაც ეს მოხდება, აუცილებლად შეგატყობინებთ".*

ტრანსფერზე მოსკოვის „სპარტაკის" გენერალურმა დირექტორმა **რომან ასხაბაძემაც** ისაუბრა: *"ჩვენი გუნდი დაინტერესებული არ არის, რომ ანანიძე „ურალში" გაუშვას".*

ცეცხლი უკვამლოდ არ ჩნდება. ცხადია, ეკატერინბურგში ჯანოს "სპორტ-ექსპრესი" თავისი ნებით ვერ გაუშვებდა. კლუბებს შორის მოლაპარაკება მართლაც მიმდინარეობდა. მაგრამ შევიტყვეთ, რომ "სპარტაკს" სხვა კლუბებიც დაუკავშირდნენ, მოსკოველებს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღიათ და "ურალთან" მოლაპარაკება ამიტომ შეფერხდა.

შეგახსენებთ, ჯანო მოსკოვის „სპარტაკში" 2007 წელს ჩაირიცხა, 2009 წლიდან ძირითად შემადგენლობში დააწინაურეს, ხოლო იმავე წლის 1 აგვისტოს რუსულ პრემიერლიგაში სადებიუტო შეხვედრა კრასნოდარის "ყუბანის" წინააღმდეგ ითამაშა და თავისიანებში საუკეთესო გახლდათ.

ანანიძე პირველი 16 წლის მოთამაშეა, რომელმაც პრემიერლიგაში გოლი გაიტანა. დასრულებულ სეზონში "სპარტაკში" სულ 15 მატჩი ჩაატარა (3 გოლი, 2 საგოლე გადაცემა), მაგრამ ძირითადში მხოლოდ 6-ჯერ მოხვდა. ისიც სათქმელია, რომ ქართველ ლეგიონერს ხელი ტრავმებმა შეუშალა. სულ კი 2009 წლიდან 61 შეხვედრაში ანგარიშზე 8 გოლი ჩაიწერა.

**მერაბ მამულაშვილი**

● დილა



გიორგი დევდარიანი

# დღეს იწყებენ

გორის „დილა“ ახალი მთავარი მწვრთნელის, **გიორგი დევდარიანის** თავკაცობით დღეს შეიკრიბება, სასტუმრო „ინტურისტში“ დაბინავდება, სადაც თორმეტი დღე გაჩერდება.



გიორგი დევდარიანი

15 მაისს „დილა“ ამხანაგური მატჩის გამართვას გეგმავს, მეტოქე კი ჯერ უცნობია. ისიც ზუსტად გასარკვევია, რომელი ფეხბურთელები დარჩებიან დევდარიანის გუნდში.

რაც შეეხება უცხოურ შეკრებას, „დილა“ ან თურქეთში მოემზადება, ან სლოვენიაში.

„დილამ“ ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან 2 მილიონი ლარის დაფინანსება რომ მოინაგრა, ამაზე აჟიოტაჟი არ წყდება, რადგან სხვა კლუბებს დამდეგი სეზონისთვის სახელმწიფოსგან თანხა ჯერ არ მიუღიათ. ამასთან დაკავშირებით „დილამ“ საკუთარ ვებგვერდზე საგანგებო განცხადება გამოაქვეყნა.

**დავით თავართქილაძე**

## ს.კ. „დილას“ განცხადება დაფინანსებასთან დაკავშირებით

*(სტილი დაცულია)*

08/06/2013 17:10

ს.კ. გორის „დილა“ გამოეხმაურა იმ აჟიოტაჟს, რაც ჩვენი კლუბის გეგმებს ეხება. მცირე განმარტება საზოგადოებასა და სპორტულ მხარეს გვინდა გავაცნოთ.

რაც შეეხება დაფინანსებას, რომელზეც მრავალი კითხვები დაისვა და მასმედიაც ამ მხრივ დაინტერესებულია, ჩვენ გვინდა განმარტება გავაკეთოთ. კლუბი დაფინანსდა მუნიციპალიტეტიდან. დაფინანსდა ზუსტად იმ გზით, რომელი გზითაც დაფინანსდა ყველა დანარჩენი სხვა სახელმწიფო ბიჯეტზე მყოფი გუნდი, როგორებიცაა: ბოლნისი, ფოთი ბათუმი, ზუგდიდი, ლანჩხუთი და ა.შ. და არავითარი სხვა გზით.

დაგვიანებით მოხდა ამ თანხის მიღება, ვინაიდან და რადგანაც ყველა სახელმწიფო გუნდმა ყველა წესის დაცვით წინასწარ (ნოემბერში) შეიტანა განაცხადი ბიუჯეტზე და თავისი განაცხადიდან დამტკიცებული თანხა მიიღო. ჩვენს შემთხვევაში ეს ვერ მოხდა და ვერც მოხდებოდა, რადგან როგორც მოგეხსენებათ, შინაგან საქმეთა სამინისტროდან იყო დაფინანსებული კლუბი და იყო მოსაზრება იმისა, რომ გაგრძელდებოდა ეს სპონსორული დაფინანსება. სამწუხაროდ, ეს ასე აღარ მოხდა, დრო გავიდა იმისი, რომელსაც კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო კლუბების დაფინანსებას და ჩვენ აღმოვჩნდით ისეთ მდგომარეობაში, სადაც სახელმწიფოს უნდოდა დაფინანსება, თუმცა გზები ვერ მოიძებნა, რადგან ვადებში არ გვქონდა მიწოდებული დრო. იქიდან გამომდინარე, რომ კლუბმა მიაღწია წარმატებას, გავიდა რა ევროსარბიელზე და ლებულობს მონაწილეობას, კონტრაქტები ფეხბურთელებთან ავალდებულებდა კლუბს, რომ გადახდილიყო მაისის ბოლომდე. ეს კონტრაქტები უნდა აღინიშნოს რომ შედგენილი იყო შარშანდელი დროიდან, ანუ კლუბს ვალდებულება ჰქონდა აღებული, რომ ეს დავალიანებები გაესტუმრებინა. დანარჩენ თანხას დავალიანების გარდა კლუბი მოიხმარს პატიოსნად და წესიერად ინფრასტრუქტურისა და კლუბის ფეხბურთის განვითარებისათვის. ასე რომ, ის აზრი რომ გორის დილამ დამატებითი დახმარება მიიღო სახელმწიფოსგან არის მცდარი. გუნდი სწორედ იმ დაფინანსებითაა, რომელი დაფინანსებითაც ფინანსდებიან ზევით ჩამოთვლილი კლუბები.

რაც შეეხება ამ 2 მილიონ ლარს, არაფერ შუაში არ არის ეს იმ პროექტთან და არც იმ აზრთან, რომ კლუბმა უკვე აიღო ეს 2 მილიონი ლარი. ეს თანხები მოხმარდება ინფრასტრუქტურას, შეგიძლიათ ნახოთ, რა ხდება და როგორ მზადდება დღეს სტადიონი. ვცდილობთ პირველივე უეფას საშინაო მატჩი გორში ჩავატაროთ. ადგილობრივი ხელისუფლება, მოსახლეობა, ყველა კერძო სტრუქტურა, ყველა თანამშრომელი დასაქმებულია სტადიონზე, გვეხმარება ფანკლუბი და ყველა ერთად ვმუშაობთ იმაზე, რომ თამაში გორში ჩატარდეს. რა ხარჯები არის გაწეული ამაზე, ესეც ადვილი დასათვლელი იქნება იმის მიხედვით, რა სამუშაოც იქნება შესრულებული. ასე რომ ჩვენთან ყველაფერი გამჭვირვალეა და იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ აღარა გვაქვს ის თანხები, რაც იყო პირველ წელს. 30-40%-ით შემცირდა სახელფასო განაკვეთიც, ასევე საპრემიო და სამწუხაროდ ვერ ხერხდება ყველა იმ ფეხბურთელის დატოვება კლუბში, რომლებიც ადრე თამაშობდნენ. კლუბი აგრძელებს მომზადებას უეფას ტურნესთვის, გუნდის მწვრთნელები, ფეხბურთელები და ხელმძღვანელობა ყველა გვერდში გვიდგას და ვეცდებით იმ თანხებით და შემადგენლობით, რაც ამ დროისთვის გაგვაჩნია მაქსიმუმი ვაჩვენოთ და გავახაროთ ქართველი გულშემატკივარი.

***რედაქციისაგან:* კარგა ხანს ვიფიქრეთ, დაგვებეჭდა თუ არა „დილას“ ეს განცხადება. რომ არა საკითხისადმი მომეტებული ინტერესი, ალბათ არც გამოვაქვეყნებდით, მით უფრო, რომ ენის სიწმინდეზე რომ არაფერი ვთქვათ, ბევრგან აზრია გაუმართავი. რედაქტირებას კი განცხადების არსის მოსალოდნელი ცვლილების გამო მოვერიდეთ.**

● გურია

## ლანჩხუთის გამგებლის უკრაინული მოთელვა:

# იდეა, ფული და სამი შანსი გურიასათვის!

### მანამდე, 26-ში „ევგრაფი შევარდნაძეზე“: გურია VS კიევის დინამო?!

ჩვენი მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ლანჩხუთის გამგებელი ზაზა ურუშაძე „გურიისთვის“ სპონსორის საძიებლად უკრაინაში იმყოფებოდა. იგი დაგვპირდა, რომ ჩამოსვლისთანავე ვრცლად გვესაუბრებოდა ვიზიტის შესახებ და ასეც მოხდა, ლანჩხუთის გამგებელმა ჩვენს შეკითხვებს უპასუხა:

**- ბატონო ზაზა, უკრაინაში „გურიის“ საკითხებზე საქმიანი შეხვედრები გქონდათ. მხოლოდ ამ მისიით გაემგზავრეთ, თუ უბრალოდ, ამ კუთხითაც იმუშავეთ?**

- რა თქმა უნდა, იყო სხვა საკითხებიც, თუნდაც ციტრუსების უკრაინაში გატანასთან დაკავშირებით, თუმცა მთავარი იყო „გურიის“ საკითხი. მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდი გადავიდა უმაღლეს ლიგაში და მისი სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის სახსრების მოძიებაა საჭირო. ყველა შემთხვევაში, აქედანვე ვაცხადებ, რომ „გურია“ არ იქნება მაჩანჩალა გუნდი და იმისთვის არ გვიბრძოლია, რომ ადგილის შენარჩუნება იყოს ჩვენი მიზანი. რა თქმა უნდა, თავიდან ჩემპიონობაზე არ ვფიქრობთ, მაგრამ ანგარიშგასაწევი გუნდი უნდა გვყავდეს. თანდათან უნდა გავძლიერდეთ და „გურიამ“ ძველი დიდება დაიბრუნოს. ამისთვის აუცილებელია სპონსორის მოძიება. წინასწარვე გეტყვით, რომ არ მქონდა ილუზია, ჩავიდოდი უკრაინაში და სპონსორთან ერთად დავბრუნდებოდი, მაგრამ პირველი შეხვედრის კვალობაზე ხელშესახებ წარმატებას მივაღწიეთ. ახლა მუშაობა უნდა გავაგრძელოთ ამ და სხვა მიმართულებებითაც, რომ „გურიას“ არ გაუჭირდეს. აქვე დავძენ, რომ უკრაინაში თუკი ვინმემ იცის ლანჩხუთი, ეს „გურიას“ დამსახურებით. მე შეხვედრები მქონდა საფეხბურთო წრეებთან და იქ ყველამ იცის ჩვენი კლუბი.

**- ადრეც თქვით, რომ მიხეილ ფომენკოს და ხარკოვის „მეტალისტის“ პრეზიდენტს შეხვდით. იქნებ უფრო დაწვრილებით გვითხრათ.**

- უკრაინაში ჩასვლისთანავე, შევხვდი ჩვენს ელჩს მიხეილ უკლებას, რომელიც გვერდით დამიდგა. იგი თავიდან ბოლომდე ჩართულია ამ საკითხში. შევხვდი „უკრანპატრეპის“ პრეზიდენტსა და უკრაინის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელს - ისინი დახმარებას დამპირდნენ. იცით, ბიზნესმენი ფულს მაშინ დებს, როცა მოგებას ელის. ამიტომაც აქ დაძალებით ან თხოვნით არაფერი გამოვა. მინდა გითხრათ, რომ „გურია“ და გრიგოლეთის ბაზა კარგად ახსოვთ!

თითქმის 4-საათიანი შეხვედრა მქონდა უკრაინის ნაკრების თავკაც მიხეილ ფომენკოსთან. არადა, ბაზას 50-მდე პოლიციელი იცავდა და იქ შესვლა, მით უფრო, ნაკრების შეკრების დროს შეუძლებელია. როცა მე მას „ვიზიტკა“ შევუგზავნე, უმალვე შემიშვეს. ბევრი რამ გავიხსენეთ, რაღაც კავშირებზე გასვლაში დამეხმარა, მე ის ლანჩხუთში დავპატიჟე. სხვათა შორის, 26-ისთვის ლანჩხუთში ასევე გვინდა მოვიწვიოთ უკრაინული ფეხბურთის ლეგენდები - ბესონოვი, ხლუსი, დემიანენკო, ბალი და სხვები. იქნება ვეტერანთა მატჩი, რაც „გურიას“ დიდი რეკლამა იქნება. ფაქტობრივად, ჩამოვა 80-იანი წლების კიევის „დინამო“, რომელმაც ევროთასი აიღო და სსრკ ნაკრები მთლიანად მისით იყო დაკომპლექტებული. პარალელურად ითამაშებენ „გურიის“ ის ვეტერანები, რომლებმაც კლუბს ყველაზე დიდი წარმატებები მოუტანეს.

ასევე შეხვედრა მქონდა სერგეი კურჩენკოსთან. ხარკოვის „მეტალისტის“ 35 წლის პრეზიდენტი 26-ისთვის თავად თუ არ ჩამოვა, თავის წარმომადგენლებს გამოგზავნის, რათა ადგილზე შეაფასონ სიტუაცია. ბავშვთა ფეხბურთის კუთხით უფრო ველი მასთან თანამშრომლობას.

**- როგორც ვიცით, სხვა შეხვედრებიც გქონდათ.**

- განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩემი შეხვედრა უკრაინის ფედერაციის მაღალჩინოსან ალექსანდრე გუზენკოსთან. მან გაიხსენა, რომ ლანჩხუთში თამაშის წინ (მაშინ თურმე ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ღირსებას იცავდა) სასტუმროში წვერიანმა ადგილობრივმა ქომაგმა 10 ლიტრი ღვინო მიუტანა, ხვალ მაინც წააგებთ და ეს მაინც შესვითო. ის თამაში „გურიას“ 4:0 მოუგია. ჩვენ ვესაუბრეთ ერთ-ერთი ძლიერი ბანკის წარმომადგენლებს, რომლებსაც ასევე ველოდებით ლანჩხუთში. გარკვეული კონტაქტები დავამყარეთ ვეტერან ფეხბურთელ სერგეი სოლოვიოვთან, რომელსაც უკრაინაში ფეხსაცმლის რამდენიმე სერიოზული ფაბრიკა აქვს.

როცა „ენერგოატომის“ პროფკავშირების თავმჯდომარეს შევხვდი (2 მილიონი წევრი ჰყავს და უკრინაში ფეხბურთის დაფინანსებაში მონაწილეობს), მან მითხრა, რომ ფეხბურთის მცოდნეს შემახვედრებდა და ეს კაცი აღმოჩნდა ვიქტორ ხლუსი. ძალიან დიდი სიყვარულით გაიხსენა ხლუსმა „გურიაში“ გატარებული დრო და აქაური ქომაგები. ისიც დამეხმარება კონტაქტების დამყარებაში, ვიქტორი მთელს უკრაინაში ავტორიტეტული პიროვნებაა - აქვს 5 სართულიანი სპორტკომპლექსი, ფეხბურთის აკადემია. არის კიდევ რაღაც დეტალები, რაზეც ამ ეტაპზე არ მინდა საუბარი. ყინული დაიძრა და იმედია, შედეგიც გვექნება. სამ ვარიანტზე ვფიქრობ, რომ სერიოზულია.

**- ბატონო ზაზა, რას ფიქრობენ უკრაინელები ქართულ ფეხბურთზე და იქაურ ფეხბურთში რა მოგეწონათ?**

- ძალიან მომეწონა სპორტული ინფრასტრუქტურა, უკრაინის ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ საწვრთნელმა ბაზებმა ხომ საერთოდ აღმაფრთოვანა. სამწუხაროდ, ჩვენს ფეხბურთზე მაღალი წარმოდგენა არა აქვთ. ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ ბავშვთა ფეხბურთს, ამ კუთხით უკვე აქედანვე ჩანს, რომ სერიოზული ურთიერთობა შეიძლება.

**- ახლა „გურიაზე“ დავაკონკრეტოთ - ცვლილებები, შეკრება და ა. შ. უკვე დაგეგმილია?**

- არა, ჩვენ ახლა გავივლით ამ საკითხებს და მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლება კონკრეტულად საუბარი. სხვათა შორის, უკრაინაში ჩვენი ფეხბურთელების ვიდეომასალების გაგზავნა შემომთავაზეს და ვინც მოგვეწონება, ჩვენთან წავიყვანთო. ეს ერთი მხრივ კარგია, თუმცა ამ ეტაპისთვის „გურიას“ წამყვანი მოთამაშეების გამოკლების ფუფუნება არ აქვს. ასე რომ, ბირთვს შევინარჩუნებთ.



ზაზა ურუშაძე (მარცხნივ) უკრაინაში ყოფნისას გურიას ყოფილ ფეხბურთელ ვიქტორ ხლუსს შეხვდა

**- ადრე გვითხარით, რომ სტადიონის მშენებლობა მაისის ბოლოს დაიწყებოდა. რა ხდება ამ მიმართულებით?**

- სამწუხაროდ, ჯერ არ დაწყებულა და ამ დღეებში ვაპირებ თბილისში ჩასვლას ამ საკითხთან დაკავშირებით. სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელი, მოგეხსენებათ, ჩამოსული გახლდათ და ყველანაირად დახმარებას დაგვპირდნენ. როგორც ჩანს, რაღაც უმნიშვნელო პრობლემაა, სტადიონის კეთილმოწყობა გარდუვალია. სეზონის დაწყებამდე მოეწყობა გასახდელები, ვიპ და პრესლოჟები, დაიდგმება ინდივიდუალური სკამები, ხოლო პარალელურად დაიწყება დასავლეთ ტრიბუნის აგება.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

● ტორპედო

# სარაგოსა ქუთაისში ჩავიდა

შაბათს ქუთაისს ეწვივნენ "ტორპედოს" ახალი მთავარი და ფიზმომზადების მწვრთნელები - **ჟერარდ სარაგოსა მულე** და **ალბერტო ბერიკალი**.

გუნდის პრესატაშის, **რამაზ ჩხიკვაძის** თქმით, ესპანელმა სპეციალისტებმა ქუთაისური გუნდის ბაზა და ცენტრალური სტადიონი დაათვალიერეს.

*"სტადიონი აქამდეც ვნახე, რადგან ქუთაისში "ტორპედოს" თამაშებს ორჯერ დავესწარი. დღეს კი ორივე კომპლექსი მთლიანად დავათვალიერე და კმაყოფილი დავრჩი. ვფიქრობ, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო არენაა. რაც შეეხება ბაზას, ასეთი პირობები ბევრ ესპანურ გუნდსაც არ გააჩნია - არის იმის საშუალება, რომ გუნდი დარჩეს და შეხვედრებისთვის კარგად მოემზადოს. მოკლედ, მაღალ დონეზე სათამაშოდ ყველაფერი გვაქვს"* – განაცხადა ჟერარდ სარაგოსამ.

კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი პაპიაშვილმა** კი "ტორპედოს" უახლოეს გეგმებზე ილაპარაკა: *"10 ივნისს გუნდი ქუთაისში შეიკრიბება, 18-დან ავსტრიაში მოსამზადებელი ეტაპი დავგეგმეთ, სადაც ამხანაგური თამაშებიც გვექნება. კლუბი უკვე აქტიურად ემზადება ევროპის ლიგისთვის, ღირსეულად რომ ვითამაშოთ".*



ჟერარდ სარაგოსა (მარცხნივ) და გიორგი პაპიაშვილი

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXIV ჩემპიონატის შეჯამება

სიონი

# მუდმივი ცვალებადობა

ბოლნისის „სიონი" უმაღლეს ლიგაში 1995 წელს გამოჩნდა და იმის მერე მუდმივად ინარჩუნებს ადგილს უძლიერესთა რიგებში; თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ბოლო სამი სეზონია გუნდი დიდი წვალებით ახერხებს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას: 2010-11 წლების სეზონის დასრულებამდე 2 ტურით ადრე ჩემპიონატის რეგლამენტი რომ შეიცვალა, ბოლნისელებს ამანაც უშველა, თორემ პლეი ოფს ვერ აცდებოდნენ; იმის მომდევნო და ახლახან დასრულებულ ჩემპიონატებში კი მხოლოდ ბოლო ტურში მოპოვებული გამარჯვებებით გადარჩა „სიონი". ალბათ, ამის გამოც არის, ბოლნისის საშინაო მატჩებზე გულშემატკივართა რაოდენობამ რომ მოიკლო; არადა, არცთუ შორეული წარსული გავიხსენოთ, როცა „სიონს" ახლანდელთან შედარებით ბევრად უფრო ამბიციური მიზნები ჰქონდა და თეიმურაზ სტეფანიას სახელობის სტადიონის ტრიბუნებზეც მუდამ ხალხმრავლობა იყო. ალბათ, ნახევრად ცარიელი ტრიბუნების გამოც იყო, „სიონს" სტუმრად რომ უფრო უკეთესი შედეგი ჰქონდა, ვიდრე — საკუთარ მოედანზე! თავად განსაჯეთ: ჩემპიონატის პირველ ეტაპზე გუნდმა 4 მატჩი მოიგო და აქედან მხოლოდ ერთადერთხელ იყო საშინაო გამარჯვება (XVII ტურში, „მერანთან"). ანუ, ისე გამოვიდა, ჯერ კიდევ შემორჩენილი გუნდის ერთგული ქომაგები თითქმის სამი თვის განმავლობაში ელოდნენ თავიანთი საყვარელი გუნდის საშინაო გამარჯვებას. არადა, არამხოლოდ „სიონის" აღზევების პერიოდში (2003-2006 წლებს ვგულისხმობთ), მანამდეც და შემდეგაც ბოლნისში თამაში ყველას უჭირდა (მათ შორის, ჩემპიონატის ფავორიტებსაც); თუმცა, „სახლის გუნდად" მონათლული „სიონი" ნელ-ნელა კარგავდა თავის ერთგულ ქომაგებსაც და, რაც მთავარია, საკუთარ პოზიციასაც ქართულ ფეხბურთში. ძნელია, „ხაზგასმით" ამტკიცოს კაცმა, თუ რა არის „სიონის" ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მიზეზი, — ალბათ, მაინც გაუთავებელი ცვლილებები გუნდისა თუ კლუბის ხელმძღვანელობაში; თანაც, ამ შემთხვევაში მხოლოდ სამწვრთნელო გადაადგილებებს არ ვგულისხმობთ (ამ 18 წლის განმავლობაში მხოლოდ ორი-სამი შემთხვევა თუ ყოფილა, როცა სეზონი ერთსა და იმავე მწვრთნელს ჩაემთავრებინოს): უკვე ტრადიციად იქცა, რომ ჩემპიონატს „სიონი"... ორი გუნდით ატარებს! ჰო, ასეა: ზამთრის პაუზამდე ვინც თამაშობენ, იმათგან მართლაც ერთეულები თუ რჩებიან მეორე ეტაპისათვის და ამ მხრივ, გამონაკლისი არც მიმდინარე სეზონი იყო. ანუ, „სიონის" ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას მოკლევადიანი კონტრაქტები აქვს და ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ყოველი სატრანსფერო პერიოდის დროს ბოლნისური კლუბის ხელმძღვანელები მუდამ ახალი ფეხბურთელების ძიებაში არიან. თუმცა, ეს ჩემპიონატი იმითაც იყო „გამორჩეული", რომ სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე მოხდა საკადრო ცვლილებები თავად კლუბის ხელმძღვანელობაში, რაც საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ გენერალურ დირექტორად ახლო წარსულის ცნობილი ფეხბურთელი **ლადო ბურდული** დაინიშნა. ბურდულისა და მისი თანამოაზრეების დებიუტი, ცოტაც და კატასტროფული იქნებოდა, მაგრამ „სიონი" ამჯერადაც გადარჩა და ამჯერადაც... ბოლო ტურში!



ირაკლი ლექვთაძე (№9)

## მწვრთნელ(ებ)ი

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ „სიონში" სამწვრთნელო გადაადგილებები უკვე ჩვეულებრივი ამბავია და არცთუ შორეულ წარსულში ისეთი შემთხვევებიც არაერთხელ ყოფილა, როცა ერთი სეზონის განმავლობაში ბოლნისური გუნდი ოთხ სპეციალისტს გაუწვრთნია. რაც შეეხება ახლახან გასრულებულ სეზონს, ჩემპიონატი **ხვიჩა ქასრაშვილმა** დაიწყო, თუმცა 4 ტურის მერე მის ნაცვლად **არმაზ ჯელაძე** დაინიშნა და სეზონის ბოლომდე შეინარჩუნა თავისი პოსტი.


არმაზ ჯელაძე სიონს მეხუთე ტურიდან ხელმძღვანელობდა


დავით სვანიძე

## მეკარეები

29 წლის **მინდია ბობლიაშვილმა** უკვე 9 სეზონი ჩაატარა „სიონის" მაისურით და ახლაც ძირითადი მეკარის სტატუსი ჰქონდა; პირველ ეტაპზე 3 შეხვედრა გამართა მისმა დუბლიორმა, 23 წლის **ვახტანგ ლობჟანიძემ**. მეორე ეტაპიდან კი ბობლიაშვილს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა — 32 წლის **მირზა მერლანმა** სეზონის დასკვნით ტურებში მიიღო მონაწილეობა.

## მცველები

ბოლნისური გუნდის შემადგენლობაში მართლაც თითზე ჩამოსათვლელია ისეთი ფეხბურთელები, წლების განმავლობაში რომ „სიონში" თამაშობენ. სწორედ ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება გუნდის კაპიტანი, 33 წლის **დავით სვანიძე**, რომელიც თავის მშობლიური ქალაქის გუნდის ღირსებას 1998 წლიდან იცავს! ამ დროის განმავლობაში სვანიძემ ორჯერ სცადა კარიერის აზერბაიჯანში გაგრძელება, მაგრამ ორივეჯერ მშობლიურ „სიონს" დაუბრუნდა და გასულ სეზონში პირადი რეკორდიც დაამყარა — 4 გოლი გაიტანა. სვანიძის მსგავსად გამოცდილება არ დაენუნებათ 34 წლის **რევაზ ქემოკლიძესა** და 31 წლის **სერგი ორბელაძეს**; სწორედ ეს სამი მცველი იყო, ორივე ეტაპი „სიონში" რომ გაატარეს, დანარჩენებიდან ზოგი პირველ ეტაპზე თამაშობდა ბოლნისურ გუნდში, ზოგიც — ზამთრის პაუზის მერე. ამათგან, ერთი „უცნაური" ტრანსფერიც უნდა ვახსენოთ: იანვარში „სიონში" ჩაირიცხა ისრაელის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 22 წლის **გალ საპირი**, თუმცა მხოლოდ სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა...

## ნახევარმცველები

პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ სხვადასხვა გუნდებს მიაშურეს **გიორგი ქუცურუამ, გიორგი ფეიქრიშვილმა, თორნიკე თარხნიშვილმა, გიორგი ჭედიამ** და **გიორგი ჭანკოტაძემ**; მათ ნაცვლად კი გუნდში ჩაირიცხნენ როგორც ცნობადი სახეები (**ირაკლი კლიმიაშვილი, ირაკლი ლექვთაძე, გიორგი ცხადაია, გიორგი ჩივაძე**), ასევე დებიუტანტები — **გიორგი ბიბილეიშვილი** და **გოგიტა გოგატიშვილი**. ანუ, ისე გამოვიდა, რომ მთელი სეზონი მხოლოდ ოთხმა ნახევარმცველმა გაატარა: 32 წლის **გიორგი მანწკავამ**, 32 წლის **ვლადიმერ ჯოჯუამ**, 27 წლის **ვლადიმერ უგრეხელიძემ** და 22 წლის **ვაჟა ნემსაძემ**. ურიგო ფეხბურთელი არ არის გუნდის ახალწვეული, 31 წლის პოლონელი საყრდენი ნახევარმცველი **პაველ ჰაიდუჩეკი**.

## თავდასხმა

პირველ ეტაპზე გუნდის უპირველესი ფორვარდი გამოცდილი **რევაზ ჯიქია** გახლდათ — 32 წლის თავდამსხმელი 6 გოლით „სიონის" საუკეთესო ბომბარდირი იყო და... დარჩა კიდეც! ჯიქიამ პირველი ეტაპის მერე გუნდი დატოვა, თუმცა კლუბის ახალმა ხელმძღვანელებმა მასზე არანაკლებ გამოცდილი ორი შემტევი გადაიყვანა „სიონში": 30 წლის **ლადო ახალაია** და 32 წლის **კოკა მიკუჩაძე**. სხვათა შორის, მიკუჩაძე ადრეც თამაშობდა „სიონში" და ამ თავდამსხმელმა არცთუ მოკრძალებული წვლილი შეიტანა 2006 წელს ბოლნისელთა საჩემპიონო ტრიუმფში. ახალაიაც და მიკუჩაძეც „სიონს" ძალიან გამოადგნენ როგორც უმაღლეს ლიგაში დარჩენაში, ისე თასის გათამაშებაში წარმატებულ ასპარეზობაში. იმავეს თქმა შეიძლება ორ ადგილობრივ ახალგაზრდა შემტევზე: 22 წლის **ვილი ისიანზე** და 21 წლის **ჯაბა უგულავაზე**.

**გია ტუხაშვილი**

### სიონის ყველა მატჩი

**I ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | სიონი - დინამო (ბთ) | 2:2 |
| II ტური | სიონი - კოლხეთი | 0:0 |
| III ტური | დილა - სიონი | 2:3 |
| IV ტური | სიონი - ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| V ტური | ჩიხურა - სიონი | 2:1 |
| VI ტური | მერანი - სიონი | 1:0 |
| VII ტური | სიონი - ზუგდიდი | 0:0 |
| VIII ტური | დინამო (თბ) - სიონი | 7:2 |
| IX ტური | სიონი - ზესტაფონი | 0:2 |
| X ტური | მეტალურგი - სიონი | 1:0 |
| XI ტური | სიონი - ტორპედო | 0:2 |
| XII ტური | დინამო (ბთ) - სიონი | 0:1 |
| XIII ტური | კოლხეთი - სიონი | 0:1 |
| XIV ტური | სიონი - დილა | 0:2 |
| XV ტური | ვიტ ჯორჯია - სიონი | 0:0 |
| XVI ტური | სიონი - ჩიხურა | 0:3 |
| XVII ტური | სიონი - მერანი | 2:1 |
| XVIII ტური | ზუგდიდი - სიონი | 2:0 |
| XIX ტური | სიონი - დინამო (თბ) | 0:5 |
| XX ტური | ზესტაფონი - სიონი | 1:0 |
| XXI ტური | სიონი - მეტალურგი | 0:0 |
| XXII ტური | ტორპედო - სიონი | 4:1 |

*I ეტაპი: 22 მატჩი, 4 მოგება, 6 ფრე, 12 წაგება, ბურთები: 14-38*

**II ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| XXIII ტური | ვიტ ჯორჯია - სიონი | 0:2 |
| XXIV ტური | კოლხეთი - სიონი | 2:1 |
| XXV ტური | სიონი - დინამო (ბთ) | 0:1 |
| XXVI ტური | მეტალურგი - სიონი | 0:0 |
| XXVII ტური | სიონი - მერანი | 3:1 |
| XXVIII ტური | სიონი - ვიტ ჯორჯია | 0:3 |
| XXIX ტური | სიონი - კოლხეთი | 6:2 |
| XXX ტური | დინამო (ბთ) - სიონი | 1:1 |
| XXXI ტური | სიონი - მეტალურგი | 2:2 |
| XXXII ტური | მერანი - სიონი | 1:2 |

II ეტაპი: 10 მატჩი, 4 მოგება, 3 ფრე, 3 წაგება, ბურთები: 17-13

სულ: 32 მატჩი, 8 მოგება 9 ფრე, 15 წაგება, ბურთები: 31-51

მწვრთნელები: ხვიჩა ქასრაშვილი (I-IV ტური); არმაზჯელაძე (V-XXXII ტური)

მეკარეები: მინდია ბობლიაშვილი - 25, მირზა მერლანი - 4, ვახტანგ ლობჟანიძე - 3;

მცველები: დავით სვანიძე - 27 (4), რევაზ ქემოკლიძე - 21, სერგი ორბელაძე - 21, თენგიზ ჩიკვილაძე - 19, გიორგი ოქროპირიძე - 15, ნოდარ მაჭავარიანი - 12, ზაალ ელიავა - 10, დაჩი ფოფხაძე - 5, დავით ლომაია - 4, გალ საპირი - 3, გელა ხუბუა - 3;

ნახევარმცველები: გიორგი მანწკავა - 24 (2), ვლადიმერ ჯოჯუა - 23, გიორგი ქუცურუა - 19 (1), ვლადიმერ უგრეხელიძე - 18 (2), თორნიკე თარხნიშვილი - 15, ვაჟა ნემსაძე - 14, გიორგი ფეიქრიშვილი - 13 (1), გიორგი ჭანკოტაძე - 12 (1), პაველ ჰაიდუჩეკი - 9 (1), ირაკლი ლექვთაძე - 8 (1), გიორგი ცხადაია - 8 (1), ირაკლი კლიმიაშვილი - 6 (1), გიორგი ბიბილეიშვილი - 5, გიორგი ჩივაძე - 3, მანუჩარ ოქროპირიძე - 3, გოგიტა გოგატიშვილი - 2, გიორგი გორდეზიანი - 1;

თავდამსხმელები: ვილი ისიანი - 21 (1), რეზო ჯიქია - 18 (6), გიორგი ჭედია - 17 (1), ჯაბა უგულავა - 11 (1), კოკა მიკუჩაძე - 10 (4), ლადო ახალაია - 8 (3), ზურაბ ხურციძე - 2, ლაშა კემუხტაშვილი - 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● წარმოგიდგენთ 19-წლამდელებს


ელიტრაუნდში ბელგიასთან მატჩის მთავარი გმირები: გიორგი ფანცულაია (№14) და გურამ სამუშია

## გურამ სამუშია
# არავიზე ნაკლები არ ვართ

**"ლელო" საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების კიდევ ერთ ფეხბურთელს წარმოგიდგენთ.**

ელიტ რაუნდში ბოლო შეხვედრას საქართველოს ნაკრები ბელგიასთან ატარებდა. 78-ე წუთისთვის **გია ცეცაძის** განწრთნილები 1:0-ს იგებდნენ. **გურამ სამუშია** მარცხენა ფლანგზე ორ მცველს გასცდა და საჯარიმოს კუთხიდან ბურთი კარში ჩაახვია. ბელგიელებს "ბრიუგეს" მეკარე **სვენ დუსტის** თავგანწირულმა ნახტომმაც ვერ უშველა, ბურთი "ცხრიანში" ჩაეშვა და ყველაფერი დალაგდა – საქართველოს ნაკრები ევროფინალში გავიდა.

გურამ სამუშია ქართველმა გულშემატკივარმა 2011 წელს გაიცნო, როდესაც **კობა ჟორჟიკაშვილის** დროინდელ 17-წლამდელთა ნაკრებში ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე იყო და მადრიდის „ატლეტიკომ" სინჯებზე მიიწვია, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ზუგდიდის „ბაიას" შემტევი ნახევარმცველი "ზესტაფონში" გადავიდა და გასულ სეზონში გუნდში ადგილის დამკვიდრებას ცდილობდა.

ელიტ რაუნდის შემდეგ სამუშია ზუგდიდში ისვენებს და ევროპის ჩემპიონატის მოლოდინშია.

### ბავშვობა და პირველი მწვრთნელები

ბავშვობიდან მამუკა ჭაჭუასთან და ბორის გუგუჩიასთან ვვარჯიშობდი. სტადიონიდან 3 კილომეტრში ვცხოვრობდი. პატარა ბიჭისთვის ძნელი იყო ყოველდღე 6 კილომეტრის გავლა. მაგრამ ერთი ბიჭი ყოველდღე აფხაზეთიდან ჩამოდიოდა და მრცხვენოდა, ჩემს დალლაზე მელაპარაკა. ალბათ, ასე ჩამომიყალიბდა გამძლეობა და შრომისმოყვარეობა.

მერე "ბაია" დაარსდა, სადაც კარგი პირობები შეგვიქმნეს. იქიდან კი 15 წლის ბიჭი ელგუჯა ქომეთიანმა "ბაიაში" მიმიწვია და უმაღლეს ლიგაში სადებიუტო შეხვედრაც ჩავატარე – სხვათა შორის, "ზესტაფონს" ვხვდებოდით. 16 წლის ვიყავი, უმაღლესში პირველი გოლი "გაგრას" რომ გავუტანე. მალე "ზესტაფონში" მიმიწვიეს, სადაც ძლიერი ფეხბურთელები თამაშობდნენ და გია გეგუჩაძე მავარჯიშებდა.

საერთოდ, მწვრთნელებთან თავიდანვე მიმართლებდა. ჩემზე დიდი გავლენა მოახდინეს გიორგი დევდარიანმა და გიორგი ცეცაძემ, რომლებმაც პირველად გამომიძახეს ნაკრებში. ცხადია, კობა ჟორჟიკაშვილმაც, რომლის 17-წლამდელებიდანაც ხალხმა გამიცნო.

### ელიტ რაუნდზე

თავიდანვე ცეცაძემ საქმე ისეააწყო, მწვრთნელები და ფეხბურთელები ერთმანეთს იოლად ვუგებდით და საბრძოლო სულისკვეთება გვქონდა. კარგი ატმოსფერო ბიჭებს მოედანზეც გაგვყვა. საკუთარი ძალების ვირწმუნეთ და გვჯეროდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გავიდოდით. ყველა მეტოქესთან მაქსიმალური თავდადებით, ბოლო წუთამდე მობილიზებულები ვთამაშობდით, მწვრთნელის დავალებებს ვასრულებდით. შედეგიც დავიმსახურეთ.

გია ცეცაძემ მარცხენა ფლანგის შემტევად დამაყენა. ბელგიასთან თამაშამდე ვარჯიშზე კი მითხრა, მარცხნიდან შევარდნასა და შორიდან დარტყმაზე ივარჯიშეო. არ ვიცი, გული უგრძნობდა თუ რა იყო მიზეზი, მაგრამ ასე დარტყმა ლამის ავტომატურამდე დავხვეწე. ბელგიასთან შეხვედრის დროს, ბურთი ზუსტად მარცხენა ფლანგზე მივიღე. საჯარიმოს კუთხეს რომ მივუახლოვდი, არც დავფიქრებულვარ, ისე გავაქანე - ბურთი "ცხრიანში" რომ ჩაეშვა, უბედნიერესი ადამიანი ვიყავი.

იმედი მაქვს, რომ ჩვენი გულშემატკივრის იმედებს გუნდი ლიტვაშიც გავამართლებთ.

### ევროპული იმედები

ელიტ რაუნდის შემდეგ ზუგდიდში დავბრუნდი, ერთ კვირა დავისვენე, მაგრამ მწვრთნელმა დავალება მოგვცა და ფორმას მსუბუქი ვარჯიშებით ვინარჩუნებ – მეგობრებთან ერთად, ყოველდღე ვთამაშობ და ვერთობი. 10 ივნისს "ზესტაფონი" სეზონისთვის მზადებას დაიწყებს და ნაკრების შეკრებისთვის მზად ვიქნები.

უიმედოდ თამაშს აზრი არ აქვს. ჩვენ კი საკუთარი ძალების ვირწმუნეთ. ამიტომ, ევროპის ჩემპიონატს თითოული ჩვენგანი იმედით ველით და წარმატებით გამოსვლაზე ვოცნებობთ. მიმაჩნია, რომ ნებისმიერ ჩვენს მოთამაშეს შეიძლება ჰქონდეს იმის საფუძველი, რომ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს და მსოფლიომ გაიცნოს. ესპანელები, გერმანელები და თურქები არაფრით ჩვენზე უკეთესები არ არიან.

### მომავალზე

არ დავმალავ, ელიტ რაუნდის შემდეგ გავიგე, რომ რამდენიმე გუნდი ჩემით დაინტერესდა. მაგრამ ჯერჯერობით "ზესტაფონის" ფეხბურთელი ვარ და ტრანსფერზე ბევრს არც ვფიქრობ, რადგან "ზესტაფონთან" კონტრაქტი მაქვს და არ გამიშვებენ. თუმცა ჯერ ისიც არ ვიცი, გუნდში რა ხდება და ახალ სეზონში რა გეგმები გვექნება.

**მერაბ მამულაშვილი**



### დოსიე
### გურამ სამუშია

პოზიცია: ფლანგის შემტევი ნახევარმცველი
დაიბადა 1994 წლის 5 სექტემბერს ზუგდიდში
სიმაღლე: 177 სმ
წონა: 67 კგ

**კლუბები**

2007-2009 - "მგლები" (ზუგდიდი)
2009-2011 - "ბაია" (ზუგდიდი)
2012-დან - "ზესტაფონი"

**სანაკრებო კარიერა**

U 17 – 7 მატჩი, 1 გოლი
U 19 – 5 მატჩი, 2 გოლი
(აზერბაიჯანთან შესარჩევში, ბელგიასთან ელიტ რაუნდში)

● სამწვრთნელო საკითხი

# ოთხი ცვლილება

### ლუის ენრიკე სელტას მწვრთნელია

„რომას" ყოფილი თავკაცი **ლუის ენრიკე** ვიგოს „სელტას" ახალი მთავარი მწვრთნელია. წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა გალისიურ კლუბთან 2-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

*„ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი ლუის ენრიკე შემტევი ფეხბურთის მიმდევარია, მას კარგად გამოსდის მუშაობა ახალგაზრდა ფეხბურთელებთან, მისი განწრთნილი „ბარსელონა B" და „რომა" კონკურენტუნარიანი გუნდები იყვნენ. ამიტომაც მას 2-წლიანი ხელშეკრულება გავუფორმეთ"*, - ვკითხულობთ „სელტას" ოფიციალურ საიტზე.

43 წლის სპეციალისტმა პოსტზე 53 წლის **აბელ რესინო** შეცვალა, რომელთანაც ხელშეკრულება, „სელტას" გადარჩენის მიუხედავად, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეწყდა.

ლუის ენრიკეს გუნდში არ დახვდება საუკეთესო ბომბარდირი **იაგო ასპასი**, რომელიც 8 მილიონ ევროდ „ლივერპულში" გადავიდა.

„ფუტბოლ ესპანიას" ცნობით, ლუის ენრიკე „სელტაში" „ბარსელონას" აღზრდილების მიყვანას გეგმავს, მაგალითად, 20 წლის **რაფაელ ალკანტარას**. შეგახსენებთ, რომ წარსულში „სელტას" ღირსებას **ტიაგოს** და **რაფინიას** მამა, ბრაზილიელი **მაზინიო** იცავდა.


ლუის ენრიკე

„სელტამ" მე-17 ადგილი დაიკავა და ბოლო ტურში სასწაულებრივ გადაურჩა გავარდნას.

### ჩემპიონთა ლიგაზე გასულ გუნდს 35 წლის მწვრთნელი დაუნიშნეს

სან სებასტიანის „რეალ სოსიედადს" ახალი მწვრთნელი ჰყავს - **ფილიპ მონტანიე ხაგობა არასატემ** შეცვალა. მის შესახებ არაფერი გეცოდინებათ, გარდა


ხაგობა არასატე

იმისა, რომ „რეალ სოსიედადში" არასატე ფრანგის თანაშემწე იყო. ბასკთა ახალი თავკაცი სულ რაღაც 35 წლისაა.

პრესკონფერენციაზე „რეალ სოსიედადის" პრეზიდენტმა **ხოკინ აპერიბაიმ** განაცხადა: *„ჩვენი შემდეგი მწვრთნელი არასატე იქნება, რადგან მას შეუძლია გააგრძელოს ჩვენი სტრატეგია, რომელიც წლების განმავლობაში შემუშავდა"*.

შეგახსენებთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ „რეალ სოსიედადმა" ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, მონტანიე ფრანგულ „რენში" წავიდა.

*„ბედნიერი ვარ, რომ კარიერაში ბრწყინვალე შანსი მომეცა, მენდნენ და „რეალ სოსიედადის" მწვრთნელი გავხდი"*, - ეს უკვე ხაგობა არასატეს სიტყვებია.

### ბილბაომ ბიელსა გაუშვა

ბილბაოს „ატლეტიკის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა აღარ გაუგრძელოს კონტრაქტი არგენტინელ მწვრთნელ **მარსელო ბიელსას**.

*„ჩვენ მივიჩნევთ, რომ ახლა „ატლეტიკის" ინტერესებში ცვლილებებია. ვინ შეცვლის მარსელო ბიელსას, ჯერ არ გადაგვიწყვეტია"*, - განაცხადა „ბილბაოს" პრეზიდენტმა **ჟოზე ურუტიმ**.

ბიელსა 2 სეზონი ხელმძღვანელობდა ბასკურ გუნდს, პირველში მან გუნდი ევროპალიგის და ესპანეთის თასის ფინალში გაიყვანა, მეორეში კი „ატლეტიკი" ყველა ფრონტზე ჩაფლავდა. ლა ლიგაში გუნდმა მე-12 ადგილი დაიკავა.

### ლევანტეში ხოაკინ კაპაროსი დანიშნეს

გუნდიდან გაუშვეს ლა ლიგის კიდევ ერთი მწვრთნელი - „ლევანტემ" **ხუან იგნასიო მარტინესთან** შემდგომი თანამშრომლობა აღარ ისურვა. მის ნაცვლად კი **ხოაკინ კაპაროსი** დაინიშნა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● შემთხვევა

# ვოივოდინას პრეზიდენტი სასტუმროში მკვდარი იპოვნეს

სერბული კლუბის „ვოივოდინას" ექსცენტრული პრეზიდენტი **რატკო ბუტოროვიჩი** საკუთარ სასტუმროში მკვდარი იპოვნეს. ქალაქ ნოვი სადის სასტუმრო „პარკი" 2004 წლიდან მისი საკუთრება იყო. ოფიციალურად სიკვდილის მიზეზი არ გამოქვეყნებულა, თუმცა ძალადობის ნიშნები პოლიციამ ვერ ნახა.

56 წლის ბუტოროვიჩი სამშობლოში „ბატა კან კანის" მეტსახელით იყო ცნობილი. ის ასევე იყო ჩერნოგორიის კრივის ფედერაციის ბოსი და საკალათბურთო კლუბ „რანდიჩკის" მფლობელი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


რატკო ბუტოროვიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ლიგა. სეზონის შეჯამება. I ნაწილი (სტატისტიკა)

# ლა ლიგა 2012/13 ციფრებში

## ბარსა: ღირსეული ჩემპიონი

**გთავაზობთ** ესპანეთის ჩემპიონატის შეჯამების პირველ (სტატისტიკურ) ნაწილს. აქ თქვენ მხოლოდ ციფრებს შეხვდებით, სეზონის ანალიზი და ნომინანტთა დასახელება შემდეგისთვის შემოვინახოთ.

### ზოგადი სტატისტიკა

* 2012/13 წლების სეზონი ლა ლიგის რიგით 82-ე გათამაშება იყო.
* ჩემპიონი გახდა „ბარსელონა", რომელმაც ეს ტიტული 22-ედ მოიგო.
* ჩემპიონატის ოფიციალური ბურთი იყო „ნაიკ მაქსიმი".
* ლა ლიგიდან გავარდნენ: „მალიორკა", „დეპორტივო" და „სარაგოსა".
* ლა ლიგაში გადავიდნენ: „ელჩე" და „ვილიარეალი". მესამე გუნდის ვინაობას გაარკვევს პლეი ოფი.
* ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებენ: „ბარსელონა", „რეალი", „ატლეტიკო" და „რეალ სოსიედადი".
* ევროპალიგაზე იასპარეზებენ: „ვალენსია", „ბეტისი" და „სევილია" (თუ „მალაგას" სარჩელი არ დააკმაყოფილეს).
* სულ ჩემპიონატში გაიმართა 380 მატჩი.
* გავიდა 1 091 გოლი (2,87 საშ).
* ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა **ლიონელ მესი** (ბარსელონა) 46 გოლით.
* ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება: ატლეტიკო-დეპორტივო 6:0.
* ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება: რაიო ვალეკანო-ბარსელონა 0:5, მალიორკა-რეალი 0:5 და ვალენსია-რეალი 0:5.
* ყველაზე მეტი გოლი: დეპორტივო-ბარსელონა 4:5.
* ყველაზე გრძელი გამარჯვებების სერია - „ბარსელონა" (12 ტური).
* ყველაზე გრძელი წაუგებელი სერია - „ბარსელონა" (19 ტური).
* ყველაზე გრძელი მოუგებელი სერია - „სარაგოსა" (15 ტური).
* ყველაზე გრძელი წაგებების სერია - „დეპორტივო" და „მალიორკა" (6-6 ტური).
* ყველაზე მეტი მაყურებელი - „კამპ ნოუ", ბარსელონა-რეალი 2:2 (96 589 მაყურებელი).
* საშუალო დასწრება - 29 430 მაყურებელი თამაშზე.
* „ბარსელონა" პირველიდან ბოლო ტურის ჩათვლით მხოლოდ პირველ ადგილზე იყო.
* ყველაზე მეტი საგოლე პასი გააკეთა **ანდრეს ინიესტამ** (ბარსელონა) - 16.
* ყველაზე ცოტა გოლი (საშუალოდ) გაუშვა „ატლეტიკოს" მეკარე **ტიბო კურტუამ** - 29 გოლი 37 მატჩში (0,78 საშუალოდ).
* „ფეარ პლეის" პრიზი მიიღო „ბარსელონამ" - 74 ქულა (56 გაფრთხილება, 2 გაძევება ორი ყვითელი ბარათით). ბოლო ადგილზე გავიდა „ესპანიოლი" - 186 ქულა.
* სეზონის 1-ლი გოლი - **ფაბრის ოლინგა** (მალაგა) „სელტას" კარში (18 აგვისტო).
* სეზონის უსწრაფესი გოლი - **ხოსე ანტონიო რეიესი** (სევილია): 13 წამში „ბეტისის" კარში.
* **რადამელ ფალკაომ** (ატლეტიკო) „დეპორტივოს" კარში ერთ მატჩში 5 გოლი გაიტანა.
* შესრულდა ორი პოკერი: ლიონელ მესი (ბარსელონა) „ოსასუნას" კარში და **ალვარო ნეგრედო** (სევილია) „ვალენსიას" კარში.
* შესრულდა 8 ჰეთთრიკი: **კრიშტიანო რონალდო** ( 3-ჯერ), ლიონელ მესი, რადამელ ფალკაო, **ჩაბი პრიეტო**, ალვარო ნეგრედო და **სესკ ფაბრეგასი**.
* ყველაზე მეტჯერ კარი მშრალად „ატლეტიკომ" შეინახა - 20-ჯერ.
* ყველაზე მეტი გაფრთხილება - „ესპანიოლი" (143).
* ყველაზე მეტი გაძევება - „სევილია" (13).
* „ოსასუნას" მცველი **ალეხანდრო არიბასი** ამ სეზონში 4-ჯერ გააძევეს!
* ყველაზე კარგი დაცვა „რეალს" ჰყავდა - 0,82 ბურთი თამაშში.
* ყველაზე კარგი შეტევა „ბარსელონას" ჰყავდა - 3,03 ბურთი თამაშში.
* სეზონის განმავლობაში „ბარსელონა" 1 845 წუთის განმავლობაში იგებდა და მხოლოდ 281 წუთის განმავლობაში იყო მდევრის როლში.
* პენალტით ყველაზე მეტი გოლი „ატლეტიკომ" და „სარაგოსამ" გაიტანეს - 8-8.
* საჯარიმო დარტყმით ყველაზე მეტი გოლი „რეალმა" გაიტანა - 5.
* თავურით ყველაზე მეტი გოლი „რეალმა" გაიტანა - 15.
* ჩემპიონატში მონაწილეობა 627-მა ფეხბურთელმა მიიღო. აქედან 409 ესპანეთის მოქალაქეა.
* ყველაზე მეტი ლეგიონერი ლა ლიგაში ჰყავდა არგენტინას - 32, შემდეგ მოდის ბრაზილია და პორტუგალია (27-27).



ანდრეს ინიესტა 16 საგოლე პასით ლა ლიგაში საუკეთესო ასისტენტია

### საკლუბო სტატისტიკა

#### ბარსელონა (100 ქულა)

ლიონელ მესი (32 თამაში, 46 გოლი); სესკ ფაბრეგასი (32 თ, 11 გ); ვიქტორ ვალდესი (31 თ); სერხიო ბუსკეტსი (31 თ, 1 გ); ანდრეს ინიესტა (31 თ, 3 გ); ჩავი (30 თ, 5 გ); დანი ალვეში (30 თ); ალექსის სანჩესი (29 თ, 8 გ); ჟორდი ალბა (29 თ, 2 გ); პედრო (28 თ, 7 გ); დავიდ ვილია (28 თ, 10 გ); ჟერარდ პიკე (28 თ, 2 გ); ტიაგო ალკანტარა (27 თ, 2 გ); ხავიერ მასკერანო (25 თ); ადრიანო კორეია (23 თ, 5 გ); კრისტიან ტელიო (22 თ, 7 გ); ალექს სონგი (20 თ, 1 გ); მარტინ მონტოია (15 თ, 1 გ); კარლეს პუიოლი (13 თ, 1 გ); მარკ ბარტრა (8 თ); ხოსე პინტო (7 თ); ერიკ აბიდალი (5 თ); ჯონათან დოს სანტოსი (3 თ); ჟერარდ დეულოფეუ (1 თ); სერხი რობერტო (1 თ); ოიერი (0 თ); ჟორდი მასიპი (0 თ).

#### რეალი (85)

კრიშტიანო რონალდო (34 თამაში, 34 გოლი); ლუკა მოდრიჩი (33 თ, 3 გ); ანხელ დი მარია (32 თ, 7 გ); მესუთ იოზილი (32 თ, 9 გ); ხოსე კალეხონი (30 თ, 3 გ); ქარიმ ბენზემა (30 თ, 11 გ); გონსალო იგუაინი (28 თ, 16 გ); პეპე (28 თ; 1 გ); ჩაბი ალონსო (28 თ); სერხიო რამოსი (26 თ, 4 გ); ალვარო არბელოა (26 თ); სამი ხედირა (25 თ, 3 გ); მიკაელ ესიენი (21 თ, 2 გ); კაკა (19 თ, 3 გ); იკერ კასილიასი (19 თ); რაულ ალბიოლი (18 თ, 1 გ); ფაბიო კოენტრაო (16 თ, 1 გ); დიეგო ლოპესი (16 თ); რაფაელ ვარანი (15 თ); მარსელო (14 თ); ალვარო მორატა (12 თ, 2 გ); ნაჩო (9 თ); რიკარდო კარვალიო (9 თ); ანტონიო ადანი (3 თ); კასემირო (1 თ); ომარ მასკარელი (1 თ); ხოსე როდრიგესი (1 თ); ხესუსი (1 თ); ფაბინიო (1 თ); დიეგო ლორენტე (1 თ); ალექსი (0 თ).

#### ატლეტიკო (76)

ტიბო კურტუა (37 თამაში); მირანდა (35 თ, 2 გ); დიეგო გოდინი (35 თ, 1 გ); გაბი (35 თ); ხუანფრანი (35 თ, 1 გ); რადამელ ფალკაო (34 თ, 28 გ); კრისტიან როდრიგესი (33 თ, 1 გ); კოკე (33 თ, 3 გ); ფილიპე ლუიში (32 თ, 1 გ); არდა თურანი (32 თ, 5 გ); ადრიან ლოპესი (32 თ, 3 გ); დიეგო კოშტა (31 თ, 10 გ); რაულ გარსია (30 თ, 5 გ); მარიო სუარესი (29 თ, 1 გ); ტიაგო (22 თ, 2 გ); კატა დიასი (9 თ); ოლივერ ტორესი (8 თ); ხავი მანკილიო (3 თ); ემილიანო ინსუა (3 თ); საულ ნიგესი (2 თ); დომინგო სისმა (2 თ); აბდელკადერ ქესლათი (1 თ); სერხიო ასენხო (1 თ); ხორხე პულიდო (1 თ); დანი აკინო (1 თ); თომას ტეიე (0 თ).

#### რეალ სოსიედადი (66)

ალბერტო დე ლა ბელია (36 თამაში, 3 გოლი); კარლოს ველა (35 თ, 14 გ); ჩაბი პრიეტო (35 თ, 9 გ); იმანოლ აგირეჩე (34 თ, 13 გ); მიკელ გონსალესი (34 თ, 2 გ); ინიგო მარტინესი (34 თ, 4 გ); ანტუან გრიზმანი (34 თ, 10 გ); ასიერ ილიარამენდი (32 თ); კლაუდიო ბრავო (31 თ); კარლოს მარტინესი (29 თ, 1 გ); მარკელ ბერგარა (28 თ); დიეგო იფრანი (26 თ, 2 გ); რუბენ პარდო (25 თ); დავიდ ზურუტუზა (21 თ, 2 გ); დანი ესტრადა (19 თ); ხოსე ანხელი (11 თ); გორკა ელუსტონდო (8 თ, 1 გ); ენო ზუბიკარაი (7 თ); იონ ანსოტეგი (7 თ); ხავი როსი (6 თ); ლიასინე კადამური (4 თ); ვიქტორ ფუხსი (0 თ); ენრიკე როიო (0 თ); პაბლო ერვასი (0 თ); ჯონათან ნანიზაიამო (0 თ).

#### ვალენსია (65)

რობერტო სოლდადო (35 თამაში, 24 გოლი); ჟონასი (35 თ, 13 გ); ანდრეს გუარდადო (32 თ, 1 გ); ტინო კოსტა (31 თ, 1 გ); ჟოაო პერეირა (30 თ); ევერ ბანეგა (29 თ, 4 გ); ნელსონ ვალდესი (28 თ, 6 გ); სოფიან ფეგული (27 თ, 3 გ); დანი პარეხო (27 თ, 1 გ); ვიქტორ რუისი (26 თ); რიკარდო კოშტა (26 თ, 4 გ); ალი სისოკო (25 თ, 2 გ); ადილ რამი (25 თ); დიეგო ალვეში (24 თ); დავიდ ალბელდა (18 თ); ხონათან ვიერა (17 თ, 2 გ); ჟერემი მატიო (17 თ, 1 გ); ვისენტე გუაიტა (14 თ); ანტონიო ბარაგანი (14 თ); პაბლო პიატი (14 თ, 1 გ); სერხიო კანალესი (13 თ, 2 გ); ხუან ბერნატი (12 თ); ხოსე გაია (0 თ), ალექს კინტანილია (0 თ); დალმაუ (0 თ); ფელიპე (0 თ); კარლოს დელგადო (0 თ); პორტუ (0 თ).

#### მალაგა (57)

ისკო (37 თამაში, 9 გოლი); ვილი კაბალიერო (36 თ); ხოაკინი (34 თ, 4 გ); ველიგტონი (33 თ, 2 გ); ნაჩო კამაჩო (33 თ, 2 გ); მარტინ დემიკელისი (31 თ, 4 გ); როკე სანტა კრუსი (31 თ, 8 გ); ხესუს გამესი (28 თ); ელიზეუ (28 თ, 1 გ); ფრანსისკო პორტილიო (27 თ, 2 გ); ხავიერ სავიოლა (27 თ, 8 გ); მანუელ იტურა (25 თ); ჟერემი ტულალანი (19 თ); სერხიო სანჩესი (18 თ); დუდა (17 თ); სება ფერნანდესი (17 თ); ჟულიო ბაპტიშტა (14 თ, 4 გ); ანტუნეში (11 თ, 1 გ); ლუკას პიაზონი (11 თ); დიეგო ლუგანი (11 თ); დიეგო ბუონანოტე (9 თ, 1 გ); პედრო მორალესი (7 თ, 3 გ); კარლოს კამენი (3 თ); ოგუჩი ონიევუ (2 თ); ფაბრის ოლინგა (2 თ, 1 გ); პოლი (0 თ); ალექს პორტილიო (0 თ); ხურადო (0 თ).

#### ბეტისი (56)

ბენიატ ეჩებარია (34 თამაში, 4 გოლი); რუბენ კასტრო (34 თ, 18 გ); ადრიანი (32 თ); ხორხე მოლინა (32 თ, 13 გ); ნაჩო (30 თ); ჯოელ კემპბელი (28 თ, 2 გ); ანტონიო ამაია (28 თ); ხოსე კანიასი (27 თ); ხუან კარლოსი (25 თ); რუბენ პერესი (25 თ, 1 გ); პაულაუ (22 თ, 2 გ); ხავი ჩიკა (22 თ); პედრო მარიო (20 თ, 1 გ); დორლან პაბონი (17 თ, 8 გ); სალვა სევილია (17 თ, 2 გ); ნოსა იგიებორი (16 თ, 1 გ); ნონო (15 თ); ალვარო ვადილიო (14 თ); ალექს მარტინესი (13 თ); ანხელ ლოპესი (11 თ, 1 გ); ალეხანდრო პოსუელო (11 თ, 1 გ); დამიენ პერკი (10 თ); კასტრო ესპინოსა (5 თ); გილერმო მოლინსი (4 თ); ფაბრისიო (2 თ); ედერ ვილარჩაო (1 თ); კარლოს გარსია (1 თ); ტიენსა (1 თ); სერხიო როდრიგესი (1 თ); მანუ (0 თ); ენეკო ეიზმენდი (0 თ); ბორხა ნავარო (0 თ); ფრანსისკო ვარელა (0 თ); ხოსე კარო (0 თ).

#### რაიო ვალეკანო (53)

ხავი ფუეგო (36 თამაში); პიტი (35 თ, 18 გ); რობერტო ტრაშორასი (35 თ, 1 გ); ტიტო (33 თ, 1 გ); ალეხანდრო დომინგესი (33 თ, 5 გ); ანდრია დელიბაშიჩი (32 თ, 6 გ); ლასანე ზანგურა (32 თ, 3 გ); ხოსე კარლოსი (32 თ, 2 გ); რუბენ მარტინესი (30 თ); ლეო ბაპტიშტაო კარილიო (28 თ, 7 გ); ხოსე კასადო (28 თ); ალეხანდრო გალვესი (28 თ); ხორდი ამატი (27 თ, 1 გ); ადრიან გონსალესი (21 თ); ფრანკო ვასკესი (18 თ, 3 გ); ხორდი ფიგერასი (14 თ); ანაიც არბილია (11 თ); მიკელ ლაბაკა (10 თ); ნაჩო მარტინესი (10 თ, 1 გ); დავიდ კობენიო (8 თ); როდრი (4 თ); რაულ ტამუდო (4 თ, 1 გ); ალბერტო პერეა (4 თ); დანი ხიმენესი (2 თ); ისი (1 თ); რუბენ რამირო (1 თ); რობერტო კორეა (0 თ); ნონო (0 თ); ადრიანი (0 თ); ისმაელ ხილი (0 თ).

#### სევილია (50)

ხესუს ნავასი (37 თამაში); ალვარო ნეგრედო (34 თამაში, 25 გოლი); ფერნანდო ნავარო (35 თ); ივან რაკიტიჩი (34 თ, 8 გ); გარი მედელი (32 თ, 6 გ); ჟოფრეი კონდობია (31 თ, 1 გ); სისინიო (27 თ, 1 გ); ფერნანდო ფასიო (26 თ, 3 გ); ჰედვიგეს მადური (26 თ); ხოსე ანტონიო რეიესი (26 თ, 4 გ); მანუელ დელ მორალი (22 თ, 1 გ); კოკე (21 თ, 3 გ); პაპა დიავარა (19 თ); ალბერტო ბოტია (18 თ, 1 გ); დიეგო პეროტი (18 თ); ანდრეს პალოპი (16 თ); ალბერტო მორენო (15 თ); ბეტო (14 თ); ხუან კალა (10 თ); ხავი ერვასი (9 თ); დიეგო ლოპესი (8 თ); მიროსლავ სტევანოვიჩი (7 თ); პიოტრ ტროხოვსკი (6 თ, 2 გ); ხოსე კამპანია (5 თ); ანტონიო ლუნა (4 თ); ბრიან რაბელიო (3 თ); ალექს რუბიო (2 თ); ისრაელ პუერტო (2 თ); ხულიან კუესტა (1 თ); სერხიო რიკო (0 თ).

#### ხეტაფე (47)

ხავი ტორესი (35 თამაში); დიეგო კასტრო (34 თ, 7 გ); მიგელ მოია (32 თ); აბდელაზიზ ბარადა (32 თ, 4 გ); ხუან ვალერა (30 თ, 2 გ); ალვარო ვასკესი (29 თ, 4 გ); პედრო ლეონი (29 თ, 3 გ); ალექსისი (26 თ, 3 გ); ანხელ ლაფიტა (26 თ, 2 გ); ხაიმე გავილანი (22 თ); ადრიან კოლუნგა (22 თ, 6 გ); ალბერტო ლოპო (21 თ, 1 გ); მიგელ ტორესი (21 თ); პაკო ალკასერი (20 თ, 3 გ); მეჰდი ლასენი (20 თ); რაფა (19 თ, 1 გ); მიჩელი (17 თ); ბორხა ფერნანდესი (16 თ, 1 გ); ფედერიკო ფერნანდესი (14 თ, 1 გ); მანე (13 თ, 1 გ); პაბლო სარაბია (13 თ); სერხიო ესკუდერო (9 თ, 1 გ); ხუან როდრიგესი (9 თ, 2 გ); ხორდი კოდინა (7 თ); უგო ფრაილე (3 თ); ალბერტო (0 თ); დიეგო ბენიტო (0 თ); ხოსე დელ ამო (0 თ); სერხიო პოსტიგო (0 თ); სამუელ საისი (0 თ).

#### ლევანტე (46)

მიჩელი (37 თამაში, 4 გოლი); ვისენტე იბორა (35 თ, 4 გ); დავიდ ნავარო (35 თ, 1 გ); პაპაკული დიოპი (32 თ); ნაბილ ელ ზჰარი (31 თ, 2 გ); რუბენ გარსია (31 თ, 4 გ); ხუანფრანი (29 თ); გუსტავო მუნუა (29 თ); ხოსე ბარკერო (28 თ, 5 გ); სერხიო ბალესტეროსი (26 თ); ხუანლუ (25 თ, 2 გ); პედრო რიოსი (25 თ, 2 გ); კრისტიან ლელი (21 თ, 2 გ); პედრო ლოპესი (17 თ); როხერ მარტი (15 თ, 1 გ); ლუკას ვინტრა (15 თ); ვალდო (13 თ); რობერტ აკვაფრესკა (13 თ, 3 გ); ექტორ როდასი (10 თ); ნიკოლაოს კარაბელასი (9 თ); კეილორ ნავასი (9 თ); სიმაო ჟუნიორი (4 თ); დარიუშ დუდკა (3 თ); სერხიო გარაბატო (0 თ); ივანი (0 თ); ჯეისონი (0 თ).

#### ბილბაო (45)

არიც ადურისი (36 თამაში, 14 გოლი); ოსკარ დე მარკოსი (36 თ, 6 გ); მარკელ სუსაეტა (36 თ, 7 გ); გორკა ირაისოსი (35 თ); იბაი გომესი (35 თ, 4 გ); ანდონი ირაოლა (35 თ); მიკელ სან ხოსე (34 თ, 5 გ); იკერ მუნიაინი (33 თ, 1 გ); ანდერ იტურასპე (30 თ); ანდერ ერერა (29 თ, 1 გ); იონ აურტენეჩე (27 თ, 1 გ); კარლოს გურპეგი (27 თ, 1 გ); ფერნანდო ლორენტე (26 თ; 4 გ); ბორხა ეკიზა (24 თ); გაისკა ტოკერო (16 თ); აიმერიკ ლაპორტი (15 თ); ფერნანდო ამორებიეტა (11 თ); ისმა ლოპესი (8 თ); ჩაბი კასტილიო (7 თ); იონას რამალიო (6 თ); ინიგო პერესი (5 თ); იგორ მარტინესი (3 თ); რაულ ფერნანდესი (3 თ); რუიზ დე გალარეტა (3 თ); ერიკ მორანი (1 თ); აგერ აკეჩე (0 თ); კეპა არიზაბალაგა (0 თ).

#### ესპანიოლი (44)

ჟოან ვერდუ (37 თამაში, 9 გოლი); ხუან ფორლინი (33 თ); ვიქტორ სანჩესი (33 თ, 1 გ); კრისტიან სტუანი (32 თ, 7 გ); ექტორ მორენო (32 თ, 2 გ); ხავი ლოპესი (32 თ, 1 გ); დიეგო კოლოტო (28 თ, 2 გ); სერხიო გარსია (28 თ, 7 გ); ვაკასო მუბარაქი (26 თ, 3 გ); ხოან კაპდევილა (26 თ); სიმაო საბროსა (26 თ, 3 გ); რაულ როდრიგესი (22 თ); ფრანსისკო კასილია (21 თ); რაულ ბაენა (19 თ, 1 გ); სამუელე ლონგო (18 თ, 3 გ); ვიქტორ ალვარესი (18 თ); კრისტიან ალვარესი (18 თ); კრისტიან გომესი (16 თ); კრისტიან ალფონსო (13 თ); სერხიო ტეხერა (12 თ, 1 გ); მარტინ პეტროვი (8 თ); ფელიპე მატიონი (6 თ); ფრან მირანდა (0 თ); კუბილიასი (0 თ); ხერმანი (0 თ); ფერანი (0 თ); დე ამო (0 თ).

#### ვალიადოლიდი (43)

ანტონიო რუკავინა (37 თამაში, 1 გოლი); ალვარო რუბიო (35 თ); ოსკარ გონსალესი (35 თ, 12 გ); ომარ რამოსი (34 თ, 1 გ); ალბერტო ბუენო (33 თ, 5 გ); მიკელ ბალენსიაგა (32 თ); ხავი გერა (30 თ, 8 გ); ლუის სასტრე (29 თ, 1 გ); ხესუს რუედა (28 თ); მარკ ვალიენტე (28 თ); მანუშო გონშალვეში (25 თ, 8 გ); ვიქტორ პერესი (25 თ, 4 გ); დანი ერნანდესი (24 თ); პატრიკ ებერტი (23 თ, 6 გ); ენრიკე სერენო (20 თ, 1 გ); დანიელ ლარსონი (18 თ); კარლოს პენია (17 თ); ხაიმე (14 თ); ხავიერ ბარახა (12 თ, 1 გ); ხუან ნეირა (7 თ); ლოლო (7 თ); ვალდეტ რამა (5 თ); რუბენ პენია (4 თ); ხორხე პესკა (0 თ); ივან კასადო (0 თ); კიკე (0 თ).

#### გრანადა (42)

მიკელ რიკო (38 თამაში 2 გოლი); ალენ ნიომი (35 თ); გილერმე სიკეირა (35 თ, 6 გ); გაბრიელ ტორჯე (34 თ, 3 გ); იუსეფ ელ-არაბი (31 თ, 8 გ); ოდიონ იგჰალო (28 თ, 4 გ); დიეგო მაინსი (27 თ, 1 გ); იასინ ბრაიმი (27 თ); ირინეი სანტოსი (25 თ); ტონიო (24 თ); ინიგო ლოპესი (23 თ); ხუანმა ორტისი (22 თ); პაპე დიახატე (18 თ); ნოლიტო (17 თ, 3 გ); კარლოს არანდა (17 თ, 1 გ); რესიო (15 თ, 2 გ); ბრაიან ანგულო (15 თ, 1 გ); დიეგო ბუონანოტე (15 თ, 1 გ); რობერტო ფერნანდესი (14 თ); ბორხა გომესი (12 თ); დანი ბენიტესი (9 თ, 1 გ); მანუელ ლუსენა (2 თ); ჰასან იებდა (2 თ); ხორხე სანჩესი (0 თ); ანტონიო პუერტასი (0 თ).

#### ოსასუნა (39)

ანდრეს ფერნანდესი (37 თამაში); ალეხანდრო არიბასი (34 თ, 2 გ); ალვარო სეხუდო (32 თ, 3 გ); კიკე სოლა (31 თ, 9 გ); ოიერი (31 თ); ემილიანო არმენტეროსი (30 თ, 3 გ); დამია (29 თ); ნინო (25 თ, 3 გ); ხოსება ლორენტე (24 თ, 1 გ); რაულ ლო (23 თ, 2 გ); მარკ ბერტრანი (23 თ); ლოლო (22 თ, 1 გ); პატჩი პუნიალი (22 თ, 1 გ); მიგელ ფლანიო (22 თ); ნანო (18 თ); რუბენი (16 თ); ფრანსისკო სილვა (16 თ, 1 გ); დავიდ ტიმორი (16 თ, 1 გ); მიგელ დე ლას კუევასი (16 თ, 1 გ); მასუდ შოჯაეი (14 თ, 1 გ); სისი (11 თ); ანტონი ანანი (6 თ); მანუელ ონვუ (6 თ, 1 გ); რობერტო ტორესი (5 თ, 1 გ); ასიერ რიესგო (1 თ); მაიკელ მესა (1 თ); რიკარდო (1 თ); უნაი გარსია (1 თ); იმანოლ ელიასი (0 თ).

#### სელტა (37)

აუგუსტო ფერნანდესი (36 თამაში, 6 გოლი); ბორხა ოუბინია (36 თ, 1 გ); ხავი ვარასი (35 თ); რობერტო ლაგო (34 თ); იაგო ასპასი (34 თ, 12 გ); მიკაელ კრონ-დელი (34 თ, 1 გ); მარიო ბერმეხო (33 თ, 5 გ); ალექს ლოპესი (33 თ, 2 გ); ანდრეს ტუნიესი (30 თ); გუსტავო კაბრალი (27 თ, 2 გ); ენრიკე დე ლუკასი (24 თ, 3 გ); ჩუ-იუნ პარკი (22 თ, 3 გ); ხონი კასტრო (19 თ); ნაჩო ინსა (18 თ, 2 გ); უგო მალიო (17 თ); ფაბიან ორელიანა (14 თ); ხონათან ვილა (14 თ); ტონი (14 თ); კარლოს ბელვისი (13 თ); ვადიმ დემიდოვი (12 თ); დანიელ პრანიჩი (10 თ); ლევი მადინდა (5 თ); რუბენი (2 თ); სერხიო ალვარესი (2 თ); სამუელ ლიორკა (1 თ); სანტი მინა (1 თ); ანტონ დე ვისენტე (0 თ).

#### მალიორკა (36)

ტომერ ჰემედი (37 თამაში, 11 გოლი); ტომას პინა (36 თ); დუდუ ავატე (35 თ); ვიქტორ კასადესუსი (33 თ, 8 გ); ემილიო ნსუე (32 თ, 2 გ); პედრო ჟერომელი (30 თ, 1 გ); ჯოვანი დოს სანტოსი (29 თ, 6 გ); ხოსე მარტი (29 თ, 1 გ); ალეხანდრო ალფარო (27 თ, 6 გ); ხავი მარკესი (25 თ, 3 გ); მიშელ პერეირა (25 თ, 1 გ); პედრო ბიგასი (24 თ, 1 გ); ჟოზე ნუნიეში (23 თ); ხავიერ არისმენდი (21 თ, 2 გ); ალან ჰატონი (17 თ); ანდერსონ კონსეისაო (16 თ); ჩიმო (16 თ); ფერნანდო ტისონე (15 თ); ანტონიო ლუნა (11 თ); კევინი (11 თ, 1 გ); ანდრეუ ფონტასი (9 თ); ანტონიო ლოპესი (8 თ); ჟოაო ვიქტორი (7 თ); მარკ ფერნანდესი (6 თ); ხუან კალატაიუდი (3 თ); ბრანდონი (1 თ); ჩარლი ტუკ ესომე (1 თ); ალვარო ხიმენესი (1 თ); რუბენ მინიო (1 თ); აბდონი (0 თ); პაბლო მარი (0 თ); კრისტეტო (0 თ); ბიელ კომპანი (0 თ).

#### დეპორტივო (35)

ბრუნო გამა (38 თამაში, 6 გოლი); რიკი (36 თ, 13 გ); დანიელ არანსუბია (35 თ); პიცი (35 თ, 8 გ); ხუან კარლოს ვალერონი (33 თ, 1 გ); ნელსონ ოლივეირა (30 თ, 4 გ); ალექს ბერგანტინიოსი (29 თ, 1 გ); აბელ აგილარი (28 თ, 3 გ); არტილეს აიტამი (26 თ); მანუელ პაბლო (24 თ); ხუან დომინგესი (24 თ, 1 გ); ზე კაშტრო (24 თ); ხავიერ კამუნიასი (23 თ, 1 გ); კარლოს მარჩენა (22 თ, 2 გ); სილვიო (17 თ, 2 გ); ევალდო (15 თ); დიოგო სალომაო (14 თ, 2 გ); აიოსე (14 თ); ანდრე სანტუში (13 თ); ლაურე (11 თ); პაულო ასუნსაო (9 თ); კაკა (6 თ); ხესუს ვასკესი (5 თ); ხერმან ლუქსი (4 თ); პაბლო ინსუა (3 თ); მარკ მარტინესი (0 თ).

#### სარაგოსა (34)

პაკო მონტანიესი (38 თამაში, 5 გოლი); ელდერ პოშტიგა (37 თ, 14 გ); აბრაამ მინერო (35 თ); რობერტო ხიმენესი (33 თ); ვიქტორ როდრიგესი (33 თ, 1 გ); ალვარო გონსალესი (33 თ, 1 გ); აპონიო (32 თ, 9 გ); კრისტიან სეპუნარუ (29 თ, 2 გ); ხოსე მოვილია (29 თ); ხოსე მარი (24 თ); გლენ ლოოვენსი (21 თ); ხავიერ პარედესი (20 თ); ედუ ორიოლი (19 თ); ადამ პინტერი (18 თ); ფრანკო სუკულინი (16 თ, 1 გ); რუბენ როჩინა (15 თ, 1 გ); როდრი (12 თ, 2 გ); კოფი რომარიკ ნდრი (12 თ); ხოსე ფერნანდესი (11 თ); სტეფან ბაბოვიჩი (9 თ); ჰენრი ბიენვენუ (9 თ); ხავი ალამო (7 თ); ხორხე ორტი (6 თ); ლუკას ვილჩესი (5 თ); ლეო ფრანკო (4 თ); ადრია კარმონა (3 თ); პაბლო ალკოლეა (2 თ); ივან ობრადოვიჩი (1 თ); ლიტრი (1 თ); ტარსისიო (1 თ); მაურიციო ლანძარო (1 თ); კილიან ფალკონი (0 თ); ფრან გონსალესი (0 თ).

*შენიშვნა: 0 თამაში მითითებული აქვთ მხოლოდ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ერთხელ მაინც მოხვდნენ სეზონის განმავლობაში მატჩის განაცხადში.*

### ამბები

## ყვითელმა წყალქვეშა ნავმა ლა ლიგაში ამოყვინთა

დასრულდა ესპანეთის რანგით მეორე დივიზიონის, სეგუნდას გათამაშება. ბოლო ტურში ლა ლიგიდან გავარდნილმა „ვილიარეალმა" უშუალო კონკურენტ „ალმერიას" უმასპინძლა, 1:0 მოუგო და ელიტის საგზური მოიპოვა. გამარჯვების გოლი **ხონათან პერეირამ** მოიპოვა. **მარსელინოს** გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა, პირველზე კი „ელჩე" გავიდა (ეს უკვე კარგა ხნის გარკვეული იყო).

ლა ლიგის მესამე საგზურისთვის „ალმერია", „ჟირონა", „ალკორკონი" და „ლას პალმასი" იბრძოლებენ.

„ელ სუბმარინო" (წყალქვეშა ნავი) მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაში იყო გავარდნილი და ისევ დაუბრუნდა ელიტას. ასე რომ, ლა ლიგაში ვალენსიის მხარის წარმომადგენელთა რიცხვი გაორმაგდა: „ვალენსიას" და „ლევანტეს", „ელჩე" და „ვილიარეალი" დაემატნენ.

## იკერმა რაველის რეკორდი გააუმჯობესა

ესპანეთის ნაკრების გოლკიპერმა **იკერ კასილიასმა** ახალი რეკორდი დაამყარა - ევროპაში მასზე მეტი სანაკრებო მატჩი არც ერთ მეკარეს არ აქვს ჩატარებული.

შვედი გოლკიპერის, **თომას რაველის** რეკორდი მაიამიში დაემხო, სადაც „ფურია როხამ" კონფედერაციის თასისთვის მოსამზადებელ მატჩში ჰაიტის ნაკრებს 2:1 მოუგო, მსოფლიოს ჩემპიონთა კარს კი იკერი იცავდა. ეს მატჩი მისთვის 144-ე იყო ეროვნულ გუნდში. თომას რაველი 1981 წლიდან 1997 წლამდე 143-ჯერ იცავდა შვედეთის ნაკრების ღირსებას.

მაიამის მატჩში კი ანგარიში **სანტი კასორლამ** გახსნა მე-8 წუთზე, მე-19 წუთზე **სესკ ფაბრეგასმა** 2:0 გახადა, თუმცა ჰაიტის რბევა არ შედგა. ის კი არა, 75-ე წუთზე მცველმა **გერიერმა** „ლა როხას" გაუტანა და ბოლო 15 წუთი მეტოქე ანერვიულა კიდევაც.

სხვათა შორის, ამ თამაშამდე კასილიასს 136 დღის განმავლობაში არ ეთამაშა ფეხბურთი, რაც **ჟოზე მოურინიოს** „დამსახურებაა".

*„ამდენი ხნის უთამაშებელი ერთდროულად ბედნიერიც ვიყავი და ახალბედასავით ნერვიულიც. ჩემნაირი ფეხბურთელისთვის ამდენი ხანი უფეხბურთოდ დარჩენა არ შეიძლება".*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ინტერვიუ. ბასტიან შვაინშტაიგერი



შვაინშტაიგერი და მისი 13 ტიტული: 28 წლის ასაკში შვაინი გერმანიის 6-გზის ჩემპიონია, გერმანიის თასიც 6-ჯერ აქვს მოგებული და ახლა ჩემპიონთა თასიც ჩაიხუტა

# უფრო მეტი ტიტული მომინდა!

## ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ შვაინის მადა გაეხსნა

**გერმანული ტაბლოიდი „ბილდი“ აგრძელებს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულებთან საინტერესო ინტერვიუების გამოქვეყნებას და შესაბამისად, ჩვენც გთავაზობთ მიუნხენის „ბაიერნის“ მთავარი გმირების ინტერვიუებს. კვირას ბასტიან შვაინშტაიგერის ჯერი დადგა და აი, მისი ინტერვიუც. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა 28 წლის ნახევარმცველს 13-ივე მოგებული თასი ცხვირწინ დაუდეს.**

**- ჰერ შვაინშტაიგერ, რას ფიქრობთ, როცა თქვენს მიერ მოგებულ 13 ტროფეის უყურებთ?**

- შესანიშნავი სანახაობაა. სხვათა შორის, ყველა თასი ერთად აქამდე არც მინახავს და უნდა ვთქვა, რომ ეს სიტუაცია მადას აღმიძრავს. ამ სეზონში ჰეთთრიკი შევასრულეთ და წესით, დანაყრებული უნდა ვიყო, მაგრამ არა - ახლა კიდევ უფრო დამშეული ვარ და უფრო მეტი ტიტულის მოგება მინდა.

**- „ბაიერნის“ მუზეუმში კიდევ ბევრი თასი დაეტევა...**

- ...და მეც მხოლოდ 28 წლის ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ საკმარისი დრო მაქვს იმისათვის, რომ პირადი მუზეუმიც კიდევ უფრო გავამდიდრო. ეს ასაკი ფეხბურთელისთვის იდეალურია. უკვე ვგრძნობ, რომ მომდევნო სეზონს მოუთმენლად ველოდები. ვფიქრობ, კიდევ არაერთ ტიტულს მოვიგებ.

**- ოპერაცია ახლახან გაიკეთეთ და საბედნიეროდ, ლაზარეთში ყოფნა დიდხანს არ მოგიწევთ...**

- ფეხი თებერვლის შემდეგ მაწუხებდა, მაგრამ თამაში შეიძლებოდა და ოპერაციის გაკეთება სეზონის დასრულების შემდეგ გადავწყვიტე. პრობლემამ პირველად „მაინცთან“ მატჩის (3:0 „ბაიერნის“ სასარგებლოდ) იჩინა თავი და თუ გახსოვთ, მაშინ გერმანიის ნაკრებსაც (საფრანგეთთან) ვერ დავეხმარე. კარგია, რომ ოპერაცია სეზონის დასრულების შემდეგ გავიკეთე და ახალი სეზონის სტარტისთვის ჯანმრთელი ვიქნები.

**- ამდენ ხანს როგორ მოითმინეთ?**

- „ბაიერნს“ ბრწყინვალე ექიმები ჰყავს - ნემსებითა და აბებით გამაძლებინეს. მარტში უკვე ვიცოდი, რომ ოპერაცია მჭირდებოდა და ჩემს ადგილზე ბევრს, შესაძლოა, ოპერაცია შუა სეზონში გაეკეთებინა, მე კი ასე, რა თქმა უნდა, არ მოვიქეცი.

**- ერთ სეზონში სამი ტიტულის მოგება ისტორიული მიღწევაა. ასეთი რამ თვით ბეკენბაუერ-მიულერ-მაიერის თაობამაც კი ვერ შეძლო. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „ბაიერნში“ ახალი „ოქროს ერა“ დაიწყო?**

- არ ვიცი. თქვენს მიერ ჩამოთვლილმა გიგანტებმა მაშინ უდიდესი ერა შექმნეს. მართალია, ჰეთთრიკი ვერ შეასრულეს, მაგრამ ევროპაში დიდხანს იყვნენ საუკეთესოები.

**- ახლა კი თქვენ და თქვენი თანაგუნდელები ხართ საუკეთესოები და წესით, ტენიტში დიდხანს უნდა დარჩეთ.**

- მე ასეთი მოსაზრების გამოთქმისგან თავს შევიკავებდი. ჩემი აზრით, ევროპაში ნომერ პირველი გუნდი ჯერ კიდევ „ბარსელონაა“.

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ „ბარსამ“ წლების მანძილზე ითამაშა უმაღლეს დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ერთ სეზონში სამი ტიტულის მოგება გრანდიოზული მიღწევაა, ჯერ კიდევ არ გვაქვს იმის უფლება, რომ ავდგეთ და ვთქვათ, რომ ევროპაში პირველები ვართ.

**- „ბარსელონა“ „ბაიერნისთვის“ ჯერ კიდევ მისაბაძი მაგალითია?**

- ჰო, ოღონდ, სტაბილურად მაღალ დონეზე თამაშით. სხვა მხრივ, „ბაიერნს“ თავისი სტილი აქვს. ჩვენ ჩვენი გზით უნდა ვიაროთ, „ბარსა“ თავისი გზით ივლის და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენსა და კატალონიურ გრანდს შორის მომავალში დიდი დუელები გველის.

> „ევროპაში ნომერ პირველი გუნდი ჯერ კიდევ „ბარსელონაა“, რადგან „ბარსამ“ უმაღლეს დონეზე წლების მანძილზე ითამაშა“

**- ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ბარსელონა“ მიწასთან გაასწორეთ - მიუნხენში 4:0 გაანადგურეთ, „ნოუ კამპზე“ კი - 3:0. განა ეს სრულყოფილი ფეხბურთი არ იყო?**

- თითქმის... ვგულისხმობ იმას, რომ მიუნხენში მოგებული მატჩი ტაქტიკის მხრივ იყო სრულყოფილი. ფაქტია, რომ „ბაიერნმა“ ამ სეზონში უდიდესი პროგრესი განიცადა და იდეალურობისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

**- რა როლი ითამაშა ამაში იუპ ჰაინკესმა?**

- გადამწყვეტი! ჰაინკესმა შეძლო და „ბაიერნი“ ნამდვილ გუნდად აქცია. დააკვირდით, ამ სეზონში არცერთი ფეხბურთელი არაფერს თაკილობდა, ყველა ყველას ეხმარებოდა. წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისიც იყო, რომ შემტევი ფეხბურთელები დაცვას აქტიურად ეხმარებოდნენ. მე კი მუდმივად საკუთარი თავისა და თანაგუნდელების დამატებით მოტივირებას ვცდილობდი.

**- რა ფორმით?**

- მაგალითად, ფრანკ რიბერის და არიენ რობენს ხშირად ვეუბნებოდი, ბურთისთვის ბოლომდე თუ იბრძოლებთ და დაცვის ხაზისთვის მიხმარებას არ ითაკილებთ, მაყურებლები უფრო მეტ ტაშს დაგიკრავენ-მეთქი. ასეც იყო! ფილიპ ლამს ამისთვის ტაშს არავინ უკრავს, რადგან ამას მისგან ისედაც ელიან ხოლმე.

**- ნახევარდაცვის შეფი თქვენ ხართ, თუმცა შეფობის თქვენეულ სტილს ხშირად აკრიტიკებენ...**

- მწვრთნელს ან თანაგუნდელს ამ მხრივ არასდროს გავუკრიტიკებივარ. მეც ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ გუნდში ლიდერებისა და ლიდერობის კარგად გამოკვეთილი იერარქია უნდა იყოს, მაგრამ იმასაც ვფიქრობ, რომ ლამი და მე ლიდერობის თანამედროვე მაგალითები ვართ. ჩვენი მართვის სტილი ბევრს უჩვეულოდ ეჩვენება, რადგან სხვანაირ ლიდერებს არიან მიჩვეულები. თუმცა ასეთი კრიტიკა გულთან ახლოს არასდროს მიმიტანია. ვცდილობ, მხოლოდ იმაზე ვიყო კონცენტრირებული, თუ რა უნდა მოვიმოქმედო იმისათვის, რომ გუნდმა კარგად ითამაშოს და ტიტულები მოიგოს.

**- ბოლოს და ბოლოს, ტიტულებიც წამოვიდა...**

- უკვე დრო იყო, რომ ჩემპიონთა ლიგა მოგვეგო. კიდევ ერთი ფინალის წაგება ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა. მიმაჩნია, რომ „ბაიერნმა“ ეს ნამდვილად დაიმსახურა - არა მარტო იმის გამო, რომ ამ სეზონში მართლა სრულყოფილი ფეხბურთი ვითამაშეთ, არამედ ზოგადად, ჩვენი, თუნდაც მხოლოდ უახლესი ისტორიის გამო. ამ სეზონში სერიოზულად მხოლოდ ერთხელ ვინერვიულე...

**- როდის?**

- „არსენალთან“ საპასუხო შეხვედრის ბოლო ხუთ წუთში, მას მერე, რაც 0:2-ს ვაგებდით. შემეშინდა, რომ მომდევნო ეტაპზე ვერ გავდიოდით და ოცნებას ისევ ვერ ავიხდენდით. თუმცა ეს ერთადერთი შემთხვევა იყო ამ სეზონში.

**- წესით, „დორტმუნდთან“ ფინალის პირველ ნახევარ საათშიც უნდა გენერვიულათ...**

- არა! მიუხედავად იმისა, რომ პირველ 30 წუთში „ბორუსიამ“ მართლა ძალიან კარგად ითამაშა, ფაქტია, არ მინერვიულია. ჩვენ ვიცოდით, რომ დორტმუნდელები პირველივე წუთებიდან შემოგვიტევდნენ, აქტიურ პრესინგს შემოგვთავაზებდნენ, მაგრამ ისიც ვიცოდით, რომ „ბაიერნი“ აშკარად „ბორუსიაზე“ ძლიერი გუნდია.

**- „ბაიერნი“ შარშანაც „ჩელსიზე“ ძლიერი ჩანდა, მაგრამ...**

- კარგად მახსოვს ბიჭების სახეები „ჩელსისთან“ წაგების შემდეგ. საკუთარ კედლებში ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგება ისე გვეტკინა, რომ ამ სეზონს უკვე მაქსიმალურად მოტივირებულები და კონცენტრირებულები შევხვდით.

**- „ჩელსისთან“ ბოლო პენალტი დაარტყით და ბურთი ძელს მოხვდა...**

- გასახდელში, ბიჭებს რომ ვუყურებდი, საკუთარ თავს ვუთხარი, ამ ტიტულს აუცილებლად მოვიგებ-მეთქი. იგივე გავიფიქრე მანამდეც, როცა ტრიბუნაზე ვერცხლის მედლების ასაღებად ავედი და დავინახე განადგურებული, შეურაცხყოფილი ული ჰიონესი. „უემბლის“ ფინალში ეს კადრები სულ თვალწინ მედგა.

**- ამიტომაც მიაწოდეთ ჩემპიონთა ლიგის თასი ჰიონესს?**

- ჰო! მინდოდა, რომ ეს თასი მასაც აეწია და ამ ჟესტს არანაირი კავშირი არ ჰქონდა იმ პრობლემებთან, რაც ულის საგადასახადო სისტემასთან შეექმნა. ჰიონესი ბრწყინვალე ადამიანი, მენეჯერი და პრეზიდენტია, რომელმაც „ბაიერნისთვის“ ძალიან ბევრი გააკეთა.

**- დაჯილდოებისას ანგელა მერკელი ძალიან თბილად გადაკოცნეთ, კანცლერმა გულში ჩაგიკრათ...**

- ამიერიდან სულ ასე იქნება (იცინის). ვფიქრობ, ჩემი ნახვა ძალიან გაუხარდა, მე კი მისი ნახვა გამიხარდა ძალიან. ფაქტია, რომ ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ მილოცვა და ჩახუტება.

**- რაზე ესაუბრებოდით მერკელს იმ მომენტში?**

- როცა ადამიანი მენდობა, მასთან საუბრის შინაარსს არასდროს არავის ვეუბნები. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ საუბარში მოსალოცი სიტყვები ერია.

**- ყველაზე მეტად ვისმა მილოცვამ გაგაოცათ?**

- გერმანიის ჩემპიონები რომ გავხდით, ტექსტური შეტყობინება თვით უსაინ ბოლტმაც მომწერა... ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ ფრენკ ლამპარდმა მომილოცა და მითხრა, ეგ ტრიუმფი ნაღდად დაიმსახურეო. ორივემ ძალიან, მართლა ძალიან გამახარა და თან გამაკვირვა. სხვათა შორის, შარშანდელი ფინალის შემდეგ მეც მივულოცე ლამპარდს. ეს მაშინ ძალიან გამიჭირდა, მაგრამ გავაკეთე და როგორც ჩანს, სწორედ ეს ახსოვდა.

**- ჩემპიონთა ლიგის მოგება ალბათ თავდაჯერებას შეგმატებთ...**

- ჰო, თავდაჯერებისთვის ეს მართლაც ძალიან კარგია - ახლა ახალ სეზონს ამაყად ველოდებით. თანაც, მომავალ სეზონს დიდი სიახლით ვხვდებით: ერთი მსოფლიო დონის მწვრთნელი გავაცილეთ და მეორეს ველოდებით. დარწმუნებული ვარ, რომ პეპ გვარდიოლას ფორმაციის „ბაიერნიც“ წარმატებული იქნება.

ამბები

### რუმენიგესაც აჯარიმებენ

**ული ჰიონესის** შემდეგ, გერმანიის საგადასახადო სამსახურთან პრობლემები „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგესაც** შეექმნა. ახლაღა გამჟღავნდა, რომ 57 წლის კალეს თებერვალში გერმანიაში დაბრუნებისას მებაჟეებმა „როლექსის“ ორი განუბაჟებელი საათი აღმოუჩინეს. „ფოკუსის“ ინფორმაციით, კალეს 300 000 ევროთი დააჯარიმებენ. თავად რუმენიგე აღნიშნავს, რომ საათები საჩუქარი იყო და ეგონა, რომ საჩუქრის განბაჟება საჭირო არ იყო. სინამდვილეში, გერმანიის კანონმდებლობით, განბაჟება სჭირდება ყველაფერს, რისი ფასიც 450 ევროს აღემატება.

### გვარდიოლა გერმანულს გიჟივით სწავლობს

**ხოსეპ გვარდიოლას** მიუნხენში 24 ივნისს ელოდებიან - სწორედ ამ დღეს ჩაატარებს 42 წლის მწვრთნელი „ბაიერნში“ პირველ ვარჯიშს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩვენს გერმანელ კოლეგებს გერმანულად ლაპარაკითაც გააოცებს. პეპის ძმამ, **პერე გვარდიოლამ** „შპიგელს“ უთხრა, ხოსეპი გერმანულ ენას გადარეულივით სწავლობს და ლამის მთელი დღე გერმანულად ლაპარაკობსო. პერეს თქმით, რეკორდმაისტერის მომავალ თავკაცს ყოველდღე 4-საათიანი გაკვეთილები აქვს.



პეპ გვარდიოლა

### მოუმ ბოა უარყო

**ჩვენი** იტალიელი კოლეგების ინფორმაციით, **ჟოზე მოურინიოს** სასურველი ფეხბურთელების სიაში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზე „მილანის“ ნახევარმცველ **კევინ-პრინს ბოატენგის** გვარი წერია. „გაძეტა დელო სპორტი“ იტყობინება, რომ 26 წლის ბოატენგი ადრიანო გალიანის შეხვდა და უთხრა, რომ „მილანიდან“ წასვლა უნდა.

თუმცა ეს ინფორმაცია პორტუგალიელმა საკმაოდ ორიგინალურად უარყო: „მე ფეხბურთელებს ვიმატებ და არა მოდელებს“.

### ბეშიქთაში რონალდინიოს ეპატიჟება

„ბეშიქთაშის“ ხელმძღვანელებმა **რონალდინიოს** კონკრეტული შეთავაზებით მიმართეს და თურქეთში გადასვლა შესთავაზეს. როგორც იცით, 33 წლის ბრაზილიელი ახლა „ატლეტიკო მინეიროში“ თამაშობს, სადაც კონტრაქტი წლის ბოლომდე აქვს გაფორმებული. „დიახ, ეს სიმართლეა და ახლა რონალდინიოს პასუხს ველოდებით,“ - განაცხადა „ბეშიქთაშის“ ვიცე-პრეზიდენტმა **აჰმეთ ნურ ჩებიმ**. შეგახსენებთ, რომ „ბეშიქთაში“, რომელმაც თურქეთის სუპერლიგაში მესამე ადგილი დაიკავა, მწვრთნელსაც ეძებს. კანდიდატები **მარსელო ბიელსა, რობერტ პროსინეჩკი** და **რუდი გარსია** არიან.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოტოფაქტი


ლევან კობიაშვილი (მარცხნივ) და ალექსანდრე იაშვილი

ისინი მეგობრები არიან. ერთ ქვეყანაში და ერთ გუნდში დიდხანს ითამაშეს. **კობი-იაშკა** ნაკრებში მოდიან, კობი-იაშკა ნაკრებში აღარ ითამაშებენ, კობი-იაშკა მაგრები არიან... მათ სახელებს ხშირად ერთად იტყვიან ხოლმე, თითქოს ასე დამკვიდრნენ ჩვენს საფეხბურთო მილეთში.

**ალექსანდრე იაშვილი** ბაქოს „ინტერში" აპირებს თამაშს, **ლევან კობიაშვილი** ბერლინის „ჰერტაშია" და კიდევ ერთ სეზონს გაატარებს ელიტაურ ბუნდესლიგაში. გეოგრაფიულად ისინი შორი-შორს იქნებიან, მაგრამ თითქოს მაინც ერთად შეგვახსენებენ ხოლმე თავს.

ისინი ერთად გაუშვეს ეროვნული ნაკრებიდან, ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო.

ორივე თავმდაბალი ადამიანია, ისინი მხოლოდ იმიტომ არ თამაშობდნენ ფეხბურთს, რომ უშველებელი შავი ჯიპი ეყიდათ. მათ მოახერხეს და სამაგალითო პროფესიონალები გახდნენ.

ეს ფოტო რამდენიმე კვირის წინათ გამოქვეყნდა ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში. კობიაშვილს ორი კითხვა დაუსვეს, 2012/13 წლების სეზონის ბოლოს „ფრაიბურგი" „შალკეს" მასპინძლობდა, მეოთხე ადგილის ბედი წყდებოდა, ანუ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოზე თამაშის საგზურისთვის იყო ჯახი. კითხვები და პასუხები ორდინალური გამოდგა, ფოტო კი რალაცნაირი, სენტიმენტალური და დასამახსოვრებელი.

კობიაშვილი „ალანიაში" **ვალერი გაზაევის** ჯილა იყო, გაზაევმა მერე უკეთესი და მდიდარი რუსული გუნდი ჩაიბარა, ჩვენებურის ხელმეორედ აყვანას ნიადაგ ესწრაფვოდა, მაგრამ კობი გერმანიიდან რუსეთში აღარ დაბრუნდა.

ეს ფოტო 2005 წლის 25 მაისს არის გადაღებული, მაშინ „შალკემ" „ფრაიბურგს" 3:2 მოუგო. მას შემდეგ რვა წელიწადი გავიდა, ეს რვა წელიწადი კობიმ და იაშკამ ისევ გერმანიაში ითამაშეს, ამ ქვეყანაში კობიაშვილმა თხუთმეტი, იაშვილმა კი თექვსმეტი წელი გაატარა - დრო მალე გავიდა, ამ ფოტოს სენტი და მენტიც ალბათ აქედან მოდის...

ბადენვიურტემბერგი გერმანიის ერთ-ერთი მხარეა, ფრაიგურგი კი იქ სიდიდით მეოთხე ქალაქია, სადაც ორასი ათასზე ოდნავ მეტი კაცი ცხოვრობს და სადაც კობი და იაშკა ძალიან უყვარდათ. საერთოდ ასეა, პერიფერიებში ფეხბურთი და საყვარელი გუნდის ფეხბურთელები განსაკუთრებული სითბოთი უყვართ. გერმანია თითქოს ცივი ქვეყანაა, მაგრამ ფრაიბურგი მაინც სხვა უნდა იყოს, იქ სხვანაირად ყვიროდნენ ქართველების შემოკლებულ გვარებს, ვიდრე გერმანიის თუ ევროპის სხვა ქალაქებში.

გერმანიაში კობის და იაშკას შემდეგაც ჩავიდნენ ქართველი ფეხბურთელები, თუმცა მათ გერმანელი გულშემატკივარი ვერ ააყვირეს. კიდევ ამიტომ მოაქვს სენტი და მენტი ამ ფოტოს.

კარგი ფეხბურთელები საქართველოს ისევ ეყოლება, ოღონდაც კობი და იაშკა ყოველთვის სხვანაირებად დარჩებიან, ისინი ერთად დიდანს თამაშობდნენ გერმანიის მოვლილ, სავსე და მკაცრ სტადიონებზე.

**დავით თავართქილაძე**

ევროპის ჩემპიონატი. U 21. II ტური

# იტალია პირველი ნახევარფინალისტია!

## მას ჰოლანდია და ესპანეთი მიჰყვნენ

**ინგლისი–ნორვეგია 1:3**

**გოლები:** 0:1 ბერგე (15), 0:1 ბერგეტი (34), 0:3 ეიკრემი (52), 1:3 დოუსონი (57-პენ)

**ინგლისი (4-2-3-1):** ბატლენდი - სმიტი, კოლკერი, დოუსონი (85. უისდომი), როუზი - ჩალობა, ჰენდერსონი, ლოუ (46. უიკჰემი) - ინსი, რედმონდი (67. შელვი) - ზაჰა.

**ნორვეგია (4-3-3):** ნილანდი - ელაბდელაუი, რონე (83. ნორდტვეიტი), ბერგე (57. ლინესი), სტრანდბერგი - სინგჰი, იოჰანსენი, ეიკრემი (68. იბრაჰიმი) - ბერგეტი, პედერსენი, ნილსენი.

**იტალია–ისრაელი 4:0**

**გოლები:** 1:0 საპონარა (18), 2:0 გაბიადინი (42), 3:0 გაბიადინი (53), 4:0 ფლორენცი (71)

**იტალია (4-4-2):** ბარდი - დონატი, ბიანკეტი, კალდიროლა, ბირაგი - საპონარა, ფლორენცი, ვერატი (70. სანსონე), ინსინიე (40. როსი) - იმობილე, გაბიადინი (57. დესტრო).

**ისრაელი (4-4-1-1):** კლეიმანი - დასა (46. ვერტა), ვაჰაბა, ბენ ჰარუში, ტავატა - ცაგური, კრიაფი, ბიტონი, გოლასა - კალიბატი (83. აზამი) - ტურგემანი (66. ბანუში).

**გაძევება:** გოლასა (37)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. ნორვეგია | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 3. ისრაელი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-6 | 1 |
| 4. ინგლისი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**B ჯგუფი**

**ჰოლანდია–რუსეთი 5:1**

გოლები: 1:0 ვეინალდუმი (38), 2:0 ლ. დე იონგი (61), 2:1 ჩერიშევი (65), 3:1 ო. ჯონი (69), 4:1 ჰუსენი (83), 5:1 ფერი (90)

ჰოლანდია (4-3-3): ზუტი - ვან რეინი, დე ვრეი, მარტინს ინდი, ბლინდი - სტროოტმანი (77. კლასი), ვან გინკელი, მაჰერი (73. ფერი) - ვეინალდუმი, ო. ჯონი, ლ. დე იონგი (82. ჰუსენი)

რუსეთი (4-4-1-1): ზაბოლოტნი - ჩიჩერინი, ბურლაკი, ბელიაევი, შენიკოვი - იაკოვლევი (54. ჩერიშევი), ცაგალოვი, ს. პეტროვი, შატოვი (77. ბიბილოვი) - ძაგოევი - სმოლოვი (73. პანიუკოვი)

გაძევება: ჩიჩერინი (49. რუსეთი)

მაყურებელი: 7 500

**გერმანია–ესპანეთი 0:1**

გოლი: მორატა (86)

გერმანია (4-3-2-1): ლენო - იანჩკე, გინტერი, თესკერი, ზორგი - რუდი (82. რიუდიგერი), როდე (70. ჩანი), ჰოლტბი - ჰერმანი (64. ლასოგა), ფოლანდი - კლემენსი

ესპანეთი (4-3-2-1): დე ხეა - მონტოია, ბარტრა, ი. მარტინესი, ა. მორენო - ილიარამენდი, კოკე, ტიაგო ალკანტარა - ტელიო (85. მუნიაინი), ისკო (89. იგნასიო კამაჩო) - როდრიგო (73. მორატა)

მაყურებელი: 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 8-3 | 6 |
| 2. ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 3. გერმანია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 4. რუსეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

**ბომბარდირები:** 2 - გაბიადინი (იტალია), ვეინალდუმი (ჰოლანდია), ფერი (ჰოლანდია), მორატა (ესპანეთი)

იტალიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველმა გაინაღდა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალის საგზური, ამისთვის **დევის მანგიას** გუნდმა 4:0 გაანადგურა 10 კაცით მოთამაშე მასპინძელთა გუნდი, რომელსაც პირველ ტაიმში **ეიალ გოლასა** გაუძევეს. **მანოლო გაბიადინის** ანგარიშზე კი დუბლია.

B ჯგუფში თითქმის ყველაფერი დასრულდა და გასარკვევი მხოლოდ ისაა, თუ ვინ დაიკავებს პირველ ადგილს. ტურნირის ფავორიტებმა, ჰოლანდიამ და ესპანეთმა, თავიანთი მატჩები მოიგეს და 6-6 ქულა მოაგროვეს.

ჰოლანდიის ძალიან ძლიერმა ნაკრებმა, ვისაც შემადგენლობაში არაერთი ამომავალი ვარსკვლავი ჰყავს, მიწასთან გაასწორა რუსეთის ეროვნული გუნდი. საბოლოო ანგარიშზე, დიდწილად, **ნიკიტა ჩიჩერინის** გაძევებამ იმოქმედა - მოსკოვის „დინამოს" მცველმა მოედანი 49-ე წუთზე დატოვა, როდესაც ანგარიში ჯერ კიდევ 1:0 იყო. ამის შემდეგ „ორანიე" შეუჩერებელი გახდა და სლავების კარში კიდევ 4 გოლი გაიტანა. განსაკუთრებით კარგად **ლუუკ დე იონგი** და **ოლა ჯონი** გაისარჯნენ - მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ფორვარდმა გოლი და 2 საგოლე პასი მიითვალა, „ბენფიკას" შემტევმა კი გოლს ერთი საგოლე პასი დაუმატა. ასევე, აღვნიშნოთ **ლეროი ფერი** - „ტვენტეს" ნახევარმცველი ზედიზედ მეორე შეხვედრაში შემოვიდა ცვლილებაზე და გერმანიასთან გამართული მატჩის მსგავსად, ამჯერადაც ბოლო წუთზე გაიტანა.

ჰოლანდიამ ზედიზედ მეშვიდე მატჩი მოიგო. ამ პერიოდში, **კორ პოტის** შეგირდებმა 26 (!) გოლი გაიტანეს და მხოლოდ 4 გაუშვეს.

ჯგუფის და მთლიანად მეორე ტურის ცენტრალური მატჩი კი გერმანიის და ესპანეთის დაპირისპირება იყო. პირველ ტურში წაგების შემდეგ გერმანელებს აუცილებლად უნდა მოეგოთ. **ლუის ჰოლტბი** და კომპანია ბევრს კი ეცადა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო. შესანიშნავად დაკომპლექტებულმა ესპანეთმა, მატჩის ბოლოსკენ გოლი აქეთ გაიტანა და ბუნდესნაკრები ჯგუფში ჩატოვა. „ფურია როხას" რიგებში თავი ისევ **ალვარო მორატამ** გამოიჩინა, რომელიც კვლავ ცვლილებაზე შემოვიდა. ვფიქრობთ, დროა „ბარსელონას" ყოფილი მეკარე და ამჟამად ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელი **ხულენ ლოპეტეგი** დაფიქრდეს და მომდევნო შეხვედრაში ძირითადში უკვე „რეალის" შემტევი დააყენოს.

**ტატო ბაციკაძე**

მილანი

# ორი წინადადება ელ შაარავის სანაცვლოდ

## ...ორივე მანჩესტერ სიტისგან

იტალიური სპორტული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „მანჩესტერ სიტის" მესვეურები სერიოზულად არიან დაინტერესებულნი **სტეფან ელ შაარავის** გადაბირებით და საამისოდ, ყველაფერს აკეთებენ. ინგლისელებს „როსონერის" მესვეურებისთვის ორი წინადადება აქვთ გამზადებული: 1. 40 მილიონი ევრო; 2. 25 მილიონი ევრო და **კარლოს ტევესი**.

„მილანის" მესვეურებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ელ შაარავი არ იყიდება, მაგრამ ხშირად, ასეთი განცხადებები ფასის ასაწევადაც კეთდება. სწორედ ამას აღნიშნავს „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი და იქვე დასძენს, რომ სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, ლომბარდიელები ნებისმიერ ფეხბურთელს გაყიდიან, მათ შორის „პატარა ფარაონს". მთავარია, რამდენად ულირთ მილანელებს გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და არის თუ არა 40 მილიონი საკმარისი ვეჭვობთ. ასე იყოს, რადგან მილანში ახალგაზრდულ გუნდს აშენებენ და ელ შაარავი ამ ახალ კონცეფციაში იდეალურად ჯდება.

**ლაშა წიკლაური**


სტეფან ელ შაარავი



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბრაზილია 2014. შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა. XIII ტური

# ესკალანტეს ესკალაცია

**ბოლივია-ვენესუელა 1:1**

**გოლები:** 0:1 არანგო (58), 1:1 კამპოსი (86)

**ბოლივია** (3-4-1-2): ს. გალარსა - სენტენო, რალდესი (74. კამპოსი), ეგინო - ხ. არსე, ჩავესი (46. მოხიკა), ვეისაგა, რ. კარდოსი - ჩუმასერო - საუსედო, მ. მორენო (64. ფიერო)

**ვენესუელა** (4-4-2): ვეგა - რ. როსალესი, პეროსო, სიჩერი, სეიხასი - ს. გონსალესი (71. ა. გონსალესი), ფლორესი, რინკონი, არანგო (81. ფელტშერი) - ხ. მარტინესი, რ. ბლანკო (65. ე. ერნანდესი)

**არგენტინა-კოლუმბია 0:0**

**არგენტინა** (4-2-3-1): რომერო - საბალეტა, ფ. ფერნანდესი, გარაი, როხო - მასკერანო, ბილია - აგუერო (81. ლავეცი), მონტილიო (58. მესი), დი მარია - იგუაინი

**კოლუმბია** (4-3-1-2): ოსპინა - სუნიგა, საპატა, იეპესი, არმერო - კ. სანჩესი, ა. აგილარი (60. ა. მეხია), ა. რამირესი - ჯ. როდრიგესი (34. კვადრადო) - ჯ. მარტინესი (46. ლ. პერეა), ფალკაო

**გაძევება:** საპატა (26. კოლუმბია), იგუაინი (26. არგენტინა)

**პარაგვაი-ჩილე 1:2**

**გოლები:** 0:1 ე. ვარგასი (41), 0:2 ვიდალი (56), 1:2 სანტა კრუსი (88)

**პარაგვაი** (4-3-2-1): ვილიარი - მ. კასერესი, პ. და სილვა, კანდია, სამუდიო - ფ. ოვიედო, რივეროსი (58. რ. ორტისი), ხ. დოს სანტოსი (80. ლ. კაბალიერო) - ე. ბენიტესი, დანტე ლოპესი (59. სანტა კრუსი) - ო. კარდოსო

**ჩილე** (3-4-3): ბრავო - მედელი, მ. გონსალესი, ხ. როხასი - ისლა, ვიდალი, მ. დიასი, ე. მენა - ა. სანჩესი (90. ს. პინტო), ე. ვარგასი (85. ფ. გუტიერესი), ე. პარედესი (59. მატი ფერნანდესი)

**პერუ-ეკვადორი 1:0**

**გოლი:** 1:0 პისარო (11)

**პერუ** (4-4-2): რაულ ფერნანდესი - ხ. ერერა, სამბრანო, ა. როდრიგესი, იოტუნი - ფარფანი (89. ადვინკულა), იუტამოსო, ლ. რამირესი, ხ. ვარგასი (81. ამპუერო) - პისარო (90. კ. რამოსი), გერერო

**ეკვადორი** (4-4-2): ა. დომინგესი - რეასკო (75. რ. იბარა), გაგა, ერასო, ვ. აიოვი - ა. ვალენსია, ს. კასტილიო, ნობოა, ჯეფერსონ მონტერო - კ. ბენიტესი (87. მ. დე ხესუსი), ხ. როხასი (64. ფ. კაისედო)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 12 | 7 | 4 | 1 | 24-8 | 25 |
| 2. კოლუმბია | 11 | 6 | 2 | 3 | 19-7 | 20 |
| 3. ეკვადორი | 11 | 6 | 2 | 3 | 16-11 | 20 |
| 4. ჩილე | 12 | 6 | 0 | 6 | 18-20 | 18 |
| 5. ვენესუელა | 12 | 4 | 4 | 4 | 10-13 | 16 |
| 6. პერუ | 11 | 4 | 2 | 5 | 12-15 | 14 |
| 7. ურუგვაი | 11 | 3 | 4 | 4 | 17-21 | 13 |
| 8. ბოლივია | 12 | 2 | 4 | 6 | 14-21 | 10 |
| 9. პარაგვაი | 12 | 2 | 2 | 8 | 9-23 | 8 |

**ბომბარდირები:** 9 - იგუაინი (არგენტინა); 8 - მესი (არგენტინა), სუარესი (ურუგვაი); 6 - ფალკაო (კოლუმბია); 5 - ფ. კაისედო (ეკვადორი)

**მომდევნო ტური (12 ივნისი,):** კოლუმბია-პერუ, ეკვადორი-არგენტინა, ვენესუელა-ურუგვაი, ჩილე-ბოლივია.

კონმებოლის ზონაში მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი განახლდა. მორიგი ტურის ცენტრალურ შეხვედრას ბუენოს აირესმა უმასპინძლა - „მონუმენტალზე" ერთმანეთს ლიდერი არგენტინა და მესამე ადგილზე მყოფი კოლუმბია შეხვდნენ. ეს მატჩი ძალიან დიდ ინტერესს იწვევდა და დასაწყისი ისეთი გამოდგა, რომ ტელეეკრანებთან მყოფი ფეხბურთის მოყვარულები შესანიშნავი სპექტაკლის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ...

შეხვედრა შეგვიძლია ორად გავყოთ: 26-ე წუთამდე და 26-ე წუთის შემდეგ. მატჩის პირველ 25 წუთში ორივე გუნდი უტევდა და უამრავი საგოლე მომენტიც ვნახეთ, მათგან უმეტესობა კოლუმბიის კართან შეიქმნა, მაგრამ შესანიშნავად თამაშობდა **დავიდ ოსპინა**, ხოლო **გონსალო იგუაინი** მომენტს მომენტზე ანიავებდა. მადრიდის „რეალიდან" წასასვლელად გამზადებული ფორვარდი, საბოლოოდ, მატჩის ერთ-ერთი ანტიგმირიც გახდა. დიახ, ერთ-ერთი, რადგან ამ მატჩის მთავარი ანტიგმირი სულ სხვა ადამიანი იყო.

უკვე ნახსენებ 26-ე წუთზე, ნაქცეულმა იგუაინმა **კრისტიან საპატას** ფეხი მიარტყა, ვალში არც კოლუმბიელი დარჩა, თუმცა სიტუაცია აქვე ჩაწყნარდა და კონფლიქტს გაგრძელება არ ჰქონია, მაგრამ აქ თავი გამოიდო შეხვედრის მთავარმა არბიტრმა, ვენესუელელმა **მარლონ ესკალანტემ**, ვინც ფეხბურთელებს წითელი ბარათები აუფრიალა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თამაშიც გააფუჭა. ამის შემდეგ, სანახაობრივმა მხარემ მკვეთრად მოიკლო, ესკალანტე კი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა.

მეორე ტაიმში **სერხიო აგუერომ** ორი გოლი გაიტანა. ორივე თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაითვალა, მაგრამ თუ პირველ ეპიზოდში თანამსაჯი მართალი იყო, მეორე გოლისას შეცდომა იმდენად აშკარა იყო, რომ გაუგებარიც კია, სად დაინახა ლაინსმენმა ოფსაიდი - გადაცემის მომენტში აგუერო **მარიო იეპესზე** ორი მეტრით უკან იმყოფებოდა. ერთადერთი, რაც შეიძლება ვიფიქროთ, არის ის, რომ არბიტრმა თამაშგარე **ლიონელ მესიზე** დააფიქსირა, რომელიც არც ბურთს შეხებია და რაც მთავარია: თამაშგარეშიც არ იყო.

მოკლედ, ვენესუელელთა ბრიგადამ მატჩი გააფუჭა და უამრავი შეცდომა დაუშვა. გაუგებარია, ასეთი მაღალი დონის თამაშში, რატომ დაინიშნა მთავარ არბიტრად ადამიანი, რომელსაც კარიერის განმავლობაში ვენესუელის ჩემპიონატისა და 20-წლამდელთა კოპა ამერიკის გარდა, არსად უმსაჯია.



გონსალო იგუაინმა (№9) სამი რეალური მომენტი ვერ გამოიყენა, 26-ე წუთზე კი ის და საპატა (№2) მოედნიდან გააძევეს

## პარაგვაი და ბოლივია უშანსოდ არიან

პარაგვაის ნაკრებმა მორიგი მატჩი წააგო და მუნდიალზე გასვლის პრაქტიკული შანსი დაკარგა. ჩილემ ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა და მეოთხე ადგილზე გადავიდა. შესანიშნავი ბურთი გაიტანა **ედუარდო ვარგასმა**, ვინც 41-ე წუთზე ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში სტუმართა უპირატესობა **არტურო ვიდალმა** გაზარდა. ერთადერთი, რაც მასპინძლებმა შეძლეს, **როკე სანტა კრუსის** გოლი იყო, მაგრამ პარაგვაის ანგარიშის გასათანაბრებლად არც დრო ეყო და არც კლასი.

ასევე ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო პერუმ და საგზურისთვის ბრძოლას დაუბრუნდა. ეკვადორის ნაკრების კარში ერთადერთი გოლი **კლაუდიო პისარომ** გაიტანა, ვინც ნაკრებში თავი ბოლოს წელიწადნახევრის წინ გამოიჩინა. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდების ბოლო 13 დაპირისპირებიდან პერუმ მხოლოდ მეორე მოიგო და გარდა ამისა, მეტოქესთან 5-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა (1 ფრე და 4 წაგება). ეკვადორს შესარჩევ ეტაპზე ზედიზედ 6 მატჩი არ ჰქონდა წაგებული და ამ მარცხის გამო, სიტუაცია გაირთულა, თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომდევნო ტურში **რეინალდო რუედას** შეგირდები არგენტინას ხვდებიან.

პარაგვაის მსგავსად, თითქმის უშანსოდ არის ბოლივიაც, რომელმაც სახლში ვენესუელას ვერ მოუგო. სტუმრები **ხუან არანგოს** გოლის წყალობით იგებდნენ, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, **ჯასმანი კამპოსმა** წონასწორობა აღადგინა. საინტერესოა, რომ მასპინძელთა ნაკრებს დაუბრუნდა **მარსელო მორენო**, ვინც რამდენიმე თვის წინ სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

## ურუგვაი

სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებს ამ ტურში არ უთამაშია. **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის** გუნდი უკვე მეშვიდე ადგილზეა და მას მუნდიალს მიღმა დარჩენის სერიოზული საფრთხე ემუქრება. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას, გუნდის დარჩენილი მატჩების კალენდარი და ის ფაქტი გვაძლევს, რომ „სელესტას" შესარჩევ ეტაპზე უკვე 6 მატჩია არ მოუგია.

ურუგვაის დარჩენილი მატჩები: ვენესუელა (სტუმრად), პერუ (სტუმრად), კოლუმბია (შინ), ეკვადორი (სტუმრად), არგენტინა (შინ)



სერხიო აგუეროს მარლონ ესკალანტემ ორი გოლი არ ჩაუთვალა, აქედან ერთი უსამართლოდ




● ტრანსფერი

# რივეროსი გრემიოში

**შოთა არველაძის** ყოფილი შეგირდი, პარაგვაის ნაკრების ცენტრალური ნახევარმცველი, **კრისტიანი რივეროსი** „გრემიოში" გადავიდა. 30 წლის ფეხბურთელმა, რომელმაც ბოლო ორი სეზონი „კაისერისპორში" გაატარა, პორტუ ალეგრის კლუბთან 2-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. რივეროსი ბრაზილიურ კლუბში **ფერნანდოს** შეცვლის, ვინც დონეცკის „შახტარში" გადადის.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტენჰემი

# დეზების ყოფილი სამეული

**თვის ბოლოს „ტოტენჰემის“ შემდეგ სამ ფეხბურთელს - ჯონ ბოსტოკს (21 წლის), ვილიამ გალასსა (35) და დევიდ ბენტლის (28) დაუმთავრდათ კონტრაქტები კლუბთან. „დეზებმა“ სამივეს აცნობეს, რომ მათთან თანამშრომლობის გაგრძელება არ იგეგმება. ნება მოგვეცით, თითოეულ მათგანზე ორიოდე სიტყვა ვთქვათ. მაშ ასე:**

**ჯონ ბოსტოკი** ჩრდილოლონდონელებმა 2008 წლის ზაფხულზე „კრისტალ პალასიდან“ გადაიბირეს. 5 წლის წინ ჯონზე წერდნენ, რომ ის ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული ტალანტი იყო. ბოსტოკის დებიუტი 2008 წლის 6 ნოემბერს უეფას თასზე ზაგრების „დინამოსთან“ შედგა. ის ამ დროისთვის 16 წლისა და 295 დღისა გახლდათ. ჯონი დღემდე ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება, ვისაც ოდესმე „ტოტენჰემის“ ოფიციალურ შეხვედრაში უთამაშია. სამწუხაროდ მისი კარიერა სასურველი მიმართულებით არ განვითარდა. მან სულ 4 შეხვედრა ჩაატარა „ტოტენჰემში“.

**დევიდ ბენტლი** 2008 წლის ზაფხულზე „უაით ჰართ ლეინზე“ რომ გადავიდა, უკვე ვარსკვლავის სტატუსი ჰქონდა. მთელ ინგლისს ახსოვდა 2006 წლის 1 თებერვალი, როცა ფეხმარდმა ნახევარმცველმა დრამატულ შეხვედრაში (4:3) „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჰეთთრიკი შეასრულა. დევიდი ჯერ კიდევ „ვარდების“ რიგებში თამაშობდა, როცა **სვენ გორან ერიკსონმა** ინგლისის ნაკრებში მიიწვია. „დეზები“ ბენტლის ტრანსფერს ამრეზით შეხვდნენ, რადგან ის „არსენალის“ აკადემიის აღზრდილია. ფეხბურთელმა გულშემატკივართა შემორიგება 2008 წლის 29 ოქტომბერს „არსენალთან“ ჩრდილოლონდონურ დერბიში (4:4) გატანილი ფანტასტიკური გოლით მოახერხა. პირველი ორი სეზონი ბენტლის ასე თუ ისე გამოუვიდა, მაგრამ 2010/11 წლებისთვის გუნდმა ის უკვე იჯარით გაუშვა და ასე გრძელდებოდა უკანასკნელ სეზონამდე. დევიდმა სულ ლონდონურ კლუბში 62 შეხვედრა ჩაატარა.

**ვილიამ გალასი** ლონდონში 2001 წლის ზაფხულზე ჩავიდა და სამუდამოდ შეიყვარა ეს ქალაქი. „მარსელის“ შემდეგ კარიერის გაგრძელება მას „ჩელსიმ“ შესთავაზა. ვილიამმა „სტემფორდ ბრიჯი“ 2006 წელს უკმაყოფილომ დატოვა, რადგან **ჟოზე მოურინიო** ცენტრალური მცველის გარდა ლამის ყველგან ათამაშებდა. კარიერა მან „არსენალში“ განაგრძო, 2010-ში კი უკვე მესამე ლონდონურ კლუბში ამოყო თავი. უკანასკნელი სეზონი გალასის ინგლისურ კარიერაში ყველაზე სუსტი აღმოჩნდა. თანაც „ტოტენჰემში“ ახალგაზრდა, პერსპექტიული სტოპერები გამოჩნდნენ. ამ ყოველივეს გამო **ანდრე ვილაშ ბოაშმა** ვილიამთან თანამშრომლობა აღარ ისურვა. საერთო ჯამში „დეზებში“ გალასის ანგარიშზე 77 თამაშია.



ტოტენჰემში გალასს კაპიტნის სამკლავურსაც კი ანდობდნენ

ვარსკვლავი



ფილ ნევილი

# ფილ ნევილი ფეხბურთიდან წავიდა

„ევერტონთან“ კონტრაქტის დასრულების შემდეგ 36 წლის **ფილ ნევილმა** აქტიური პროფესიული კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება. ვეტერანმა მიმდინარე წლის იანვარში აცნობა კლუბს, რომ „გუდისონ პარკზე“ დარჩენას არ აპირებდა, მაგრამ მაშინ მას პენსიაზე სიტყვაც კი არ დასცდენია. *„პრემიერლიგის დასრულების შემდეგ ლეგენდარული ფეხბურთელების წასვლის გამო ისტერია იყო ატეხილი. ძალიან არ მინდოდა, ამ პროცესის მონაწილე გავმხდარიყავი. ველაპარაკებოდი ფაულერს, ვისაც ოფიციალური განცხადება ფეხბურთიდან წასვლაზე არასოდეს გაუკეთებია და გადაწყვეტილება მხოლოდ ამის მერე მივიღე. განცხადების გაკეთება მშვიდ გარემოში მსურდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა „ევერტონიდან“ წასვლა დავადასტურე, ხალხი მოდიოდა ჩემთან და კომპლიმენტებს მეუბნებოდა. დამატებით ყურადღების მიპყრობა კი არ მსურდა. რას გავაკეთებ ამის შემდეგ? ვერ გეტყვით. ზუსტი პასუხი არ მაქვს. ორი გზაა – მედია და ისევ ფეხბურთი, მწვრთნელობა ან მენეჯერობა. შემოთავაზება ორივე სფეროს წარმომადგენლებისგან მაქვს. ჯერ დაფიქრება მჭირდება. ყველაზე მეტად 4 ივლისი დამაკლდება, დღე, როცა „ევერტონში“ შვებულება გვიმთავრდებოდა ხოლმე. ამ დღეს ვალმერთებდი,“* – თქვა ფილ ნევილმა.

ნიუკასლი

# სისემ ნიუკასლს უარი უთხრა

2013/14 წლების სეზონიდან ჩრდილოინგლისელთა სპონსორი საფინანსო კომპანია Wonga.com უნდა გახდეს, ვინც ამისთვის წელიწადში 8 მილიონ ფუნტს გადაიხდის. ფირმა სპეციფიკურ მოკლევადიან სესხებს იძლევა, რომელსაც მოკლედ შეიძლება ვუწოდოთ, როგორც „კრედიტი ხელფასამდე“. „დეილი მეილის“ ცნობით, „ნიუკასლს“ ამის გამო სერიოზული პრობლემა შეექმნა, რადგან 26 წლის თავდამსხმელმა **პაპის სისემ** განაცხადა, რომ ის მუსლიმია და რელიგიური გრძნობები არ მისცემს საშუალებას, „მევახშეთა ფირმის ლოგოტიპიანი მაისურით ითამაშოს“. პრობლემა მხოლოდ სისეში არ არის. „ნიუკასლში“ ისლამის კანონებს მკაცრად იცავენ ასევე **შეიხ ტიოტე** და **ჰატემ ბენ არფა**. საინტერესოა, რომ „კაჭკაჭების“ გენერალური სპონსორი აქამდეც საფინანსო კომპანია „ვირჯინ მანი“ იყო, მაგრამ სენეგალელს პრობლემა სწორედ Wonga.com-ის საქმიანობასთან აქვს.

ფეხბურთელების მხრიდან მსგავსი პროტესტი პირველი არ არის. ანალოგიური პრობლემა ჰქონდა რამდენიმე წლის წინ ესპანურ „სევილიაში“ მალელ **ფრედერიკ კანუტესაც**, ვინც ონლაინ-კაზინო 888.com-ის სპონსორობა გააპროტესტა. საბოლოოდ ის თამაშს კი დათანხმდა, მაგრამ კლუბის მიერ ორგანიზებულ სარეკლამო აქციებში მონაწილეობაზე თქვა კატეგორიული უარი.



ნიუკასლს პაპის სისესთან ფრიად დელიკატური პრობლემა აქვს მოსაგვარებელი

ლივერპული

# წითლების ურყევი ავტორიტეტი



ლივერპულის აღმასრულებელი დირექტორი იან ეირი

რამდენიმე დღის წინ „არსენალის“ აღმასრულებელმა დირექტორმა **ივან გაზიდისმა** განაცხადა, რომ ჩრდილოლონდონური კლუბი მზადაა, ხმაურიან სატრანსფერო გარიგებებს შეეჭიდოს და გუნდი მაქსიმალურად გააძლიეროს. „ლივერპულ დეილი პოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ანალოგიური განცხადება გააკეთა მისმა ლივერპულელმა კოლეგა **იან ეირმა**. მისი თქმით, მერსისაიდელთა ევროთასებს მიღმა დარჩენა არ აისახება „ლივერპულის“ პრესტიჟსა და სატრანსფერო მიმზიდველობაზე. აი, რა თქვა მან: *„ეჭვიც კი არ მეპარება, რომ ჩვენ შეგვიძლია ტოპკლასის ფეხბურთელების გადაბირება. ამის ნათელი მაგალითია იანვრის სატრანსფერო ფანჯარა, როდესაც ფილიპე კოუტინიო და დენიელ სტარიჯი შევიძინეთ. ჩემპიონატის მეორე წრეში ერთმაც და მეორემაც გუნდის თამაშზე ძალიან დიდი გავლენა იქონია. რაკი მათი კლასის ფეხბურთელები ჩვენთან თამაშს თანხმდებიან, ეს ნიშნავს, რომ კლუბი განვითარების სწორ გზას ადგას. ჯერ არ მომხდარა, რომ ვინმეს ჩვენთვის უარი ეთქვას იმიტომ, რომ კლუბი მის ამბიციებს ვერ აკმაყოფილებს ან სათანადოდ წარმატებული არ ვართ“.*

### წარმავალთა მორიგი პარტია

სეზონის დასრულების შემდეგ „ენფილდი“ ორმა ფეხბურთელმა დატოვა. ლაპარაკია **დენი უილსონსა** („ჰართსი“) და **პიტერ გულაშიზე** (ზალცბურგის „რედ ბული“). რაკი **ბრენდან როჯერსს** დიდი ხანია სერიოზული საკადრო წმენდა აქვს დაგეგმილი, ეჭვი არავის ეპარება, რომ ცვლილებები კიდევ იქნება. მით უფრო, როცა ჯერ კიდევ არაფერი გარკვეულა **ენდი კეროლის** ტრანსფერთან დაკავშირებით. მართალია, „ლივერპული“ „ვესტ ჰემს“ კომპენსაციაზე შეუთანხმდა, მაგრამ პრობლემას ახლა თავად კეროლი ქმნის, ვინც „ჩაქუჩებისგან“ კვირაში 100 ათას ფუნტს ითხოვს. კეროლის გარდა გუნდის დატოვება მოუწევთ **მარტინ შკრტელს, სებასტიან კოატესსა** და **უსამა ასაიდის**. „რეპრესიები“ შეიძლება შეეხოთ **დანი პაჩეკოს, ჯეი სპირინგსა** და **ჯეკ რობინსონსაც**.

ამბები

## დე ბრუინი ჩელსიში ბრუნდება

„ვენკის“ ყოფილი ვარსკვლავის, 21 წლის **კევინ დე ბრუინის** კარიერული წინსვლა აშკარად შეფერხდა, როცა მან „ჩელსიში“ გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება. ცხადი იყო, რომ მიუხედავად ხმამაღალი განცხადებებისა, ნიჭიერი ნახევარმცველი ლონდონელთა ძირითადში მოსახვედრად მზად არ იყო. ეჭვი გვეპარება, ბელგიელმა ეს თუნდაც ტრანსფერიდან 1,5 წლის თავზე შეძლოს. თუმცა საკითხს **ჟოზე მოურინიო** ერთპიროვნულად წყვეტს. პორტუგალიელს კი დე ბრუინის „სტემფორდ ბრიჯზე“ დატოვება სურს. მართალია, „ვერდერში“ წარმატებული 2012/13-ის სეზონის შემდეგ მისი გადაბირება „ლევერკუზენსა“ და „დორტმუნდს“ სურდათ, მაგრამ „ჩელსიმ“ გერმანელები უარით გაისტუმრა. „ფარმაცევტები“ კევინს **ანდრე შიურლეს** ტრანსფერის ნაწილად განიხილავდნენ, ასე რომ, შესაძლოა, გარიგება გერმანიის ნაკრების ფეხბურთელის თაობაზე ჩაშლილად გამოცხადდეს.

## ევერტონის მთავარი მიზანი

„ლივერპულ ეხოს“ ცნობით, „ევერტონის“ დამრიგებელ **რობერტო მარტინესს** მოსკოვის „სპარტაკიდან“ ირლანდიის ნაკრების ნახევარმცველის, 27 წლის **ეიდენ მაკგიდის** შეძენა სურს. 39 წლის ესპანელ სპეციალისტს იანვარში მისი ყიდვა „უიგანში“ მუშაობის დროსაც უნდოდა, მაგრამ პრემიერლიგის აუტსაიდერში გადასვლაზე უარი მაშინ თავად ფეხბურთელმა თქვა. თუმცა მშობლიურ გარემოში დაბრუნება მას უკვე დიდი ხანია სურს. ეს გასაკვირი არც არის, რადგან რუსულ „სახალხო გუნდამდე“ ეიდენი ექვსი წლის განმავლობაში „სელტიკის“ ღირსებას იცავდა. „ევერტონის“ სახელს უკავშირებენ „უიგანიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით წასული 30 წლის პარაგვაელი ცენტრალური მცველის **ანტოლინ ალკარასის** სახელსაც.

## 62 მილიონი 3 ფეხბურთელში

„დეილი მეილის“ ცნობით, „არსენალი“ მზადაა, გუნდის შემადგენლობის სერიოზულად გასაძლიერებლად სამი ვარსკვლავი შეიძინოს და მათში 62 მილიონი ფუნტი გადაიხადოს. ლაპარაკია **გონსალო იგუაინზე** („რეალი“, 25 წლის, თავდამსხმელი), **ილქაი გიუნდოგანსა** („დორტმუნდი“, 22 წლის, ნახევარმცველი) და **ლარს ბენდერზე** („ლევერკუზენი“, 24 წლის, ნახევარმცველი). „მეთოფეებმა“ განსაზღვრეს, თუ რამდენად ულირთ თითოეული მათგანი. შესაბამისად, 25, 20 და 17 მილიონი ფუნტი. ამას გარდა „წვრილმანი“ ტრანსფერებისთვის ჩრდილოლონდონელები კიდევ 8 მილიონის დახარჯვას აპირებენ.

## ბექჰი ისევ იუნაიტედის სამსახურში

„დეილი მირორის“ ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედში“ იმედი აქვთ, რომ 38 წლის **დევიდ ბექჰემი** მშობლიურ კლუბთან თანამშრომლობაზე უარს არ იტყვის და ელჩობას დათანხმდება. ეს სამსახური სპონსორების მიერ ორგანიზებულ პიარაქციებზე დასწრებასა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობას გულისხმობს, სადაც ისევ და ისევ კლუბის პოპულარიზება უნდა მოხდეს. ბექჰემზე უფრო გაყიდვადი ბრენდი კი მსოფლიო ფეხბურთს დღემდე არ ჰყავს. შეგახსენებთ, რომ აქტიური კარიერის დასრულების შემდეგ დევიდს ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რა გზას დაადგება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ბექჰი სამწვრთნელო კარიერაზე არ ფიქრობს. „მანჩესტერ იუნაიტედს“ ამჟამად ორი ცნობილი „დიპლომატი“ ჰყავს სამსახურში – **ედვინ ვან დერ სარი** და სერ **ალექს ფერგიუსონი**.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ფიორენტინა

# იოვეტიჩი: დროა, წავიდე


სტევან იოვეტიჩი

„ფიორენტინას" 23 წლის ფეხბურთელმა **სტევან იოვეტიჩმა** ღიად განაცხადა, რომ ფლორენციიდან აბარგება და ევროპის რომელიმე ტოპ-გუნდში გადასვლა სურს. ჩერნოგორიელმა არ დამალა, რომ მის სიმპათიებს „იუვენტუსი" იმსახურებს, მაგრამ იქვე დაამატა, არც პრემიერლიგასა და ლა ლიგაზე ვიტყოდი უარსო:

*„ფლორენციელი გულშემატკივრები და „ფიორენტინას' მესვეურები ჩემგან ყოველთვის გულწრფელობას ითხოვდნენ, რაც სიმართლის თქმისკენ მიბიძგებს... „ფიორენტინაში" შესანიშნავი წლები გადავატარე და აქ უდიდესი გამოცდილება მივიღე, მაგრამ დადგა დრო, ახალი გამოწვევა მივიღო. ჩემი მიზანი არა მარტო ევროტურნირებზე მონაწილეობა, არამედ გამარჯვებაა და კარგად ვხვდები, რომ ეს ტოპ გუნდში ასპარეზობით არის შესაძლებელი. „იუვენტუსის" ინტერესის შესახებ წლებია მესმის და თუ ამჯერად მაინც, ტურინული პერსპექტივა რეალურია, მხოლოდ გამიხარდება. ანტონიო კონტე უძლიერესი სპეციალისტია და დარწმუნებული ვარ, რომ მასთან ერთად კიდევ უფრო გავიზრდები. „იუვეში" დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი, მაგრამ სხვა ქვეყნებიდანაც ველოდები წინადადებებს... ინგლისური პრემიერლიგა, ესპანური ლა ლიგა ყოველთვის მომწონდა, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს".*

**ლაშა ნიკლაური**

რომა

# გადაწყდა: რუდი გარსია – რომას სათავეში

ბოლო ხანებში, „რომას" მწვრთნელობის მთავარ კანდიდატად **ლორალ ბლანი** განიხილებოდა, მაგრამ საბოლოოდ, დედაქალაქური გუნდი **რუდი გარსიამ** ჩაიბარა. დიახ, კიდევ ერთმა ფრანგმა სპეციალისტმა, რომელიც ბოლოს „ლილს" ედგა სათავეში და ამ გუნდის ბოლოდროინდელი წარმატებებიც სწორედ მას უკავშირდება. მართალია, კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ ამ საქმეს წინ არაფერი უდგას.

49 წლის სპეციალისტმა „ლილი" 2008 წელს ჩაიბარა და სამი წლის შემდეგ დუბლი შეასრულა... მისმა გუნდი არა მარტო საფრანგეთის ჩემპიონი, თასის მფლობელიც გახდა. „რომასთან" გასაფორმებელი ხელშეკრულების დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ კულუარული ინფორმაციით, რუდი გარსია „ჯალოროსის" ბედს ორი წლით დაუკავშირებს.

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

## გარგანო ნეაპოლში ბრუნდება

გასულ ზაფხულს, „ინტერმა' „ნაპოლიდან" **ვალტერ გარგანო** ინათხოვრა და როგორც ასეთ დროს ხდება, გამოსყიდვის პერსპექტივით. 28 წლის ურუგვაელის ფასი 5 მილიონ ევროდ განისაზღვრა, რომელიც სურვილის შემთხვევაში, მილანელებს სეზონის თავზე უნდა გადაეხადათ...

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ინტერის" მესვეურებმა არ ისურვეს გარგანოს გამოსყიდვა და შესაბამისად, ფეხბურთელს ნეაპოლში მოუწევს დაბრუნება. გასულ სეზონში, ვალტერმა 28 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ხშირად სათადარიგოთა სკამიდან ერთვებოდა თამაშში. მთლიანობაში, გაუჭირდა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და ლოგიკურია, რომ მილანელებმა მასში 5 მილიონი ევროს გადახდა არ ისურვეს. ამრიგად, გარგანო „ნაპოლიში" ბრუნდება და დარჩება თუ არა იქ, **რაფაელ ბენიტესის** გადასაწყვეტია.

## დე ლაურენტისის სატრანსფერო ციებ-ცხელება

„ნაპოლის" მესვეურები სატრანსფერო ციებ-ცხელებაში არიან ჩაბმულნი და სხვადასხვა მიმართულებით, მოლაპარაკებებს აწარმოებენ. როგორც კლუბის პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** განაცხადა, მას ძალიან უნდოდა „რომას" ორი მოთამაშის გადაბირება, მაგრამ დედაქალაქელებმა უარი განაცხადეს:

*„ერიკ ლამელას და მარკინიოსის გადმოყვანა მსურდა და ამ მიზნით, რომაელებს პირადად ვესაუბრე. ორივეს სანაცვლოდ 40 მილიონი ევრო შევთავაზე, მაგრამ უარი განაცხადეს. სხვათა შორის, იქვე შემომთავაზეს პაბლო დანიელ ოსვალდოს ყიდვა - თანაც, პირდაპირ მითხრეს, თანხა თქვენ დაასახელეთო. ამდენი წელია ფეხბურთში ვარ და მსგავსი არაფერი მომისმენია. ოსვალდო არ გვჭირდება და შესაბამისად, უარი ვთქვი. მართალია, რომაელებთან შეთანხმება არ შედგა, მაგრამ შესაძლოა, ეს უკეთესიც იყოს - ბოლო დღეებში, საინტერესო ვარიანტები გამოჩნდა და არანაკლებ კარგი ფეხბურთელების გადმოყვანის კონტურებიც გამოიკვეთა; თანაც, გაცილებით იაფად".*

დე ლაურენტისმა მეტი კონკრეტიკისგან თავი შეიკავა, თუმცა იტალიელი ჟურნალისტები ყველაფერს მალე გაარკვევენ. აქვე ვთქვათ, რომ ნეაპოლელთა მცდელობის შემდეგ, „რომას" მესვეურებმა საგანგებო განცხადება გააკეთეს და აღნიშნეს, რომ 21 წლის ლამელა და 19 წლის მარკინიოსი არ იყიდებიან.

## პრეციოზის მოულოდნელი გადაწყვეტილება

გუშინ მეტად მოულოდნელი ინფორმაცია გავრცელდა, რომლის მიხედვითაც, „ჯენოას" ახალი მთავარი მწვრთნელი **ფაბიო ლივერანი** იქნება. რაც მთავარია, აღნიშნული ცნობა კლუბის პრეზიდენტმა **ენრიკო პრეციოზიმ** დაადასტურა:

*„მართალია, „ჯენოას" ახალი მთავარი მწვრთნელი* ***ფაბიო ლივერანი***

იქნება. კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ გადაწყვეტილება მიღებულია და მის შეცვლას არ ვაპირებ. რატომ შევაჩერე არჩევანი ფაბიოზე? - მებრძოლი ხასიათის პიროვნებაა, ტაქტიკურად განსწავლული და ყველა იმ თვისების მქონე, რომელიც სამწვრთნელო საქმიანობაში წარმატების წინაპირობაა. დარწმუნებული ვარ, ლივერანი გუნდს მალევე დაატყობს თავის ხელს".

37 წლის ფაბიო ლივერანი ბოლოს შვეიცარიულ „ლუგანოში" თამაშობდა, იქამდე კი იტალიური გუნდები მოიარა: „პერუჯა", „ლაციო", „ფიორენტინა" და „პალერმო". „ჯენოასთან" ლივერანის არაფერი აკავშირებდა და რადგან არც სამწვრთნელო საქმეში აქვს გამოცდილება, პრეციოზის გადაწყვეტილებამ საფეხბურთო იტალია გაკვირვებული დატოვა. ფაბიო „ჯენოას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **დავიდე ბალარდინის** შეცვლის.

**ლაშა ნიკლაური**

ჭიდაობა, ჩვენი, ქართული...

# ახალ არენაზე – დაშვებული დროშებით

შიდა ქართლის, მცხეთა - მთიანეთისა და სამცხე – ჯავახეთის რეგიონების 1993 - 1995 წწ დაბადებულ ახალგაზრდა სპორტსმენთა მონაწილეობით, 6 ივნისს კასპის რაიონის სოფელ მეტეხში იოსებ მალალაშვილის სახელობის ღია საჭიდაო არენაზე, ზონალური პირველობა გაიმართა ქართულ ჭიდაობაში.

არენა, რომელზეც ასპარეზობა ჩატარდა, ქართული ჭიდაობის ფედერაციის და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" ერთობლივი პროექტით გაკეთდა. პირველი შეჯიბრება კი ახალ სარბიელზე სწორედ ეს პირველობა იყო. საჭიდაოს ტრიბუნა ნახევრად გადახურულია, დასაჯდომი და ფეხზე დასადგომი ადგილების რამდენიმე რიგი რკინის კონსტრუქციითაა მოწყობილი, და დაახლოებით 500 მაყურებელს იტევს.

ასპარეზობის მონაწილეებმა და ორგანიზატორებმა პატივი მიაგეს ავლანეთში ტრაგიკულად დაღუპულ ქართველ ჯარისკაცთა ხსოვნას, დაშვებული იყო საქართველოს ალმები. შეჯიბრებას უამრავი საპატიო სტუმარი ჰყავდა, რომელთა შორის იყვნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები სამბოში, საქართველოს აბსოლუტური ფალავნები ქართულ ჭიდაობაში. ამ ფედერაციის პრეზიდენტი **გელა ბერუაშვილი**, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **ლუკა კურტანიძე**, კასპის რაიონის გამგებელი **ოლეგ იაძე...**

როგორც მოსალოდნელი იყო, კვარცხლბეკზე ძირითადად შიდა ქართლელი (კასპი, გორი, ქარელი, ხაშური) მოჭიდავეები დადგნენ. საპრიზო ადგილები მცხეთელებმაც მოიპოვეს. ყველა წონითი კატეგორიის საუკეთესო სამეულები 14 - 15 ივნისს სოფელ მუხრანში საქართველოს პირველობაზე იასპარეზებენ. ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონაში ფინალური დაპირისპირება გორელებს **გიგა გელაშვილსა და გიგა თაყაძეს** შორის ქულების უპირატესობით ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. მთავარი პრიზი - ჭედილა, ამ ფალავანს გელა ბერუაშვილმა და ცნობილმა ვეტერანმა ფეხბურთელმა **რევაზ ძოძუაშვილმა** გადასცეს. მედლები, თასები და ჯილდოები მიიღეს სხვა წონით კატეგორიებში გამარჯვებულებმა და პრიზიორებმა.

ქართული ჭიდაობის ფედერაციას შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებაში მხარში ამოუდგა კასპის რაიონის მუნიციპალიტეტი (სპორტის სამსახურის უფროსი **შოთა გოგიაშვილი**).

**კვარცხლბეკი**

**55 კგ.** 1. ვეფხია ყურაშვილი (კასპი), 2. გიორგი მირუაშვილი, 3. გიორგი სადალაშვილი (ორივე – გორი).

**60 კგ.** 1. გიორგი ავანაშვილი (მცხეთა), 2. ლაშა ჩადუნელი, 3. მიხეილ მიქაძე (ორივე - ხაშური).

**65 კგ.** გიორგი გუგულაშვილი (კასპი), 2. ზაზა სიმონიშვილი (ქარელი), 3. ნიკა ბოგველი (კასპი)

**70 კგ.** 1. ტრისტან ფეიქრიშვილი (კასპი), 2. ირაკლი ლომიძე, 3. შოთა ოქროპირიძე (ორივე - გორი).

**80 კგ.** 1. ილია ლაშაური (მცხეთა), 2. გელა გასიტაშვილი (გორი), 3. გიორგი კილასონია (ქარელი).

**90 კგ.** 1. დათო ხუციშვილი (ქარელი), 2. ოქრო პაპუაშვილი (ხაშური), 3. უშანგი გასიტაშვილი (გორი).

**მძიმე.** 1. გიგა თაყაძე, 2. გიგა გელაშვილი (ორივე - გორი), 3. დიმიტრი გუგულაშვილი (კასპი).

**ვასილ ბალახაძე**
მეტეხიდან

ფოტო: www.qartlisport.ge


ახალი არენა მეტეხში

მშვილდოსნობა. ანტალიის ტურნირი

# ანტალიაში ხალხი დაგვემატა

**ხვალ ანტალიაში მშვილდოსანთა მსოფლიოს თასის რიგით მეორე ეტაპი იწყება, რომელიც სპორტის ამ სახეობაში გამორჩეულად ძლიერი შეჯიბრებაა. სეზონში მსოფლიოს თასის ხუთი ეტაპი იმართება, მაგრამ მრავალ მიზეზთა გამო ანტალიური ყველაზე პრესტიჟულია. ამას ძირითადად ხელსაყრელი კალენდარი განაპირობებს – ზაფხულია და საქვეყნოდ ცნობილ კურორტზე ჩასვლას ვინ დაიზარებს, ხოლო რაკი ძლიერი სპორტსმენები ჩადიან, ესე იგი, კარგი სპარინგებიც გარანტირებულია. თან რეგიონული პირველობებისთვის ერთ-ერთი მთავარი მოსამზადებელი შეჯიბრებაა და ამ ფაქტორთა ერთობლიობა, რასაც მშვენიერი სპორტული ბაზა, ჩინებული ინფრასტრუქტურაც ემატება, განაპირობებს შეჯიბრების მაღალ დონეს.**

ვარსკვლავები არც წლევანდელ შეჯიბრებას დააკლდებიან – ჩინელი თუ კორეელი ოლიმპიური ჩემპიონები, შესაბამისად, **იუტინ ფანი** და **კი ბო ბაე**, კორეელი ოლიმპიური პრიზიორი **ოკ ჰეე იუნი**, ამერიკელთა ქართველი ოლიმპიური მედალოსანი **ხათუნა ლორიგი**, იტალიელთა მსოფლიოს ორ-ორგზის ჩემპიონი პირადსა და გუნდურში, ოლიმპიური მედალოსანი **ნატალია ვალეევა**, ძლიერი ინდოელი **დეეპიკა კუმარი** (მსოფლიოს თასის წინა ეტაპზე – შანხაიში ფინალში გავიდა), მამაკაცებში – უკრაინელი ოლიმპიური ჩემპიონი **ვიქტორ რიბანი**, თუმცა რამდენიმე ლიდერიც არ გამოდის. მაგალითად, ჩილელთა მსოფლიოს ჩემპიონი **დენიზე ასტრიდ ვან ლემოენი**, მექსიკელებს ეყოლებათ ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **აიდა რომანი**, მაგრამ არ იქნება ლონდონური თამაშების მესამე პრიზიორი **მარიანა ავიტილა;** ბრიტანელებს აკლიათ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **ალისონ ვილიამსონი...**



როგორც გითხარით, ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სერგო გათიკაევმა** შემადგენლობა სერიოზულად გადაახალისა და ამჯერად ანტალიაში ჩვენგან ახალგაზრდული გუნდები გამოვლენ. ეს იმან გამოიწვია, რომ უფროსებიდან ვერც ქალები და მით უფრო – ვერც ვაჟები ნორმატივებს ვერ ასრულებენ. ამიტომ მათ ნაცვლად ახალგაზრდების გამოცდა არჩიეს. თავდაპირველად ვაჟებში საასპარეზოდ **ლაშა ფხაკაძე, არჩილ ფარსენაძე** და **ჯაბა მოსეშვილი** შეარჩიეს, ქალებში – **თეონა კუტალაძე, ციალა ფუტკარაძე** და **მედეა აბულაძე**, თუმცა ბოლო დღეებში მათ **აკაკი ლეკვეიშვილი** და **ანა დუმბაძეც** შეუერთდნენ. ამათგან ზოგი ფედერაციამ დააფინანსა, ზოგიც საკუთარი ხარჯით წავიდა.

დღეს ანტალიაში სპორტსმენებს ოფიციალური ვარჯიში ექნებათ, ხვალ კი საკვალიფიკაციო ეტაპი ჩატარდება. დილის სესია იქაური დროით 9.45-ზე დაიწყება და 13 საათისთვის ჩუბინები ორ დისტანციას – 70 და 60 მეტრებს მოილევენ, 50 და 30-ზე კი საღამოს, შესვენების შემდეგ იასპარეზებენ 15 სთ-დან. სწორედ ამის შემდეგ გაირკვევიან პლეი ოფის მონაწილეები როგორც გუნდურში, ისე - პირადში. ზეგ, ასევე შესვენების შემდეგ გაიმართება პლეი ოფები პირადში და შერეულ წყვილებში, რაც 13 ივნისსაც გაგრძელდება, გუნდურში კი იმავე ეტაპის პაექრობები 14-ში ჩატარდება. ოღონდ აღნიშნულ დღეებში პლეი ოფები პირადშიც და გუნდურშიც ნახევარფინალების ჩათვლით გაიმართება, საფინალო დღე კი 16 ივნისია, როცა უკლებლივ ყველა დისციპლინაში – ინდივიდუალურშიც, გუნდურშიც და შერეულ წყვილებშიც მედლებისთვის შეხვედრები მოეწყობა. ტურნირიც ამ დღეს დასრულდება.

**ირაკლი თავაძე**

მძლეოსნობა

# თითო ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო

თურქეთში დამთავრდა ახალგაზრდა მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 25 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ქართველი ათლეტები მხოლოდ 1998-1999 წლებში დაბადებულთა პირველობაში ასპარეზობდნენ. თბილისელმა **თეონა მაჭარაშვილმა** 100 მეტრზე რბენაში (12,78) პირველი ადგილი დაიკავა და ოქროს მედალი მოიპოვა. ამავე დისტანციაზე მესამე იყო ზუგდიდელი **მარიამ ჩაკაბერია** (21,91). საქართველოს დელეგაციას ვერცხლის მედალი ქუთაისელმა **ავთანდილ ტყეშელაშვილმა** მოუტანა - სიგრძეზე ხტომაში იგი 6,13 მეტრით მეორე ადგილზე გავიდა.

ვაჟა დანელია

# საკუთარი ხარჯებით ჩავიდნენ და გაიმარჯვეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის მძლეოსნობის ფედერაციის (პრეზიდენტი **რევაზ ბუკია**) ინიციატივითა და მარტვილის სპორტსკოლის მხარდაჭერით ონტოფოში მხარის 100-ზე მეტმა ახალგაზრდა ათლეტმა მოიყარა თავი. როგორც რევაზ ბუკიამ გვითხრა, შეჯიბრებაში უსახსრობის გამო ზუგდიდის პირველი გუნდი არ მონაწილეობდა, მეორე გუნდის წევრები კი საკუთარი ხარჯებით ჩავიდნენ შეჯიბრებაზე. მათ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის, აბაშის, ფოთისა და ხობის წარმომადგენლებს და საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილიც დაიკავეს.

გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**გოგონები. 60 მ.** 1. ალიონა თათარაშვილი (ფოთი, 8,43), 2. მეგი განერელია (8,44), 3. მარი ჯომიდავა (ორივე - ზუგდიდი, 8,81). **300 მ.** 1. მარი ჯომიდავა (1.13,35), 2. ელენე კუპრავა (1.13,97), 3. ანა სანაია (ორივე - მარტვილი, 1.14,47). **სიგრძე.** 1. მარი ჯომიდავა (4,36), 2. მარი სანაია (4,00), 3. ელისო დანელია (ორივე - მარტვილი, 3,97). **ესტაფეტა 4X200.** 1. მარტვილი, 2. ზუგდიდი, 3. ჩხოროწყუ.

**ბიჭები. 60 მ.** 1 დავით ჭედია (7,35), 2. დავით ლუკავა (ორივე - ზუგდიდი, 7,44), 3. გრიგოლ ახალაია (ხობი, 7,53). **500 მ.** 1. გრიგოლ ახალაია (1.58,34), 2. დავით ჭედია (2.02,00), 3. გიორგი ყურუა (ხობი, 2.06,34). **სიგრძე.** 1. დავით ლუკავა (5,37), 2. გრიგოლ ახალაია (5,25), 3. დათო გახოკიძე (მარტვილი, 5.11). **ესტაფეტა. 4X200.** 1. წალენჯიხა, 2. ხობი, 3. ზუგდიდი.

**გუნდური.** 1. ზუგდიდი (145), 2. მარტვილი (115), 3. ხობი (100 ქულა).

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# უსიში ბოლო ადგილზე

ჩინეთში მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო წრიულ ტურნირზე უსიში გუშინ ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართა. **ლელა ჯავახიშვილი** შავი ფიგურებით გო ძის დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ: შენ იანი - ჰუან ძიანი, ცზიუ ვენძიუნი - დინ ისინი; ლიდერმა თან ჟუნიმ შავი ფიგურებით ვან იუის აჯობა, ხოლო ჟან სიაოვენმა რუსი ევროპის ჩემპიონი ვალენტინა გუნინა დაამარცხა.

ამდენად, ცხრა შესაძლებლიდან 6,5 ქულით პირველი ადგილი თან ჟუნიმ (ჩინეთი) დაიკავა. 5-5 ქულით მეორე-მესამე ადგილები ვალენტინა გუნინამ და ჰუან ძიანმა გაინაწილეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: გო ძი, დინ ისინი - 4,5-4,5, ვან იუი, ცზიუ ვენძიუნი, შენ იანი, ჟან სიაოვენი (ყველა - ჩინეთი) - 4-4. ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) - 3,5 ქულით ბოლო ადგილზე გავიდა.

ვაჟა დანელია



თამაზ გელაშვილი

# ოთხიდან ოთხით

ქართველი დიდოსტატები - **თამაზ გელაშვილი და გიორგი მარგველაშვილი** ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებიან და ლას ვეგასის საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში მონაწილეობენ. მთავარ ტურნირში, რომელშიც 91 მოჭადრაკე (მათ შორის - 22 დიდოსტატი) ეცილება ერთმანეთს პირველობას, წარმატებით თამაშობს გელაშვილი. ჩვენებურმა ზედიზედ ოთხი პარტია მოიგო და უდანაკარგოდ ლიდერობს. პირველ ტურში მან ანა ლებედს სძლია, შემდეგ კირინ გრიფიტი, ნიკ ფირმიანი და მაკენზი მოლნერი (ყველა-აშშ) დაამარცხა. მე-5 ტურში კანადის სახელით მოასპარეზე ვესლი სოუს დაუპირისპირდება. ეს უკანასკნელი 3,5 ქულით მე-2 ადგილზეა. ის ნახევარი ქულა გელაშვილის უახლოესმა მდევარმა გიორგი მარგველაშვილთან პაექრობისას დაკარგა. გიორგი, ასევე, დაუზავდა ვიგნეშ პანჩანატანს, აჯობა ქალთა დიდოსტატ თათევ აბრაჰამიანს და დანებდა მარკ ფრედფორდს (ყველა-აშშ). მარგველაშვილმა 4-დან 2 ქულა მოაგროვა და საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი, ფაქტობრივად, არ აქვს, რადგან ტურნირში შვეიცარიული სისტემით მხოლოდ ექვსი ტური გათამაშდება.

ვაჟა დანელია

წყალბურთი



უტევს მარკო ელაჩა

# დაუოკებელი გურჯები და ჩაძირული მეტოქეები

### საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა თურქეთის საერთაშორისო ტურნირი მოიგო

სტამბოლში რამდენიმე წელიწადია, ტრადიციულად იმართება წყალბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი - მითათ ჰანთალის მემორიალი. ამჯერად მასპინძლებმა რუმინელი, სლოვაკი და ქართველი წყალბურთელები მიიწვიეს. ჩვენი ქვეყნის ნაკრები (**ზურაბ ჭუმბურიძე, მარკო ელაჩა, მარკო ელეზი, ალექსანდრე რუსიშვილი, ბექა ქავთარაძე, ალექსანდრე ურუშაძე, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბალათურია, ზურაბ რურუა (კ) კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, მარინო ფრანიჩევიჩი, დამირ ცრეპულია) ვლადიმერ ისელიძისა და იოვან პოპოვიჩის** ხელმძღვანელობით 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე ეტაპისთვის ემზადება. ეს შეჯიბრება 11-14 ივლისს მალტაში გაიმართება და ქართველები, მასპინძლების გარდა, უკრაინის, ბელარუსისა და ისრაელის გუნდებს დაუპირისპირდებიან. ამდენად, თურქულ ტურნირში მიწვევა (თანაც მასპინძლების ხარჯზე) ქართველებისთვის, ჩვენებურად რომ ვთქვათ, მისწრება იყო. მათ ხომ ევროპის 12 საუკეთესოში შემავალ რუმინეთისა და თურქეთის გუნდებთან მოუწევდათ პაექრობა. კარპატელებს მალე ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების თამაშები აქვთ, თურქები ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფისთვის იჭერენ თადარიგს. ხოლო სლოვაკები, ჩვენების მსგავსად, ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფში გასასვლელად იბრძვიან. იმის თქმა გვინდა, რომ ოთხივე ნაკრები სტამბოლს საბრძოლო შემადგენლობით ეწვია. რადგანაც წყალბურთელთა საკლუბო ევროტურნირები დასრულდა, საქართველოს ნაკრებში საასპარეზოდ ნატურალიზებულმა წყალბურთელებმაც (ელაჩა, ელეზი, ფრანიჩევიჩი, ცრეპულია) მოიცალეს და ჩვენი ეროვნული გუნდიც გააძლიერეს.

ჩვეულებრივ, სათამაშო სახეობების საერთაშორისო ტურნირებში მასპინძლები სასტარტო შეხვედრისთვის სახელიან, მაგრამ კონკრეტული ტურნირისთვის, მათი აზრით, შედარებით სუსტ მეტოქეს ირჩევენ - ასპარეზობის მაჟორულ ნოტზე დაწყება გუნდზე, ცხადია, დადებითად მოქმედებს. ალბათ, ამიტომაც თურქებმა პირველ ტურში ქართველებთან დაპირისპირება გადაწყვიტეს და... მწარედ შეცდნენ. ეტყობა, იოლ გასეირნებას ელოდნენ. სტუმრებმა კი პირიქით - პირველი წუთებიდანვე შეუტიეს მოწინააღმდეგეს და სასტარტო რვაწუთიანი მონაკვეთი 4:1 მოიგეს. ცივმა შხაპმა თურქები გამოაფხიზლა. არც ისელიძისა და პოპოვიჩის შეგირდები დარჩნენ ვალში. მართალია, მასპინძლებმა მეორე და მეოთხე პერიოდები, შესაბამისად, 4:3 და 1:0 მოიგეს, მესამე ფრედ დაამთავრეს, მაგრამ პირველი პერიოდის დანაკლისი ვერ აინაზღაურეს და 8:9 დამარცხდნენ. ჩვენი ნაკრებიდან ბურთები გაიტანეს ელაჩამ, ცრეპულიამ - 3-3, ელეზიმ, რურუამ, ნიკოლეიშვილმა და ფრანიჩევიჩმა - თითო-თითო.

რუმინეთის ნაკრებს ორი წლის წინათ ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფში ვეთამაშეთ. მაშინ კარპატელებმა თბილისში 11:5, შინ კი 16:6 მოგვიგეს. თურქული ტურნირის სტარტზე წარმარებით ფრთაშესხმულმა საქართველოს ნაკრებმა მე-2 ტურში რუმინელებთან რევანშის აღება გადაწყვიტა და მიზანსაც მიაღწია - 10:9 (4:3, 1:2, 3:2, 2:2). პერიოდების ანგარიშებიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორი დაძაბული ბრძოლა იყო. ჩვენებურთაგან ელაჩამ (2), ელეზიმ (3), ხვედელიანმა (1) და ცრეპულიამ (4) იყოჩაღეს.

წლეულს აპრილის პირველ დეკადაში თბილისის „ოლიმპიკის" აუზმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ ტურს უმასპინძლა. მაშინ ჩვენებმა დიდ ბრიტანეთს (12:3), პოლონეთსა (16:10) და ჩეხეთს (16:5) აჯობეს, ხოლო სლოვაკებთან ფრეს (7:7) დასჯერდნენ. გუშინ სტამბოლში მემორიალის ბოლო ტურში საქართველოს ნაკრები სლოვაკებზე მთელი თავით მაღლა იდგა და გამარჯვებაც არ გასჭირვებია - 10:6 (2:1, 3:2, 3:1, 2:2). გოლები: ელაჩა, ელეზი, ფრანიჩევიჩი, ცრეპულია - 2-2, ბალათურია - 1. დანარჩენი სამი შეხვედრა ასე დამთავრდა: რუმინეთი - სლოვაკეთი 10:7, თურქეთი - სლოვაკეთი - 10:6, რუმინეთი - თურქეთი 8:7.

| | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|
| საქართველო | 3 | 0 | 29-23 | 9 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 27-24 | 6 |
| თურქეთი | 1 | 2 | 25-23 | 3 |
| სლოვაკეთი | 0 | 3 | 19-30 | 0 |

საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ მასპინძლების თხოვნით საქართველოს ნაკრები სტამბოლში კიდევ სამ დღეს დარჩება და თურქეთის გუნდთან ერთობლივ წვრთნასა და რამდენიმე ამხანაგურ ტესტმატჩსაც გამართავს.

გუშინვე სტამბოლში საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ **დავით რურუას** შევეხმიანეთ. *„თურქეთში გამომგზავრებამდე, მართალი გითხრათ, იმაზე ვფიქრობდით, ერთი მატჩი მაინც მოგვეგო. აქ კი ბიჭების მონდომებამ და შემართებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა - მათი დაოკება ვერავინ შეძლო. უსაზღვროდ გახარებული ვართ. ასეთი სიძლიერის ტურნირში პირველობაზე მხოლოდ ოცნება თუ შეგვეძლო, მით უმეტეს, რომ რუმინელებმა და თურქებმაც საუკეთესო შემადგენლობით იასპარეზეს. დიდი მადლობა ყველას, ვინც გვიქომაგა"*, - გვითხრა დავით რურუამ.

ვაჟა დანელია

რაგბი. ტესტები

# სამოა ისტორიას ქმნის

**ივნისის ტესტების პირველი დღე ლოგიკურად დასრულდა. ფავორიტებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, თავიანთი მატჩები მოიგეს. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო არგენტინისა და ინგლისის ნაკრებების დაპირისპირება იყო, რადგან „ბორჯღალოსნებს" 22 ივნისს სწორედ „პუმებთან" უწევთ სტუმრად თამაში.**

არგენტინის ნაკრებმა, რომელსაც წამყვანი მოთამაშეების უმრავლესობა აკლდა, „პუმებს" წინააღმდეგობა ვერ გაუწია და 3:32 დამარცხდა. სამართლიანობა მოითხოვს ალინიშნოს, რომ საუკეთესო შემადგენლობით არც ინგლისის ნაკრებს უთამაშია, რადგან გუნდის ლიდერები „ბრიტანელ ლომებში" არიან მიწვეული.

თამაში ინგლისელი მორაგბეების უპირატესობით დაიწყო და სტუმრები პირველი ტაიმის ბოლომდე მშრალი ანგარიშით 25:0 იგებდნენ. არგენტინელმა ფულბეკმა **მარტინ ბუსტოს მოიანომ** მხოლოდ მე-40 წუთზე შეძლო ერთი საჯარიმოს გატანა, რომელიც მთლიანად მატჩში აღმოჩნდა მასპინძლებისთვის ერთადერთი.

შესვენების შემდეგ ანგარიში დიდხანს აღარ შეცვლილა. „პუმებმა" მხოლოდ თამაშის ბოლო წუთზე მოახერხეს კიდევ ერთი გარდასახული ლელოს გატანა და მასპინძლები გაწბილებული დატოვეს.

ინგლისელთა რიგებში გამორჩეული იყო 21 წლის გარემარბი **კრისტიან ვეიდი,** რომელმაც ამ მატჩში პირველი კეპი მოიხვეჭა.

*„თამაშის წინ ნაკრების მწვრთნელი სტიუარტ ლანკასტერი დიდხანს მესაუბრა. მკითხა, მესმის თუ არა რას ნიშნავს გეცვას შენი ქვეყნის ნაკრების კვართი. მივჩია, ვიფიქრო იმ ბიჭებზე, ვისაც ეს მაისური ჩემამდე უტარებია. ჯეისონ რობინსონი, მარკ კუეტო და პოლ სასკი მართლაც უდიდესი მორაგბეები იყვნენ. ჩემთვის დიდი პატივია, მათ შთამომავლად ვითვლებოდე.*

*ვფიქრობ, ლანკასტერისთვის იმედი არ გამიცრუებია. გუნდმა კარგი, შემტევი რაგბი ითამაშა და შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა"* - თქვა მან.

ამ გუნდების მორიგი შეხვედრა ბუენოს აირესში ერთი კვირის თავზე გაიმართება.

**არგენტინა-ინგლისი 3:32**

**არგენტინა** (15-9) ბოსტოს მოიანო, ორლანდო (აგულა 58), ტიესი, კონტეპომი, მონტერო, ურდაპილიეტა (ასკარატე 58), ლანდახო. (1-8) პენი (რონანი 50), ვეიგა (გვიდონე 54), ბუსტოსი (კოდელა 68), ლოსადა (კინალი 61), გალარსა, კაბეჯო (დე ლა ვეგა), მაკომე, ლეონარდი.

ს: ბუსტოს მოიანო.

**ინგლისი** (15-9) ბრაუნი (ფოდენი 67), ვეიდი, ჯოსეფი (ესტმონდი 63), თველვეტრისი, სტრიტლი, ბარნსი, დიკსონი (ვაიგელსვორსი 53). (1-8) მარლერი (თომასი 74), ვებერი (პაისი 67), ვილსონი (დორან-ჯოუნზი 72), ლაჩბერი, ეთვუდი (ლოუ 53), ვუდი, კევსიჩი, მორგანი (ვუნიპოლა 67).

4ლ: სტრიტლი, თველვეტრისი, მორგანი, ვუნიპოლა. 3გ,2ს: ბარნსი.

დღის სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია სამოას ნაკრების ისტორიული გამარჯვება დურბანში შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან დაპირისპირებაში - 27:17. სამოელებმა „სკოტები" პირველად დაამარცხეს, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ განვითარებული სარაგბო ქვეყნის წარმომადგენლები არიან და 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში მათგან ნებისმიერ სიურპრიზს უნდა ველოდოთ.

მატჩის გმირი გარემარბი **ალესანა ტუილაგი** გახდა, რომელიც ინგლისის ნაკრებში მოთამაშე შუამარბის **მანუ ტუილაგის** ძმაა. ალესანამ „ნარშავებს" ორი ლელო გაუტანა.

იქვე, დურბანში სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა იტალიის ეროვნული გუნდი დაამარცხა 44:10. „ბოკემ" მეტოქეს 5 ლელო გაუტანა. ყველაზე შედეგიანი მასპინძელთა რიგებში მგეზავი **მორნი სტეინი** გახლდათ. მან გუნდს 17 ქულა მოუტანა (სამი საჯარიმო და ოთხი გარდასახვა).

დაძაბული და უშელავათო გამოდგა ნოემბრის ტესტებზე ჩვენი გუნდის მომავალი მეტოქის, აშშ-ს ნაკრების დაპირისპირება შინ ირლანდიის ეროვნულ გუნდთან. მასპინძლების ფულბეკმა **კრის ვაილესმა** მეტოქეს ოთხი საჯარიმო გაუტანა, რაზეც „სამყურების" მგეზავმა **იან მადიგანმა** ხუთით უპასუხა - 15:12.

ალსანიშნავია, რომ ეს ანგარიში თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე დაფიქსირდა. ამერიკელებს მატჩის გადასარჩენად დრო საკმარისად ჰქონდათ, თუმცა მრისხანე მეტოქეს, რომელსაც საკმაოდ ბევრი წამყვანი მოთამაშე აკლდა, ვერაფერი დააკლეს.

მედგარი წინააღმდეგობა გაუწია იაპონიის ნაკრებმა შინ უელსის ეროვნულ გუნდს. მეტიც, ამომავალი მზის ქვეყნის შვილებმა პირველი ტაიმი მოიგეს კიდეც - 11:6. შესვენების შემდეგ უელსელებმა მდგომარეობის გამოსწორება შეძლეს. თუმცა მატჩის ბოლო წუთამდე მხოლოდ მინიმალური სხვაობით 19:18 იგებდნენ. „წითელი ურჩხულების" შეცვლაზე შესულმა 20 წლის მგეზავმა **რის პეტჩელმა** საჯარიმო გაიტანა და მატჩის საბოლოო შედეგი დააფიქსირა - 22:18.



ბურთით კრისტიან ვეიდი

**ივნისის ტესტები**

**იაპონია-უელსი 18:22**

**იაპონია:** 2ლ - ფუჯიტა, ბროდჰორსტი. გ,2ს - გორომარუ.

**უელსი:** ლ - რობინსონი. გ - ბიგარი. 5ს - ბიგარი (4), პეტჩელი.

**ახალი ზელანდია-საფრანგეთი 23:13**

**ახალი ზელანდია:** 2ლ - ა.სმითი, კენი. 2გ,3ს - კრადენი.

**საფრანგეთი:** ლ - ფოფანა. გ - მაშენო. 2ს - მაშენო, ლოპესი.

**სამოა-შოტლანდია 27:17**

**სამოა:** 3ლ - სოოიალო, ა.ტუილაგი (2). 3გ,2ს - სოოიალო.

**შოტლანდია:** ლ - ლამონტი. 4ს - ლაიდლოუ.

**სამხრეთ აფრიკა-იტალია 44:10**

**სამხრეთ აფრიკა:** 5ლ - სტრაუსი, ენგელბერხტი, ჰაბანა, დე ვილიერსი, ბოთა. 5გ - სტეინი (4), ლამბიე. 3ს - სტეინი.

**იტალია:** ლ - სგარბი. ს,გ: დი ბერნარდო.

**აშშ-ირლანდია 12:15**

**აშშ:** 4ს - ვაილესი.

**ირლანდია:** 5ს - მადიგანი

ბესიკ ჯანგავაძე



რაგბი. მეტოქეები

# მეტოქეები რეპეტიციას გადიან

**ივნისის ტესტებში მსოფლიოს კლასიფიკაციის პირველი ოცეული თითქმის მთლიანადაა ჩართული. „თბილისის თასის" გათამაშების პარალელურად რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში IRB-ის ერთა თასის ტურნირი მიმდინარეობს, სადაც მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქეები, რუმინეთისა და რუსეთის ეროვნული გუნდები ასპარეზობენ.**

IRB-ის ერთა თასის პირველ ტურში ერთმანეთს სწორედ „ბორჯღალოსნების" კონკურენტები დაუპირისპირდნენ. შეხვედრა რუმინელმა მორაგბეებმა 30:20 მოიგეს. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა. მიუხედავად ამისა, თამაში მაინც საკმაოდ საინტერესო და დრამატული გამოდგა.

მატჩის დასაწყისში რუსების უპირატესობა აღინიშნა. სტუმრებმა საწყის 15 წუთში მეტოქეს ორი ლელო გუტანეს, საპასუხოდ ერთი საჯარიმო მიიღეს და 11 ქულით დაწინაურდნენ. რუმინელებმა მარცხის საფრთხე იგრძნეს და მაქსიმალურად მობილიზებულად ამოქმედდნენ. იმდენად, რომ სულ რაღაც ათ წუთში ანგარიშში დაწინაურებაც შეძლეს - 17:14. თუმცა პირველი ტაიმი მაინც ფრედ დასრულდა - 17:17.

შესვენების შემდეგ რუსებმა მხოლოდ ერთი საჯარიმოს გატანა შეძლეს. „მუხის ფოთლებმა" კი, მონაგარი ოცდაათამდე გაზარდეს და დამსახურებული, თუმცა საკმაოდ ძნელი გამარჯვება მიითვალეს.

შეხვედრაში ყველაზე შედეგიანები ორივე გუნდის დამრტყმელები, **ფლორინ ვლაიკუ და ალექსანდრ კუშნარიოვი** იყვნენ, რომლებმაც თანაბარი, 15-15 ქულა დააგროვეს. ფულბეკად მოთამაშე კუშნარიოვმა ერთი ლელო, ორი საჯარიმო და ორი გარდასახვა გაიტანა. შუამარბმა ვლაიკუმ კი, სამი საჯარიმო და ამდენივე გარდასახვა მიითვალა.

**ლინ ჰოულისი**, რუმინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტურნირის პირველივე მატჩი მოვიგეთ. ვერ ვიტყვი, რომ კარგად ვითამაშეთ. ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით, მაგრამ მეორე დონის ქვეყნის ნაკრებთან თამაშში გამარჯვება ჩვენთვის ძალიან კარგია".*

**კინგსლი ჯოუნზი,** რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„მატჩმა გვიჩვენა, რომ ორივე გუნდი შეუთამაშებელი იყო. ჩვენ ორი ძალიან იოლი ლელო გავიტანეთ, თუმცა შეცდომებიც საკმაოდ დავუშვით. რუმინელებს კიდევ შეეძლოთ ერთი-ორი ლელოს გატანა. ერთი სიტყვით, თამაშის ორგანიზებაში მოვიკოჭლეთ. თუმცა კარგია, რომ რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე გამოვცადეთ".*

მეორე მატჩში იტალიის A ნაკრებმა მოულოდნელად იოლად სძლია არგენტინის A ნაკრებს - 26:6.

შეგახსენებთ, რომ 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში რუმინელები მეორე ადგილზე არიან, რუსები მათ კვალში უდგანან. ლიდერი კი აქ საქართველოს ნაკრებია.

**IRB-ის ერთა თასი**

**რუმინეთი-რუსეთი 30:20**

**რუმინეთი** (15-9) ფერკუ, დიმიტრუ, გალი, ვლაიკუ, მატეი, დიმოფტე, კალაფეტეანუ. (1-8) პრისტავიტა (პუნეა 71), რადოი (კაპატანა 79), იონი, პოპარლანი, სირბე (ლაზარი 73), ლუკაჩი, მაკოვეი, კარპო (ნისტორი 60).

3ლ: ფერკუ, მატეი, მაკოვეი. 3ს,3გ: ვლაიკუ.

**რუსეთი** (15-9) კუშნარიოვი, ოტროკოვი, რეჩნევი, მაკოვეცკი, კურაშოვი (კოტოვი 69), სუგრუბოვი, შერბანი. (1-8) ვოლკოვი (პოლივალოვი 61), ვაცნობილაძე (მატვეევი 64), პრონენკო (ზიკოვი 51), ოსმინკო (ხუდიაკოვი 71), ანტონოვი (გარბუზოვი 68), ბუტენკო, ტემნოვი, ფატახოვი.

2ლ: კურაშოვი, კუშნარიოვი. 2ს,2გ: კუშნარიოვი.

**არგენტინა A-იტალია A 6:26**

ბესიკ ჯანგავაძე



რუმინეთი-რუსეთი

ზერაგბი

# ბრამბიზი თითქმის პლეი ოფშია

ზერაგბის გათამაშებაში მორიგი ტურის შეხვედრები მხოლოდ ავსტრალიის კონფერენციაში გაიმართა, რადგან სამხრეთაფრიკელი და ახალზელანდიელი მორაგბეები ივნისის ტესტებში არიან ჩართულნი. ავსტრალიის ნაკრები კი, პირველ ტესტმატჩს მომავალ უქმეებზე გამართავს „ბრიტანელ ლომებთან".

ავსტრალიის კონფერენციის ბოლოსწინა ტურში ლიდერმა კანბერას „ბრამბიზმა" შინ მიიღო „მელბურნ რებლზი" და 39:17 მოუგო. სტუმრებმა მეტოქეს წინააღმდეგობა მხოლოდ 44 წუთის განმავლობაში გაუწიეს. ამ დროისთვის მასპინძლები მხოლოდ სამი ქულის სხვაობით იგებდნენ - 13:10. თამაშის დასრულებამდე დარჩენილ დროში „ბრამბიზმა" მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანა. სულ კი, კანბერელებმა ექვსი ლელო მიითვალეს. აქედან ორი გარემარბ **კლაიდ რათბონის** ანგარიშზეა.

„ბრამბიზს" ახლა 59 ქულა აქვს და ბრისბენის „რედსს" ხუთი ქულით უსწრებს. ბოლო ტურში, კონფერენციის მოსაგებად ბრამბიზელებს ერთი პრემიალური ქულის აღებაც ყოფნით.

სატურნირო თვალსაზრისით უსარგებლო მატჩში სიდნეის „ვორათაზმა" სტუმრად მოუგო აუტსაიდერ პერთის „ფორსს" - 28:13.

**ავსტრალია**

**XVII ტური**

ბრამბიზი-მელბურნ რებლზი 39:17, ფორსი-ვორათაზი 13:28

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბრამბიზი - 59 ქულა, 2. რედსი - 54, 3. ვორათაზი - 44, 4. მელბურნ რებლზი - 32, 5. ფორსი - 27.

**ახალი ზელანდია**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჩიფსი - 56 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 46, 3. ბლუზი - 43, 4. ჰარიკეინზი - 39, 5. ჰაილენდერზი - 22.

**სამხრეთი აფრიკა**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბლუ ბულზი - 54 ქულა, 2. ჩიტაზი - 46, 3. ნატალ შარქსი - 38, 4. სტორმერზი - 38, 5. საუთერნ კინგზი - 24.

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# საუკეთესოებმა მოიგეს

გასულ უქმეებზე გამართული ფინალებით დასრულდა „დიდი სლემის" რიგით მეორე ტურნირი - საფრანგეთის ღია პირველობა.

საგულისხმოა, რომ ქალთა ფინალის ორივე მონაწილისთვის გრუნტი ყოველთვის მოუხერხებელი საფარი იყო. დროთა განმავლობაში **მარია შარაპოვა** შეეჩვია ასეთ კორტს და ამან 2012 წელს, როლან გაროსზე გამარჯვება მოუტანა. **სერენა უილიამსს** ამ ტურნირზე 2002 წელს ჰქონდა მოგებული, მაგრამ მომდევნო წლებში, პარიზში გამოსვლა მხოლოდ წვალება იყო ლეგენდარული ამერიკელისთვის. მიმდინარე სეზონში, 31 წლის ჩოგბურთელს ნამდვილი გარღვევა ჰქონდა გრუნტზე თამაშის მხრივ. შეგახსენებთ, რომ შაბათის ფინალს ამერიკელი 30-მატჩიანი მოგებათა სერიით შეხვდა და აქედან 24 შეხვედრა გრუნტზე იყო მოგებული.

უილიამსსა და შარაპოვას ურთიერთშეხვედრათა მდიდარი ისტორია აქვთ. 2004 წელს, მარიამ უიმბლდონსა და შემაჯამებელ ტურნირზე მოუგო ამერიკელს, მაგრამ, შემდეგი 12 შეხვედრა ერთნაირად დასრულდა - სერენას გამარჯვებით. ამიტომაც, მათ მორიგ შეხვედრაში ფავორიტის გამოცნობა რთული არ იყო.

თამაში სერენას სამმაგი ბრეიკ-პოინტით დაიწყო, მაგრამ შარაპოვამ დროულად ჩართო საქმეში მონდომება და მოახერხა პირველი გეიმის გადარჩენა. ფინალის დღეს ძლიერი ქარი დაერთო, რასაც უილიამსმა თავიდან ალღო ვერ აუღო და ამის გამო, მეორე გეიმში რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, რითაც მარიამ ბრეიკი გააკეთა. რუსს დიდი ხანია ასე წარმატებით არ დაუწყია მატჩი უმცროსი უილიამსის წინააღმდეგ. 2:0-ზე მას ორმაგი გეიმბოლიც ჰქონდა, მაგრამ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა რამდენიმე წარმატებული გათამაშება ჩაატარა და მალე საპასუხო ბრეიკი მიითვალა.

ამერიკელს ამან მცირე ინიციატივა მოუტანა, რამდენიმე გეიმი მოიგო და წინ გაიჭრა. მისი გარღვევა მაშინ შეჩერდა, როცა სერენამ მიღებისას შეცდომები დაუშვა. იმ მომენტში ის არ ჰგავდა „რობოტს" ან „მოთამაშეს ნაკლის გარეშე". საქმე 4:4-მდე მივიდა და შარაპოვა ახლოს იყო წარმატებასთან, მაგრამ უმნიშვნელოვანეს მეცხრე გეიმში რუსს საერთოდ ვერ დაეხმარა მონდომება, უკანა ხაზზე კი მას უილიამსმა აჯობა. პარტიაში მესამე ბრეიკის გაკეთების შემდეგ, ამერიკელმა მშვიდად ჩაანოდა სეტზე - 6:4.

მეორე პარტიას განსხვავებული სცენარი ჰქონდა. მარია აგრძელებდა ბრძოლას, მაგრამ, ამასთან, უილიამსმა გააძლიერა ზეწოლა. პირველი გეიმი შარაპოვამ ხუთი ბრეიკპოინტიდან გადაარჩინა, მაგრამ მესამეში მაინც დათმო საკუთარი მონოდება. შარშანდელი ჩემპიონი წარმატებით ინარჩუნებდა ამ მინიმალურ ჩამორჩენას, მაგრამ მეტოქის გეიმებზე მას ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მიუღია. ბოლო გეიმი სერენამ სამი ეისით დაასრულა - 6:4, 6:4.

**ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-მარია შარაპოვა (რუს, 2) 6:4, 6:4.

■ ■ ■

მამაკაცთა ფინალშიც ფავორიტი წინასწარ იყო ცნობილი. **რაფაელ ნადალმა** მთავარი მატჩი ნახევარფინალში მოიგო და ბევრს არ სჯეროდა, რომ მისი თანამემამულე **დავიდ ფერერი** შეძლებდა რაფასთვის დიდი წინააღმდეგობის გაწევას. ამ მოსაზრებას რამდენიმე მნიშვნელოვანი არგუმენტი ამყარებდა.

ფინალში თამაშის გამოცდილების მხრივ, მეტოქეებს შორის უდიდესი განსხვავება იყო. ფერერს 42 (!) ცდა დასჭირდა იმისთვის, რომ „დიდი სლემის" ტურნირის გადამწყვეტ მატჩამდე მიეღწია. გარდა ამისა, ურთიერთშეხვედრებში ნადალი 19:4-ს უგებდა დავიდს. ამ 23 მატჩიდან 17 გრუნტის კორტებზე მოდიოდა და აქ ანგარიში კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო: 16:1! ეს ერთადერთი გამარჯვება ფერერმა 2004 წელს, შტუტგარტის ტურნირზე მოიპოვა.

ფერერმა დამაჯერებლად აიღო ფინალის სასტარტო გეიმი, მაგრამ 1:1-ზე აჩქარდა, რამდენიმე შეცდომა დაუშვა და ნადალს ბრეიკით დაწინაურების საშუალება მისცა. თუმცა იქვე, რაფას შეცდომების დრო დადგა და ახლა უკვე ფავორიტმა წააგო საკუთარი გეიმი. მაგრამ აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ ნადალი მხოლოდ მაშინ ცდებოდა, როცა რისკზე მიდიოდა, ფერერს კი მნიშვნელოვან მომენტებში, როგორც იტყვიან, ხელი უკანკალებდა და მისთვის არადამახასიათებელ შეცდომებს უშვებდა, არადა, მთელი ტურნირის განმავლობაში, დავიდს არც ერთი სეტი არ ჰქონდა წაგებული.

შედეგად, ყოველ პარტიაში ბრძოლა მხოლოდ გარკვეულ პერიოდამდე იყო. პირველში დავიდი 3:2-ს იგებდა, მაგრამ შემდეგ ვერც ერთი გეიმი ვერ აიღო. მეორეში ნადალი 3:0 და 5:1 დაწინაურდა, შემდეგ ოდნავ მოდუნდა და საკუთარი გეიმი წააგო, მაგრამ იქვე მიიღო მეტოქისგან საჩუქარი ორი ორმაგი შეცდომის სახით და „მშრალი" ანგარიშით გაიფორმა ბრეიკი.

ფერერი რალაცის შეცვლას ცდილობდა მესამე სეტში, 0:2-დან გაათანაბრა ანგარიში, ბრეიკ-პოინტი მოიპოვა მეშვიდე გეიმში, თუმცა ამ დროს საკმაოდ იოლი ფორჰენდი გააფუჭა და ამით გაწბილებულმა, შემდეგი გეიმი ორმაგი შეცდომა დაასრულა. ნადალს ისლა რჩებოდა მატჩზე ჩაენოდებინა, რაც გააკეთა კიდეც.

**ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 3)**-დავიდ ფერერი (ესპ, 4) 6:3, 6:2, 6:3.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



სერენა უილიამსი


რაფაელ ნადალი

## ქალების ფინალი ციფრებში

- **სერენა უილიამსმა** მეორე ტიტული მოიგო პარიზში, სულ კი მე-16 მოგება გაიფორმა „დიდი სლემის" ტურნირებზე.
- უილიამსმა 18 შეხვედრაში მეთექვსმეტედ დაამარცხა **მარია შარაპოვა**, მეოთხედ 2013 წლის სეზონში და ზედიზედ მეცამეტედ პროფესიულ ტურში.
- სერენამ „დიდ სლემზე" მე-20 ფინალი ითამაშა: 16 მოგება და 4 წაგება. ახლა მას ორი ტიტული აშორებს თანამემამულეების - **კრის ევერტისა** და **მარტინა ნავრატილოვას** მიღწევამდე.
- მარია შარაპოვას რვა ფინალი აქვს „დიდი სლემის" ტურნირებზე: 4 მოგება და 4 წაგება.
- სერენა უილიამსმა თავისი მეცხრე ტიტული მოიპოვა გრუნტზე და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა უფროს დას - **ვენუსს**. მოქმედი ჩოგბურთელებიდან მხოლოდ ერთს - ესპანელ **ანაბელ მედინა გარიგესს** აქვს უფრო მეტი ტიტული გრუნტზე - 10.
- ამერიკელმა კარიერაში 52-ე ტიტული მოიგო.
- 31 წლისა და 256 დღის ასაკში, სერენა უილიამსი გახდა როლან გაროსის ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი „ღია ერაში". მან გააუმჯობესა კრის ევერტის რეკორდი, რომელმაც 1986 წელს, 31 წლისა და 169 დღის ასაკში მოიგო პარიზში.
- ბოლო 20 წლის განმავლობაში, როლან გაროსზე მხოლოდ მესამედ გაიმარჯვა პირველ ნომრად განთესილმა. ბოლო ოცწლეულში ეს გააკეთეს **შტეფი გრაფმა** (1996) და **ჟუსტინ ანენმა** (2007).
- სერენა უილიამსი მერვე ჩოგბურთელია ისტორიაში, ვისაც როლან გაროსი მინიმუმ ორჯერ მოუგია. ამ ჯგუფში შედიან შემდეგი ჩოგბურთელები: კრის ევერტი (7 ტიტული), შტეფი გრაფი (6), ჟუსტინ ანენი (4), **მონიკა სელეში** (3), **არანჩა სანჩეს ვიკარიო** (3), **მარგარეტ კორტი** (3) და მარტინა ნავრატილოვა (2).
- უილიამსმა 31 მატჩამდე აიყვანა თავისი მოგებათა სერია, რომელიც მარტში, მაიამის ტურნირზე **ფლავია პენეტას** დამარცხებით დაიწყო. საერთოდ, სერენას შარშანდელი როლან გაროსიდან მოყოლებული 74 მოგება და 3 წაგება აქვს.
- მარიას შარაპოვა, რომელმაც შარშანდელი ტიტულის დაცვა ვერ შეძლო, WTA-ის რეიტინგში მეორედან მესამე პოზიციამდე დაქვეითდება და წინ გაუშვებს **ვიქტორია აზარენკას**.
- როლან გაროსი ყველაზე რთული ტურნირია „დიდი სლემის" ჩემპიონატებს შორის ტიტულის დაცვის მხრივ. ზედიზედ ორჯერ აქ მოგება მხოლოდ ხუთმა ჩოგბურთელმა შეძლო (მარგარეტ კორტი, კრის ევერტი, შტეფი გრაფი, მონიკა სელეში, ჟუსტინ ანენი). ბოლოს ეს გააკეთა ჟუსტინ ანენმა 1997 წელს.

## კაცების ფინალი ციფრებში

- **რაფაელ ნადალი** გახდა პირველი ჩოგბურთელი ისტორიაში, ვინც „დიდი სლემის" ერთი ტურნირი რვაჯერ მოიგო (2005-08, 2010-13). შვიდ-შვიდი გამარჯვება აქვთ ექვს ჩოგბურთელს, მაგრამ მხოლოდ ორმა - **პიტ სამპრასმა** (1993-95, 1997-2000) და **როჯერ ფედერერმა** (2003-07, 2009, 2012) მოიგეს შვიდი ტიტული „ღია ერაში" (უიმბლდონზე).
- „დიდ სლემის" ტურნირებზე გამარჯვებების რაოდენობით (12), ნადალი ყველა დროის სიაში მესამე ადგილზე გადავიდა - ის ამ პოზიციას ავსტრალიელ **როი ემერსონთან** იყოფს. ლიდერია ფედერერი (17), შემდეგ მოდის სამპრასი (14).
- „დიდ სლემზე" თავისი მე-12 ტიტული ნადალმა 27 წლისა და 6 დღის ასაკში მოიპოვა. ფედერერმა იგივე უფრო ახალგაზრდა ასაკში შეძლო (26 წლის და 32 დღის), სამპრასმა (27 წლის, 326 დღის) და ემერსონმა (30 წლის, 226 დღის) - უფრო გვიანდელ ასაკში.
- „დიდი სლემის" ტურნირებზე ჩატარებული ფინალების რაოდენობით, ნადალი (17) უტოლდება ავსტრალიელ **როდ ლეივერს**, ჩამორჩება ფედერერს (24), **ივან ლენდლსა** (19) და სამპრასს (18), მაგრამ უსწრებს შვედ **ბიორნ ბორგს** (16), ავსტრალიელ **კენ როზუოლსა** (16) და ამერიკელ **ანდრე აგასის** (15).
- ნადალმა კარიერაში 57-ე ტიტული მოიგო. წელს მის ანგარიშზე 7 გამარჯვებაა (სან პაულუ, აკაპულკო, ინდიან უელსი, ბარსელონა, მადრიდი, რომი, როლან გაროსი). მეორე მაჩვენებელი (3 ტიტული) აქვს **ნოვაკ ჯოკოვიჩს** (ავსტრალიის ღია, დუბაი, მონტე კარლო).
- ნადალმა წელს 43-ე მატჩი მოიგო. ამ მაჩვენებლით ის დიდი უპირატესობით უსწრებს **დავიდ ფერერს** (37 მოგება), ნოვაკ ჯოკოვიჩსა (33) და შვეიცარიელ **სტანისლას ვავრინკას** (30).
- ეს იყო მეოთხე ესპანური ფინალი „დიდი სლემის" ტურნირებზე. წინა სამი ესპანური დერბიც როლან გაროსზე გაიმართა. 1994 წელს, **სერხი ბრუგერამ** მოუგო **ალბერტო ბერასატეგის** - 6:3, 7:5, 2:6, 6:1; 1998 წელს **კარლოს მოიამ** დაამარცხა **ალექს კორეჩა** - 6:3, 7:5, 6:3; 2002 წელს, **ალბერტ კოსტამ** სძლია **ხუან-კარლოს ფერეროს** - 6:1, 6:0, 4:6, 6:3.
- „დიდი სლემის" ტურნირებზე ყველაზე მეტი „ეროვნული" ფინალი ჰქონდათ ამერიკელებსა (16) და ავსტრალიელებს (10). ესპანეთი (4) - მესამეა. თითოჯერ ჩატარდა არგენტინული, გერმანული და შვედური ფინალი.
- უცნაურია, მაგრამ ATP-ის ახალ რეიტინგში როლან გაროსის ჩემპიონი ნადალი მეოთხე ადგილს დაუთმობს ფინალისტ ფერერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL პლეი ოფი

# ფინალი 12 ივნისს დაიწყება

სერიის მეოთხე მატჩის წინ, "პიტსბურგის" დამრიგებელი **დენ ბილსმა** ამბობდა, რომ მისი გუნდი შორს არ იხედებოდა – მთავარი მიზანი აღნიშნული მატჩის მოგება და სერიის პიტსბურგში დაბრუნება იყო. თუმცა "პინგვინების" დამრიგებელს არ აუხსნია, როგორ აპირებდა ამის გაკეთებას, მით უმეტეს, რომ გუნდის ლიდერებმა – **ევგენი მალკინმა** და **სიდნი კროსბიმ** წინა სამ მატჩში ვერც ერთი (!) ქულის აღება ვერ შეძლეს.

"ბოსტონს" ერთი პრობლემა ჰქონდა მოსაგვარებელი. წინა მატჩში ფეხი მოიტეხა ფორვარდმა **გრეგორი კემპბელმა** და მას შემცვლელად **კასპარს დაუგავინში** მოუძებნეს, სხვა მხრივ, "დათვების" რიგებში ყველაფერი უცვლელი იყო.

რაც შეეხება მეოთხე თამაშის ხასიათს, ის არ განსხვავდებოდა წინა სამი მატჩის სცენარისგან. "პიტსბურგი", თავისი ფორვარდების მონდომების მიუხედავად, შეტევაში ვერაფერს ახერხებდა, "ბრუინზი" კი ძალიან კარგი კონტრშეტევებით პასუხობდა მეტოქეს. მასპინძლების სტრატეგიამ ისევ გაამართლა: "ბოსტონმა" ჩაახშო "პინგვინების" შეტევები, მისი მცველების უძლიერესმა დარტყმებმა კი შედეგი გამოიღეს.

მესამე პერიოდის დასაწყისში **ადამ მაკუეიდმა** ცისფერი ხაზიდან გაისროლა და ეს დარტყმა გადამწყვეტი აღმოჩნდა მატჩში და სერიაში. შაიბა ოდნავ შეეხო **ჯერომ იგინლას** ყვანჯს და ისე შევარდა **ტომაშ ვოკოუნის** კარის ცხრიანში. არადა, ჩეხმა მეკარემ მთელი მატჩი იდეალურად ჩაატარა. მატჩის მშვენება გახდა ბოლო წუთებზე "პიტსბურგის" შტურმი, "ბოსტონის" მცველების თავდადება, უმწეობისგან გაგიჟებული მალკინი და კროსბი.

რთული ასახსნელია, რა დაემართა ამ ოთხ მატჩში "პიტსბურგს". ამ გუნდს აღნიშნულ სერიაში ყველაზე მაღალი შედეგიანობა ჰქონდა – 4.27 გოლი პლეი ოფში, მაგრამ "ბოსტონის" კარში ოთხი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ორი გოლი გაიტანა. "პინგვინზი" აბსოლუტური ლიდერი იყო რიცხობრივი უპირატესობის რეალიზაციის მხრივ (28.2 პროცენტი), "დათვების" წინააღმდეგ კი 15-დან 15 შანსი გააფუჭა, რაც მეორე შემთხვევაა საკლუბო ისტორიაში. "პიტსბურგმა" მესამედ წააგო "მშრალი" ანგარიშით სერია, თანაც ბოლოს, 0:4 ანგარიში შორეულ 1979 წელს დაფიქსირდა და მაშინაც, "პინგვინებს" "ბოსტონმა" მოუგო.

რაც შეეხება "ბოსტონს", არ შეიძლება არ აღინიშნოს მეკარე **ტუუკა რასკის** ფანტასტიკური თამაში, რომელმაც 136-დან 134 დარტყმა მოიგერია. "ბრუინზმა" მეთოთხმეტედ მოიგო სერია "მშრალი" ანგარიშით და 2011 წელს, სტენლის თასის მოგების შემდეგ, ისევ გავიდა ფინალში.

| ბოსტონი-პიტსბურგი | 1:0 |
|---|---|

0:0, 0:0, 1:0

**გოლი:** 1:0 მაკუეიდი-2 (მარჩანდი-9, პ. ბერჟერონი-6).

**სერია:** 4-0

■ ■ ■

სტენლის თასის მეორე ფინალისტი გახდა "ჩიკაგო ბლეკჰოქსი", რომელმაც ხუთ მატჩში მოუგო მოქმედ ჩემპიონს "ლოს ანჯელესს".

მეოთხე მატჩში გამარჯვებამ შესამჩნევად აუმაღლა განწყობა "ჩიკაგოს". ხუმრობა საქმე არ იყო სტუმრად "კინგზის" დამარცხება – ასეთი რამ პლეი ოფის ზედიზედ 15 მატჩის განმავლობაში ვერავინ შეძლო,

კარგ ხასიათზე ყოფნის საბაბი "ლოს ანჯელესსაც" ჰქონდა: მწყობრში ჩადგა გუნდის საუკეთესო ბომბარდირი **მაიკ რიჩარდსი**, რომელიც პირველი მატჩიდან მოყოლებული არ თამაშობდა ტვინის შერყევის გამო. მისი როლი სერიის მეხუთე მატჩში საკმაოდ დიდი აღმოჩნდა.

შეხვედრა "მეფეებისთვის" ძალიან ცუდად დაიწყო: მეექვსე წუთისთვის მასპინძლებს ორი გოლი ჰქონდათ გატანილი, თავად კალიფორნიელები კი ძალიან ცუდად მოქმედებდნენ საკუთარი კარის სიახლოვეს. პირველ რიგში, "ლოს ანჯელესის" რიგებში შეცდა მეკარე **ჯონათან კუიკი**, რომელმაც მცველი **დანკან კიტის** შორეული დარტყმა გაუშვა, ცოტა ხანში კი დამატებაზე აჯობა ყველას **პატრიკ კეინმა**.

არავის ეგონა, რომ "ლოს ანჯელესი" თამაშის ბედის შემოტრიალებას მოახერხებდა, მაგრამ "კინგზის" ჰოკეისტებმა გამონახეს თავის თავში ბოლომდე ბრძოლის საშუალებაა. **დუაიტ კინგის** მიერ რიცხობრივ უმცირესობაში გატანილმა გოლმა სტუმრებს დამატებითი ემოციური მუხტი მისცა და უკვე მესამე პერიოდის სტარტზე ანგარიში თანაბარი იყო – 2:2.

როცა კეინმა ძირითადი დროის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე თავისი მეორე შაიბა გაიტანა და კვლავ გაიყვანა წინ "ჩიკაგო", "ლოს ანჯელესი" ისევ ჩამოწერეს. და ჩემპიონმა ისევ გადაავადა "სიკვდილი". საფინალო სირენამდე 10 (!) წამი რჩებოდა, როცა რიჩარდსმა შორეული დარტყმით 3:3 გახადა ანგარიში. საბოლოოდ, ყველაფერი მეორე ოვერტაიმის შუაში გაირკვა, როცა **ჯონათან ტეივზისა** და კეინის გასვლა ერთი მცველის წინააღმდეგ, განსაცვიფრებელი სიმშვიდით იქნა გამოყენებული.

წინ გველის ფინალი "ბოსტონსა" და "ჩიკაგოს" შორის. ეს იქნება ტრადიციათა ნამდვილი ბრძოლა. პირველად 1979 წლის შემდეგ, ფინალში გავიდნენ ე. წ. "დიდი ექვსეულის" გუნდები, თუმცა "ბრუინზსა" და "ბლეკჰოქსს" გადამწყვეტ სერიაში ერთმანეთის წინააღმდეგ არასოდეს უთამაშიათ.

რაც შეეხება "ლოს ანჯელესს", სტენლის თასის მოქმედმა მფლობელმა ზედიზედ მეცამეტედ ვერ შეძლო ტიტულის დაცვა.

| ჩიკაგო-ლოს ანჯელესი | 4:3 (2ო) |
|---|---|

2:0, 0:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 კიტი-2 (როჟსივალი-1), 2:0 კეინი-4 (ტეივზი-7, ბიკელი-4), 2:1 დ. კინგი-2 (ჯასტინ უილიამსი-3, კუიკი-1), 2:2 კოპიტარი-3 (ჯ. კარტერი-7, მ. რიჩარდსი-9), 3:2 კეინი-5 (ბიკელი-5), 3:3 მ. რიჩარდსი-3 (კოპიტარი-6, ვოინოვი-7), 4:3 კეინი-6 (ტეივზი-8).

**სერია:** 4-1

| ფინალის განრიგი | |
|---|---|
| 12 ივნისი | ჩიკაგო-ბოსტონი |
| 15 ივნისი | ჩიკაგო-ბოსტონი |
| 17 ივნისი | ბოსტონი-ჩიკაგო |
| 19 ივნისი | ბოსტონი-ჩიკაგო |
| 22 ივნისი | ჩიკაგო-ბოსტონი |
| 24 ივნისი | ბოსტონი-ჩიკაგო |
| 26 ივნისი | ჩიკაგო-ბოსტონი |



NHL - კეინი (მარჯვნივ) ჰეთ-თრიკს ზეიმობს

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| ევრო 2013 | |
| UNDER 21 | |
| ინგლისი-ნორვეგია | 1:3 |
| იტალია-ისრაელი | 4:0 |
| ჰოლანდია-რუსეთი | 5:1 |
| გერმანია-ესპანეთი | 0:1 |
| ევრო 2015 | |
| UNDER 21 | |
| აზერბაიჯანი-მაკედონია | 0:0 |
| ევრო 2015 | |
| UNDER 19 | |
| სერბეთი-შვეიცარია | 0:1 |
| სლოვაკეთი-ირლანდია | 2:2 |
| პორტუგალია-დანია | 1:0 |
| ბულგარეთი-ჩეხეთი | 1:2 |
| ამხანაგური მატჩები | |
| ესპანეთი-ჰაიტი | 2:1 |
| ბრაზილია-საფრანგეთი | 3:0 |
| იტალია | |
| სერია C1/A. პლეი ოფი | |
| კაპრი-ლეჩე | 1:0 |
| სერია C1/B. პლეი ოფი | |
| პიზა-ლატინა | 0:0 |
| ესპანეთი | |
| II დივიზიონი | |
| ლუგო-პონფერადინა | 2:2 |
| ალკორკონი-საბადელი | 4:0 |
| ხერესი-ბარსელონა B | 2:1 |
| ელჩე-გვადალახარა | 3:1 |
| ვილიარეალი-ალმერია | 1:0 |
| მურსია-ლას პალმასი | 1:0 |
| რეკრეატივო-უესკა | 0:0 |
| რასინგი-ერკულესი | 3:0 |
| მირანდესი-სპორტინგი | 2:1 |
| ხირონა-რეალი B | 1:1 |
| ნუმანსია-კორდოვა | 1:0 |
| ნორვეგია | |
| II დივიზიონი | |
| მიონდალენი-ბოდო გლიმტი | 0:3 |
| ჰამ კამი-სტრიომენი | 2:0 |
| ჰიოდი-ვარდ ჰაუგესუნდი | 0:2 |
| კრისტიანსუნდი-კონგსვინგერი | 1:0 |
| სანდეფიორდი-ულ კისა | 1:1 |
| სტაბეკი-რანჰაიმი | 4:1 |
| შვედეთი | |
| II დივიზიონი | |
| იორგრიტე-ოსტენსუნდი | 2:1 |
| ასირისკა-იონჩოპინგი | 1:0 |
| ლიუნგსკილე-ანგელჰოლმსი | 1:2 |
| ფინეთი | |
| II დივიზიონი | |
| პკ35-ვიიკინგიტი | 2:1 |
| ჰაკა-სეინაიოენი | 0:0 |
| კოტკაპე-ოპს | 4:2 |
| კაიაანი-იიპო | 0:1 |
| ოულუ-ილვესი | 2:2 |
| საბერძნეთი | |
| პლეი ოფი | |
| ნიკი ვოლუ-ირაკლისი | 0:1 |
| პანაიტოლიკ.-ოლიმპიაკოსი (ვ) | 2:1 |
| ისლანდია | |
| ტორი-ვალური | 3:5 |
| აკრანესი-სტიარნანი | 1:3 |
| ირლანდია | |
| სტ. პატსი-ლიმერიკი | 3:0 |
| უნივერსიტი-ბრეი | 4:5 |
| სლიგო-ბოჰემიანსი | 0:0 |
| შელბურნი-დერი | 0:1 |
| კორკი-შემროკი | 1:2 |
| II დივიზიონი | |
| მერვუ-კოზ რამბლერსი | 1:0 |
| უოტერფორდი-გალვეი | 3:2 |
| ლონგფორდი-უექსფორდი | 3:1 |
| ფინ ჰარპსი-ეთლონი | 2:3 |
| ესტონეთი | |
| ტამეკა-კალევი | 3:0 |
| არგენტინა | |
| ბელგრანო-სან მარტინი | 0:2 |
| არსენალი-კილმესი | 1:2 |
| გოდოი-ტიგრე | 0:1 |
| რივერ პლეიტი-ინდეპენდიენტე | 2:1 |
| კოლონი-ატ. რაფაელა | 2:2 |
| ბრაზილია | |
| კრისიუმა-ფლამენგო | 0:3 |
| კრუზეირო-ინტერნასიონალი | 2:2 |
| ვასკო და გამა-ბაია | 1:1 |
| კორინთიანსი-პორტუგეზა | 0:0 |
| პონტე პრეტა-ბოტაფოგო | 0:2 |
| პარაგვაი | |
| რუბიო ნუ-ოლიმპია | 0:0 |
| აშშ | |
| სიეტლი-ვანკუვერი | 3:2 |
| ნიუ ინგლენდი-დი სი იუნაიტედი | 0:0 |
| ჩიკაგო-პორტლენდი | 2:2 |
| სოლტ ლეიკი-ლოს ანჯელესი | 3:1 |
| კალათბურთი | |
| გერმანია | |
| ბამბერგი-ოლდენბურგი | 65:63 |
| საბერძნეთი | |
| რეტიმნო-პანიონიოსი | 74:73 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 63:52 |
| ესპანეთი | |
| რეალი-ბარსელონა | 76:72 |

TV პროგრამა

**10 ივნისი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთ ამერიკა. არგენტინა-კოლუმბია.
12:00 არგენტინის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ნიუკასლი.
16:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
17:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
18:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ვაალვაიკი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ლევერკუზენი.
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ იუნ.
01:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ იუნ.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-სან ანტონიო. II მატჩი.
15:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ეინდჰოვენი-ნაპოლი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ტულუზა-ოსპრეი.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ნიუკასლი-ბორდო.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-სან ანტონიო. II მატჩი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
13:30 სპორტ-NEWS.
14:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-დენვერი.
16:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
17:30 სპორტ-NEWS.
18:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
19:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-სან ანტონიო.
21:45 ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 18 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 17 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქობულეთი | 15 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ფოთი | 17 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ზუგდიდი | 16 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 12 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თელავი | 15 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 14 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბაკურიანი | 8 | 17 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 11 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 6 | 18 | (ხანმოკლე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2160 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6722 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6051 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1868 |

ამბები

## კანადამ სოჭისთვის მწვრთნელი დანიშნა

როგორც TNS ამტკიცებს, "დეტროიტ რედ უინგზის" დამრიგებელი **მაიკ ბებკოკი** 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე კანადის ნაკრების დამრიგებელი იქნება. 50 წლის სპეციალისტი კანადას 2010 წელს, ვანკუვერის ოლიმპიადაზეც ხელმძღვანელობდა და გუნდს ოქროს მედლები მოუტანა.

სხვათა შორის, ბებკოკი ერთადერთი მწვრთნელია, ვისაც მოგებული აქვს ოლიმპიადის ოქრო, მსოფლიოს ჩემპიონატი (2004) და სტენლის თასი (2008 წელს "დეტროიტთან" ერთად). მას ასევე გაუმარჯვია მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე (1997).

ბებკოკის სამწვრთნელო შტაბში შევლენ "სენტ ლუისისა" და "ბოსტონის" დამრიგებლები - **კენ ჰიჩკოკი** და **კლოდ ჟულიენი**, აგრეთვე "ბაფალოს" ყოფილი მწვრთნელი **ლინდი რაფი**.

## გონჩარი დალასში წავიდა

ვეტერანი რუსი მცველი **სერგეი გონჩარი**, რომლის კონტრაქტი "ოტავა სენატორზთან" ამ სეზონის შემდეგ იწურება, კარიერას კვლავ NHL-ში გააგრძელებს. გაცვლის შედეგად, ეს ჰოკეისტი "დალას სტარზის" რიგებში აღმოჩნდა, "ოტავამ" კი ამის სანაცვლოდ 2013 წლის დრაფტის მეექვსე რაუნდში არჩევანის უფლება მიიღო.

გონჩარის კონტრაქტი "დალასთან" ორწლიანი იქნება და მცველი ჯამში 5 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

"დალასმა" ამ გარიგების განხორციელება იმის გამო იჩქარა, რომ გონჩარს აქტიურად ეპატიჟებოდა ჰოკეის კონტინენტურ ლიგაში მაგნიტოგორსკის "მეტალურგი".

## ედმონტონმა მწვრთნელი გაუშვა

დიდი გეგმები აქვს "ედმონტონ ოილერზის" ახალ გენერალურ მენეჯერს **კრეიგ მაკტავიშს**, რომელმაც ჯერ საჯაროდ გამოაცხადა რამდენიმე მოთამაშის ტრეიდის შესახებ, შემდეგ კი მწვრთნელის გაშვება გადაწყვიტა.

"მენავთობეების" ან უკვე ყოფილმა დამრიგებელმა **რალფ კრუგერმა** მხოლოდ ერთი წელი იმუშავა გუნდში, ახლა კი ვარაუდობენ, რომ მას **დალას იკინსი** შეცვლის, რომელიც ადრე წარმატებით მუშაობდა ამერიკის ჰოკეის ლიგაში (AHL).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ფორმულა 1

### კანადის გრან-პრი. VII ეტაპი

მონრეალი (70 წრე, 305.270 კმ)

| | |
|---|---|
| 1(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 1:32.09,143 (2 პიტსტოპი) |
| 2(6). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +14,408 (2) |
| 3(2). ლუის ჰემილტონი (მერსედესი, ბრიტანეთი) | +15,942 (2) |
| 4(5). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +25,731 (2) |
| 5(4). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +1.09,725 (3) |
| 6(7). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი) | 1 წრე (2) |
| 7(17). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | 1 წრე (1) |
| 8(16). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | 1 წრე (2) |
| 9(10). კიმი რაიკონენი (ლოტუსი, ფინეთი) | 1 წრე (1) |
| 10(8). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | 1 წრე (3) |
| 11(12). სერხიო პერესი (მაკლარენი, მექსიკა) | 1 წრე (2) |
| 12(14). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 1 წრე (1) |
| 13(22). რომენ გროსჟანი (ლოტუსი, საფრანგეთი) | 1 წრე (2) |
| 14(3). ვალტერი ბოტასი (უილიამსი, ფინეთი) | 1 წრე (2) |
| 15(11). დანიელ რიკარდო (ტორო როსო, ავსტრა) | 2 წრე (2) |
| 16(13). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | 2 წრე (3) |
| 17(19). ჟიულ ბიანკი (მარუსია, საფრანგეთი) | 2 წრე (1) |
| 18(18). შარლ პიკი (კატერჰემი, საფრანგეთი) | 2 წრე (2) |
| 19(20). მაქს ჩილტონი (მარუსია, ბრიტანეთი) | 3 წრე (1) |
| 20(15). ესტებან გუტიერესი (ზაუბერი, მექსიკა) | 7 წრე (2) |
| 21(9). ნიკო ჰიულკენბერგი (ზაუბერი, გერმანია) | 24 წრე |
| 22(21). გიდო ვან დერ გარდე (კატერჰემი, ჰოლანდია) | 26 წრე |

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 132 (3 მოგება); 2. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 96 (2); 3. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი, ფინეთი) - 88 (1); 4. **ლუის ჰემილტონი** (მერსედესი, ბრიტანეთი) - 77; 5. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 69; 6. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 57 (1); 7. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 49; 8. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 34; 9. **რომენ გროსჟანი** (ლოტუსი, საფრანგეთი) - 26; 10. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 25; 11. **ადრიან სუტილი** (ფორს ინდია, გერმანია) - 17; 12. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო, საფრანგეთი) - 13; 13. **სერხიო პერესი** (მაკლარენი, მექსიკა) - 12; 14. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო, ავსტრა) - 7; 15. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ზაუბერი, გერმანია) - 5.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. **რედ ბული** - 201; 2. **ფერარი** - 145; 3. **მერსედესი** - 134; 4. **ლოტუსი** - 114; 5. **ფორს ინდია** - 51; 6. **მაკლარენი** - 37; 7. **ტორო როსო** - 20; 8. **ზაუბერი** - 5.

## ჩოგბურთი

# ფინალი ცეცხლის თანხლებით

როლან გაროსზე მამაკაცთა გუშინდელ ფინალში არა მხოლოდ **რაფაელ ნადალის** დომინირება, არამედ ერთი სკანდალური ეპიზოდი ვიხილეთ.

ერთსქესიანი ქორწინების საწინააღმდეგო მოძრაობის წარმომადგენლებმა გადამწყვეტი მატჩის მსვლელობისას საპროტესტო აქცია მოაწყვეს.

თავდაპირველად ისინი შეძახილებით თამაშის გაგრძელების საშუალებას არ აძლევდნენ ნადალსა და **დავიდ ფერერს**, შემდეგ კი კორტზე შეღწევა მოახერხა მამაკაცმა ანთებული მაშხალით. ის პირდაპირ ნადალისკენ გაიქცა, მაგრამ უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა დროულად გაიყვანეს დემონსტრანტი მოედნიდან.

აქტივისტები საფრანგეთის პრეზიდენტის **ფრანსუა ოლანდის** გადადგომას ითხოვდნენ.



ინციდენტი ფინალის დროს

### ნადალი ჰალეს გამოტოვებს

ესპანელმა ჩოგბურთელმა **რაფაელ ნადალმა** გადაწყვიტა უარი თქვას გერმანიის ჰალეს ტურნირში გამოსვლაზე, რომელმაც გუშინ აიღო სტარტი. რაფამ მიზეზად დაღლილობა დაასახელა, *"რა თქმა უნდა, ეს ცნობა ჩვენთვის უსიამოვნო იყო, მაგრამ პატივს ვცემთ მოთამაშის გადაწყვეტილებას, რადგან გვესმის, რომ ეს ჯანმრთელობასთან არის დაკავშირებული"*, - კომენტარი გაუკეთა ნადალის გადაწყვეტილებას ჰალეს ტურნირის დირექტორმა **რალფ ველბერმა**.

## კრივი

# 11-გზის ჩემპიონი

გასულ უქმეებზე გამართულ მთავარ ბრძოლაში **მარკო ჰუკმა** მეთერთმეტედ დაიცვა WBO-ის საჩემპიონო ტიტული პირველ მძიმე წონაში. გერმანელი მოკრივე მესამედ ხვდებოდა ბრიტანელ **ოლა აფოლაბის**. ჰუკმა მსაჯების გადაწყვეტილებით აჯობა მეტოქეს – 114:114, 115:113, 117:111.

მარკო ჰუკი, სინამდვილეში **მუამერ ჰუკიჩია**. ის სერბეთშია დაბადებული, გერმანიის მოქალაქეობა 2009 წელს მიილო და იმ მომენტიდან, მისი კარიერა მხოლოდ მწვერვალისკენ მიდიოდა. 2009 წლის აგვისტოში მან არგენტინელი **ვიქტორ ემილიო რამირესი** დაამარცხა და სწორედ მაშინ მოიგო WBO-ის ტიტული პირველ მძიმე წონაში. მას შემდეგ, ჰუკმა ათჯერ დაიცვა საჩემპიონი ქამარი, მათ შორის ერთხელ ცნობილ რუსთან **დენის ლებედევთან** ბრძოლაში.

ამ სერიაში შედის აფოლაბიზე ერთი მოგება და ერთი ფრე, რის გამოც დაინიშნა მესამე შეხვედრა. ის შაბათს, ბერლინში მაქს შმელინგის სახელობის დარბაზში გაიმართა. თავიდანვე გამოჩნდა, რომ ბრიტანელი წინა შეხვედრებზე ცუდად იყო მომზადებული. საწყის რაუნდებში აფოლაბი მხოლოდ მეტოქის შეტევების მოგერიებით იყო დაკავებული და თავად იშვიათად მიდიოდა წინ. ბრიტანელი მხოლოდ მესამე რაუნდში გააქტიურდა, ზუსტად მოქმედებდა და ეს სამწუთეული აშკარად მისი გამარჯვებით დასრულდა. თუმცა ამან ოლას საბოლოო ინიციატივა ვერ მოუტანა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰუკი "ბინძურ" ილეთებსაც იყენებდა, მაგალითად, კეფაში ურტყამდა ბრიტანელს და ეს თვალში საცემი იყო.

ბოლო რაუნდებში აფოლაბიმ სცადა ტემპის გაზრდა და მიზანში მეტოქის ტანი ამოიღო. ჩანდა, რომ ორივე მოკრივე დაღლილი იყო, სიზუსტე კი უკეთესი ბრიტანელს ჰქონდა. მაგრამ მას მაინც ცოტა დააკლდა ნანატრი პირველი ტიტულის მოპოვებამდე.

■ ■ ■

შაბათს, კიდევ ორი საინტერესო ბრძოლა გაიმართა. კანადის ქალაქ მონრეალში ჰაიტური წარმოშობის კანადელმა **ადონის სტივენსმა** WBC-ის ტიტული დაიცვა ნახევრადმძიმე წონაში. მან პირველი რაუნდის მეორე წუთზე ნოკაუტში გაგზავნა **ჩედ დოუსონი**. ამ უკანასკნელმა ათ თვლამდე მოახერხა წამოდგომა, მაგრამ რინგზე ბარბაცებდა და ვერ შეძლო ბრძოლის გაგრძელება.

ადონის სტივენსონმა გამარჯვება ლეგენდარული მწვრთნელის **ემანუელ სტიუარდის** ხსოვნას მიუძღვნა.

და კიდევ, იმავე მონრეალში 31 წლის კუბელმა **იურიორკის გამბოამ** WBA-ის დროებითი ჩემპიონობა მოიპოვა მჩატე წონაში. მან მსაჯების გადაწყვეტილებით (116:111, 116:111, 115:112) 29 წლის კოლუმბიელ **დარლი პერესს** აჯობა.



ჰუკი კეფაშიც ურტყამდა

## კალათბურთი

# კობი დიდხანს დარჩება?

### როდმანი: ჩვენს დროში ლებრონი საშუალო დონის კალათბურთელი იქნებოდა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** ახალი კონტრაქტის გაფორმებასა და კარიერის გახანგრძლივებაზე ფიქრობს. არადა, ადრე "შავმა მამბამ" არაერთხელ განაცხადა იმის შესახებ, რომ მიმდინარე კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ (2013-14 წლების სეზონის ბოლო), კარიერას დაასრულებდა.

*"ტიმ დანკანმა შეიძლება მოიგოს მეხუთე ტიტული და დამეწიოს? მაშინ, ჩემი ამოცანა იქნება ხუთ ბეჭედზე მეტის მოგება. თუ ტიმი თავისას მიაღწევს, იმედია, "ლეიკერსის" ხელმძღვანელები უფრო მეტად მოინდომებენ შემადგენლობის გაძლიერებას და კონკურენტუნარიანები ვიქნებით როგორც მომდევნო წელს, ასევე 2014-15 წლების სეზონში"*, - ამბობს ბრაიანტი "ლოს ანჯელეს თაიმსისთვის" მიცემულ კომენტარში.

■ ■ ■

"ჩიკაგო ბულზის" ლეგენდარულმა კალათბურთელმა **დენის როდმანმა** გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ მისი თამაშის პერიოდში "მაიამი ჰიტის" ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი** სხვების ფონზე არაფრით გამორჩეული კალათბურთელი იქნებოდა. დენისის აზრით, ლებრონის შედარება **მაიკლ ჯორდანთან** ყოვლად დაუშვებელია.

*"ასეთ შედარებას არანაირი აზრი არ აქვს, - ამბობს როდმანი. - ლებრონს ჩვენს წლებში რომ ეთამაშა, ის საშუალო დონის კალათბურთელი იქნებოდა. ის უდავოდ დიადი მოთამაშეა, მაგრამ ჩემთვის ჯორდანი და პიპენი უკეთესები არიან"*.

■ ■ ■

„მაიამი ჰიტის" 34 წლის ფორვარდმა **შეინ ბატიემ** აღნიშნა, რომ მომავალი სეზონი, შესაძლოა, ბოლო იყოს მის კარიერაში. მისი სიტყვებით, სხვა საქმის კეთების დრო მოვიდა.

*„ყველაფერი იმისკენ მიუთითებს, რომ მომდევნო სეზონი უკანასკნელი იქნება ჩემს კარიერაში*, - მოჰყავს ESPN-ის სიტყვები ბატიეს. - *2014 წლის ზაფხულში ჩემს კონტრაქტს ვადა ეწურება, ამიტომაც გადაწყვეტილების მიღების დრო მოვიდა. იმ მომენტისთვის 36 წლის ვიქნები"*.

2012-13 წლების სეზონში ბატიემ 72 მატჩი ჩაატარა, საშუალოდ მატჩში 6.6 ქულა დააგროვა, რასაც ემატებოდა 2.3 მოხსნა და 1.0 შედეგიანი პასი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



დენის როდმანი

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (577 74 89 21), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608